"დიდი რვიანი" რუსეთის ლიდერობას არ დაუშვებს

B2

ყველანი სტადიონზე!

B4

გარი კასპაროვი ჭადრაკს დაემშვიდობა

B5

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 12 მარტი, 2005 წელი. №56 (916)

ფასი 50 თეთრი

ეკონომიკა

მსოფლიო ბანკმა ქართული იდეები დააფინანსა

გუშინ საკონკურსო ჟიურიმ 38 კონკურსანტის პროექტებიდან მხოლოდ რამდენიმე შეარჩია. რაც შეეხება უშუალოდ გრანტებს, თითოეულის მოცულობა 10,000-15,000 აშშ დოლარს შეადგენს და მათი განხორციელების ვადა 12 თვეა.

A4

ახალგაზრდა ენერგეტიკოსთა გაერთიანების ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს

B7

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

ამინდი

	12/3	13/3	14/3
თბილისი	10	15	17
ქუთაისი	10	16	18
ბათუმი	8	16	18
სოხუმი	8	13	14
ფოთი	9	16	18
თელავი	8	13	15
ზუგდიდი	10	16	18
გორი	6	12	13
ახმეტა	8	14	15
ჭიათურა	8	13	16
გაგრა	6	11	13
სამტრედია	10	16	18

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8400
ევრო	2.4663
გირვანქა სტერლ.	3.5275
რუბლი	0.0670

A		B	
ამბები	A2	რევიუ	B2
პოლიტიკა	A3	რევიუ	B3
ეკონომიკა	A4	სპორტი	B4
უცხოეთი	A5	სპორტი	B5
საზოგადოება	A6	კვირა	B6
სამართალი	A7	სხვადასხვა	B7
ეკონომიკა	A8	სხვადასხვა	B8

ზურაბ ნოღაიდელი ბალანსის დაცვას ცდილობს

საქართველოს დელეგაცია მოლაპარაკების მაგიდასთან.

მიხეილ ლანჩავა
ერევნიდან

მიუხედავად იმისა, რომ წინა ეპოქის შედეგად "ბალანსირების ტექნოლოგია", თითქოსდა, უიმედოდ დისკრედიტებულია, საქართველოს ახალი პრემიერ-მინისტრის პირველი ვიზიტები ადასტურებს, რომ ყოველ შემთხვევაში, საგარეო-პოლიტიკური თვალსაზრისით ამ პოლიტიკას რაიმე გონივრული ალტერნატივა არ გააჩნია.

ამ შეხედულებას წინა პრემიერი ზურაბ ჟვანია სრულიად იზიარებდა. ბუნებრივია, გაიზიარებს ზურაბ ნოღაიდელიც - მისი უახლოესი თანამებრძოლი და თანამოაზრე.

აზერბაიჯანში ვიზიტის შემდეგ, ნამდვილად მოსალოდნელი იყო, რომ პრემიერი ერევანში გაემგზავრებოდა. სხვათა შორის, ადგილობრივი ჟურნალისტების თქმით, ბაქოში ნოღაიდელის ჩასვლამ და იქ გამართულმა მოლაპარაკებებმა, რომლებიც შორს გასცდა ეკონომიკურ პრობლემატიკას, ერევანში ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია. სომხეთში ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებას, რომ აზერბაიჯანული მხარე

გაგრძელება A2 გვერდზე

მოსალოდნელზე მაღალი

ნატო-ელთა შეფასება საქართველოს მთავრობის გახმოვანებით

ვერიკო თევზაძე

პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი აცხადებს, რომ ნატო-ს დელეგაციის შეფასება, ხუთდღიანი ვიზიტის შემდეგ, მოსალოდნელზე მაღალი აღმოჩნდა. უფრო სწორად, ეს არის ნატო-ს შემფასებელთა მისიის "მაღალი" შთაბეჭდილება. რაც შეეხება ოფიციალურ შეფასებას, აღნიშნული ჯგუფი მას, წინასწარი შეფასების სახით, აპრილის დასაწყისში გამოაქვეყნებს. აპრილის ბოლოს კი ამ დოკუმენტს ბრიუსელში, ნატო-ს შტაბ-ბინაში განიხილავენ.

გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე ნატო-ს შემფასებელთა მისიას შეხვდა. ეს იყო შემაჯამებელი შეხვედრა, რომელიც დახურულ კარს მიღმა გაიმართა და მას, ნატო-ს შტაბ-ბინის წარმომადგენლებისა და გიორგი ბარამიძის გარდა, საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვედრის დასრულების შემდეგ უცხოელმა შემფასებლებმა პრესასთან კომენტარზე უარი განაცხადეს.

გაგრძელება A2 გვერდზე

"მე ვამაყობ და მუდამ ვიამაყებ, რომ ვიყავი "ჟვანიას გუნდის" წევრი"

ხვალ ზურაბ ჟვანიის გარდაცვალებიდან 40 დღე გადის

ელდარ შენგელაია

ზურაბ ჟვანიას დაღუპვამ ჩვენთვის, მისი მეგობრებისთვის, კეთილის მსურველებისთვის, საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის, გარდა საშინელი პირადი ტკივილისა, უსამართლობის, ყოველგვარი კანონზომიერების დარღვევის განცდა გამოიწვია.

შეიქმნა სიცარიელე.

ცხოვრება ივლის თავისი გზით და დროთა ვითარებაში საზოგადოება მეტად და მეტად გაიცნობიერებს, თუ რა უდიდესი კვალი დააჩნია საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს პერიოდს ზურაბ ჟვანიამ.

ზურაბ ჟვანიას პიროვნება ჩამოაყალიბა მისი ოჯახის ტრადიციებმა, ცოდნისა და კულტურისადმი დაოუკებელმა მისწრაფებამ, მომადლებულმა ნიჭიერებამ და დრომ, რომელშიც მას მოუწია ცხოვრება და მოღვაწეობა.

ზურაბი ემზადებოდა მეცნიერებაში სამოღვაწეოდ, მაგრამ საქართველოს უახლესმა ისტორიამ შეცვალა მისი ცხოვრების გზა და მან სამოღვაწეოდ პოლიტიკური სარბიელი აირჩია. დღეს არა მარტო მისი მხარდამჭერები, არამედ ოპონენტებიც აღიარებენ ზურაბ ჟვანიას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფიგურად იმ მცირერიცხოვან პოლიტიკოსთა შორის, რომელთა მოღვაწეობამაც თანამედროვე ქართულ პოლიტიკაში, ერის ცხოვრებაში განსაკუთრებული როლი ითამაშა.

გაგრძელება A3 გვერდზე

"შეხვედრა წარსულთან"

გიორგი ასანიშვილი

1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენებისთვის პოლიტიკური შეფასების მიცემა, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ადრეა. როგორც კი გუშინ პარლამენტში ამის გაკეთება სცადეს, ვითარება უკიდურესად დაიძაბა. მეტიც, უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის ზღვარი საერთოდ წაიშალა და კანონმდებლები "ზვიადისტებად" და "ანტიზვიადისტებად" დაიყვნენ.

1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შესაფასებლად დეპუტატებს ორი სხვადასხვა დოკუმენტი დაურიგდათ. პირველი მათგანი "კონსერვატორების" ჯგუფმა შეიმუშავა და ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა მასში შეფასებული იყო, როგორც "სამხედრო გადატრიალება". მის ალტერნატივას წარმოადგენდა გიგა ბოკერიას, კოტე გაბაშვილის

გაგრძელება A2 გვერდზე

პანკისმა მასხადოვი გამოიგლოვა

ზვიად რუაძე
კახეთიდან

"რუსებს თუ ჰგონიათ, რომ ჩვენი პრეზიდენტის სიკვდილის შემდეგ პოზიციებს დავთმობთ, ეს მათი ფანტაზიის ნაყოფია," - აცხადებს რუსლან გელაევის ძმა სალმან გელაევი.

პანკისის ხეობაში იჩქერიის პრეზიდენტის მასხადოვის გარდაცვალებასთან დაკავშირებული სამდღიანი გლოვა დასრულდა, რასაც თან ტრადიციული პროცესი ახლდა. ამ დღეს ხეობაში ჩეჩენი ხალხისათვის მისასამძიმრებლად ხიზრი ალდამოვი ჩავიდა. სამგლოვიარო ცერემონიალზე რუსლან გელაევის დედა აჟან გელაევა და ძმა, სალამან გელაევი გამოჩნდნენ.

გაგრძელება A2 გვერდზე

იხილეთ B3 გვერდზე

პანკისმა მასხადოვი გამოიგლოვა

პირველი გვერდიდან

პანკისის ხებაში მცხოვრებმა, ჩეჩნეთიდან დევნილმა ორასამდე ოჯახმა, დაღუპული პრეზიდენტის, მასხადოვის სულის პატივსაცემად სამდღიანი გლოვა გამოაცხადა. გლოვა გუშინ ტრადიციული სუფრით დამთავრდა. მთელი სამი დღის განმავლობაში პანკისელი ჩეჩნები გარდაცვლილი პრეზიდენტის სულის მოსახსენიებლად, მუხლებზე დაჩოქილი, ყურანს კითხულობდნენ. გუშინვე, პანკისის ხეობაში მცხოვრებ ჩეჩნებს თანაგრძნობა ხიზრი ალდამოვმაც გამოუცხადა. იგი ხეობაში მცხოვრებ ჩეჩენ დევნილებს მშვიდად ყოფნას ურჩევს. **"ამჟამად ყველამ უნდა მოვითმინოთ და მწუხარება ერთად გადავიტანოთ,"** - ასე ამშვიდებდა თანამემამულეებს ალდამოვი.

მიუხედავად ამისა, ჩეჩენი დევნილები მკვეთრ განცხადებებს აკეთებდნენ. **"ქვეყანას, რომელსაც დემოკრატიაზე პრეტენზია აქვს და, ამ დროს, საშუალებას არ გაძლევს, შენი ქვეყნის ლიდერი ტრადიციულად დამარხო, ასეთმა სახელმწიფომ რა უნდა უთხრას მსოფლიოს?"** - კითხულობს ჩეჩენი დევნილი ზეავდი იდრიგოვი.

ყველასთვის მოულოდნელად სამგლოვიარო პროცესიაზე რუსლან გელაევის ძმა გამოჩნდა. მან თავდაპირველად მასხადოვსა და მისი ოჯახის მეგობრულ ურთიერთობებზე ისაუბრა, ბოლოს კი რუსეთის მისამართით ასეთი განცხადება გააკეთა: **"მე ვეუბნები რუსეთს - თუ ჰგონია, რომ ჩეჩნებსა და მათ ქვეყანას შორის წლობით დაწყებული ბრძოლა დასრულდა, ეს მათი ოცნების ნაყოფია, ჩეჩენი დევნილები სწორედ ამის შემდეგ ვიწყებთ გაერთიანებას და კონსოლიდაციას."** გარდაცვლილ პრეზიდენტს, პანკისის ხეობაში რუსლან გელაევის დედა აჟან გელაევა ჭირისუფლობდა და მას ასე იხსენებდა: **"ის ძალზე კარგი ადამიანი და პოლიტიკოსი იყო. მასზე ცუდს ვერ დავიჯერებ. მე მას, როგორც შვილს, ისე ვუვლიდი, რადგან რუსეთთან ომში სამი შვილი დამეღუპა."** აღსანიშნავია, რომ პანკისის ხეობაში ამ დღეს, ჩეჩნეთიდან დევნილი მამაკაცები ჟურნალისტებთან უფრო გულღიად საუბრობდნენ. **"მარტო შენ, ქართველი გამიგებ იმას, რაც ჩემს სულშია, იმიტომ, რომ შენც კავკასიელი ხარ,"** - ამბობდა მუსა უსმანოვი...

"შეხვედრა წარსულთან"

პირველი გვერდიდან

და ნიკა რურუას საკანონმდებლო ინიციატივა, რომელშიც 90-იანი წლების ტრაგიკული მოვლენები "ხელისუფლების ძალადობრივ დამხობად" იყო მოხსენიებული. მცდელობამ, რომ დადგენილების ორივე პროექტი შეჯერებულიყო, ნაყოფი ვერ გამოიღო.

ნიკა რურუას არგუმენტმა, რომ 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების "სამხედრო გადატრიალებად" მონათვლას შეეძლო ნატო-ში საქართველოს გაწევრიანებისთვის ხელი შეეშალა, არ გაჭრა. თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ საბერძნეთის მაგალითიც მოიყვანა, სადაც გასული წლის 70-იან წლებში სამხედრო გადატრიალება მოხდა და რამაც, რურუას მტკიცებით, ამ ქვეყნის ევროსტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესი სერიოზულად შეაფერხა. თუმცა, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებმა "კონსერვატორების" გადარწმუნება მაინც ვერ მოახერხეს.

"დადგენილების ალტერნატიული პროექტის სამივე ავტორი სამხედრო გადატრიალების მომხრეები ბრძანდებოდნენ. კოტე გაბაშვილს შევარდნაძის ხელისუფლებაში მაღალი თანამდებობა ეკავა, გიგა ბოკერია პუტჩისტების იდეოლოგი იყო, ნიკა რურუა კი "მხედრიონის" ლიდერს ედგა გვერდში," - გარდასულ დღეთა ქრონიკა გააცოცხლა ზვიად ძიძიგურმა.

დეპუტატებს ორი ალტერნატიული პროექტი წარუდგინეს.

თუმცა, მის გარდა, ახლო წარსული სხვებსაც ახსოვდათ: კოტე გაბაშვილმა იქვე შეახსენა ოპონენტს, რომ მაღალი თანამდებოდა მასზე (გაბაშვილზე) ადრე თავად ეკავა (ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში), გიგა ბოკერიამ კი ამცნო "კონსერვატორებს", რომ თბილისის ტრაგიკული მოვლენების დროს 19 წლის სტუდენტი იყო, თუმცა, მას შემდეგ შეხედულებები არ შეუცვლია.

დაძაბული დებატების დროს გაირკვა, რომ "კონსერვატორების" მიერ მომზადებულ დადგენილების პროექტს მომხრეები საპარლამენტო უმრავლესობის შიგნითაც გამოუჩნდნენ. ეს, როგორც ჩანს, იმანაც განაპირობა, რომ ოპოზიციამ სახელისუფლებო ფრაქციას შეახსენა, თავად პრეზიდენტმა სააკაშვილმა როგორ შეაფასა თბილისის ტრაგიკული მოვლენები "კრიმინალურ სამხედრო გადატრიალებად".

ვინაიდან საპარლამენტო უმრავლესობის შიგნით ერთიანი პოზიციის შემუშავება შეუძლებელი გახდა, შიდადაპირისპირების თავიდან ასაცილებლად, უმრავლესობის ლიდერმა მაია ნადირაძემ კენჭისყრის დროს "თავისუფალი" ხმის მიცემა გამოაცხადა.

"სახელმწიფო გადატრიალება სამხედრო ძალის გამოყენებით", - კენჭისყრაზე ამ ფორმულირებით დაყენებულ საკითხს 112 მომხრე და 2 მოწინააღმდეგე აღმოაჩნდა.

მოსალოდნელზე მაღალი

პირველი გვერდიდან

"ნატო არის ის მექანიზმი, რომელიც წევრი ქვეყნების უსაფრთხოების სერიოზულ გარანტიებს უზრუნველყოფს," - ამ მნიშვნელოვანი ფაქტორის გათვალისწინებით, გიორგი ბარამიძე ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებას საქართველოსთვის ყოფნა-არყოფნის საკითხად მიიჩნევს.

ბარამიძემ გუშინ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება ნაკისრ ვალდებულებებს იმიტომ კი არ ასრულებს, რომ ნატო მას რევიზიას ჩაუტარებს, არამედ ეს არის ვალდებულებები და ამოცანები, რომელიც ჩვენი ქვეყნის ინტერესებში შედის. **"ეს არის ჩვენი გეგმები, უბრალოდ, ჩვენი მეგობრები ნატო-ს შტაბ-ბინიდან ამ გეგმების განხორციელებაში გვეხმარებიან,"** - დასძინა სახელმწიფო მინისტრმა.

გიორგი ბარამიძე გუშინდელი შეხვედრის დეტალებზე საუბარს მოერიდა და მასმედიას ზოგადად აუწყა: **"საკითხები ეხებოდა იმ თემას, თუ როგორ ახერხებს საქართველო ნატო-სთან პარტნიორობის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის რეალიზებას, რა ხარვეზები და მიღწევებია ამ გზაზე."** "24 საათის" შეკითხვაზე: **"სახელდობრ, რა ხარვეზებზე იყო შეხვედრაზე საუბარი?"** - ბარამიძემ განაცხადა, რომ იგი ამ ეტაპზე, ანუ მისიის წინასწარ შეფასებამდე, ამგვარი კონკრეტიზაციისაგან თავს შეიკავებს. სახელმწიფო მინისტრის ინფორმაციით, შემფასებელთა მისიამ, საქართველოს ხელისუფლებასთან ხუთდღიანი საუბრების შემდეგ, დამატებითი მასალებისა და დოკუმენტაციის მიწოდება მოითხოვა.

ყველაფერი გაირკვევა აპრილის დასაწყისში, როცა ნატო-ს მისია წინასწარ შეფასებას გამოაქვეყნებს იმის შესახებ, თუ როგორ ახორციელებს საქართველო ნატო-ში ინტეგრაციის ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმას. აპრილის ბოლოს ამ დოკუმენტს ნატო-ს შტაბ-ბინაში "26+1" პროგრამით განიხილავენ. საქართველოს მხარეს ბრიუსელში, სახელმწიფო მინისტრ ბარამიძესთან ერთად, თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრები წარმოადგენენ.

ზურაბ ნოღაიდელი ბალანსის დაცვას ცდილობს

პირველი გვერდიდან

საქართველოსაგან მოითხოვდა სომხეთში ტვირთების რეექსპორტის შეწყვეტას.

ისიც იციან, რომ ეს საკითხი ყარაბაღისათვის დაუსრულებელ ომში საქართველოს ნეიტრალიტეტის მახასიათებელია. ამდენად, სომხებს რაიმე პრეტენზია არ გამოუთქვამთ. მით უმეტეს, რომ ზურაბ ნოღაიდელმა არ გამორიცხა ტვირთგადაზიდვების ზრდა სომხეთისათვის - შავი ზღვის პორტების გავლით.

ამასთან დაკავშირებით აზერბაიჯანელებს ზურაბ ნოღაიდელთან რაიმე პრეტენზია არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ. ამავდროულად, სომხეთში ყოფნისას დავრწმუნდით, რომ გადაჭარბებულია ილხამ ალიევის ოპტიმიზმი (რაც მან ნოღაიდელთან შეხვედრისას გამოთქვა, რომ რეექსპორტის შეწყვეტის გამო სომხეთში ბენზინის ფასი ორჯერ გაიზარდა).

სინამდვილეში, საწვავის ღირებულება თითქმის არ შეცვლილა. სამაგიეროდ, ერევანშიც, არაოფიციალურად სულ უფრო ხშირად ჟღერს აზრი, რომ "ილხამი ომს დაიწყებს - ომი გარდაუვალია და ყველაფერი ბრძოლის ველზე გადაწყდება". თუ გავითვალისწინებთ, რაოდენი მნიშვნელობა აქვს ომის დროს მომარაგებას, უნდა დავასკვნათ, რომ საქართველოს პრემიერს ურთულესი პრობლემის გადაწყვეტა უხდება, რათა დაიცვას ნეიტრალიტეტი ორ ქვეყანას შორის, როდესაც ორივე მათგანი ცალ-ცალკე, სამხედრო თვალსაზრისით, საქართველოზე ძლიერია.

ნოღაიდელი, ჯერჯერობით, ამ ამოცანას წარმატებითართმევს თავს. ეს ურთულესი თამაში კი (ერთდროულად ორ დაფაზე), სინამდვილეში არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე რუსეთის სამხედრო ბაზების საკითხი.

გუშინ ნოღაიდელმა სომხეთის პემიერ-მინისტრთან მოლაპარაკებისას მიაღწია წინასწარ შეთანხმებას ელექტროენერგიის იმპორტის გაზრდის შესახებ. მომავალ უმძიმეს ორ თვეში საქართველო მეზობელი ქვეყნიდან 110-ის ნაცვლად 160 მეგავატ ელექტროენერგიას მიიღებს. ეს არ არის იოლი საქმე, თუ რუსეთის პოზიციასა და სომხეთში "რაო ეეს"-ის გავლენას გავითვალისწინებთ.

ვიზიტის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შედეგია შეთანხმება უახლოეს მომავალში საზღვრის დელიმიტაციის თაობაზე საგნობრივი მოლაპარაკების განახლების შესახებ.

ზურაბ ნოღაიდელი ამ საკითხს ერთნაირი სიმწვავით აყენებს ბაქოშიც და ერევანშიც, რაც "თანაბარზომიერი გამიჯვნის" პოლიტიკიური ხაზის კიდევ ერთი გამოვლინებაა. არადა, ბოლო დრომდე ამ საკითხში ჩვენი ორივე მეზობელი ერთნაირად ითრევდა ფეხს.

რუსეთი საქართველოსთან მოლაპარაკებებისთვის მზად არის

რუსეთის ფედერაციის საგარეო უწყებამ საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების გაგრძელების მზადყოფნა გამოთქვა.

"ჩვენი გეგმები უცვლელი რჩება და ჩვენ განვიხილავთ ბაზების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ასევე ამასთან დაკავშირებულ ფინანსურ პრობლემებს," - განუცხადა ჟურნალისტებს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა.

საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილების კომენტირებისას სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ **"ამ საკითხზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, რომელიც პარლამენტის გადაწყვეტილებას მხარს არ უჭერს."**

ამ განცხადებით, სერგეი ლავროვს მხედველობაში ჰქონდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის სალომე ზურაბიშვილის პოზიცია, რომელმაც 9 მარტს დეპუტატებს ურჩია, დადგენილების მიღება გადაედოთ.

ამასთან, რუსეთის ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარემ მიხეილ მარგელოვმა განაცხადა, რომ **"თუ საქართველოს რუსული ბაზების დაუყოვნებლივ გაყვანა სურს, ამ შემთხვევაში მოსკოვს არც სურვილი აქვს და არც რაიმე აზრს ხედავს იმაში, რომ ამას შეეწინააღმდეგოს."** თუმცა, აქვე დასძინა: რუსული მხარე მყარ გარანტიებს მოითხოვს იმის თაობაზე, რომ რუსულ ბაზებს საქართველოში მესამე ქვეყნის ჯარები არ ჩაანაცვლებენ.

საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილების კომენტირებისას, მან აღნიშნა: **"არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ როდესაც ერთი ძალა ქრება, მეორე ჩნდება. ვაკუუმი ძალიან სწრაფად ივსება და ვფიქრობ, საქართველოს წინაშე რუსეთის დამსახურების გათვალისწინებით, მოსკოვს უფლება აქვს, მოითხოვოს იმის გარანტიები, რომ რუსეთის ჯარების გამოყვანა სხვა ზესახელმწიფოს ჯარების შემოყვანის მიზეზი არ გახდება."**

რუსეთი დაჟინებით მოითხოვს თბილისისგან, ჩარჩო ხელშეკრულებაში ის დებულება შეიტანოს, რომელიც საქართველოში მესამე ქვეყნის სამხედრო ბაზების განლაგებას კრძალავს. ქართული მხარე აცხადებს, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე უცხოური სამხედრო ბაზები არ განლაგდება, თუმცა ამ დებულების ჩარჩო ხელშეკრულებაში შეტანას არ ეთანხმება.

რუსი სენატორის თქმით, საქართველომ უნდა უზრუნველყოს, რომ პანკისის ხეობიდან "ტერორიზმის საფრთხემ" აღარ იარსებოს.

მანამდე კი, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა ვიაჩესლავ სედოვმა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ დადგენილებას ამ პრობლემის მოგვარებისათვის "კონტრპროდუქტიული" უწოდა.

"პრობლემას ულტიმატუმი ვერ მოაგვარებს. ეს მხოლოდ მოლაპარაკებების მაგიდასთან უნდა გადაწყდეს," - განაცხადა მან.

24 საათი

საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე გაყიდვის თაობაზე

სახაზინო ვალდებულებები 2,000,000 (ორი მილიონი) ლარის ოდენობით, რომლის დაფარვა განხორციელდება 2005 წლის 14 სექტემბერს, გამოტანილ იქნება N8 აუქციონზე, რომელიც შედგება 2005 16 მარტს 10 საათზე.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების მეშვეობით, არაუგვიანეს 2005 წლის 16 მარტის 10 საათამდე.

აუქციონის შედეგები სახაზინო ვალდებულებების მყიდველ ბანკებს ეცნობებათ იმავე დღეს და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველნი გაცნობილნი უნდა იყვნენ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მომოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ " დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება ეროვნულ ბანკში ან ნებისმიერ კომერციულ ბანკში.

აუქციონის კომიტეტი

ორი სიტყვით

მოსკოვი. რუსეთის მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთ საშუალებაში თურქი-მესხების თემა კვლავ განიხილება. "ისინი დროებით აღმოჩნდნენ კრასნოდარის მხარის ტერიტორიაზე და საქართველოში - თავის იმ ისტორიულ სამშობლოში დაბრუნება სურთ, საიდანაც ისინი 1944 წელს ცენტრალურ აზიაში გადაასახლეს," - ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საიტზე განთავსებულ განცხადებაში. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისში გუშინ, "აფხაზეთში ჰუმანიტარული და სოციალური პროგრამების განვითარების საერთაშორისო ფონდი" დაფუძნდა. ფონდის პრესმდივნის რუსუდან იმნაძის განცხადებით, "აფხაზეთში ჰუმანიტარული და სოციალური პროგრამების განვითარების ფონდის" დაფუძნებაში მონაწილეობა თურქეთის, საფრანგეთის, რუსეთის, ბულგარეთის 7 არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა და საქართველოში მცხოვრებმა აფხაზმა და ქართველმა მოქალაქეებმა მიიღეს.**ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. "საქართველოს კონსერვატორებს" პოლიტიკური გაერთიანება "ქალთა დაცვის კავშირი" შეუერთდა.

ორი პოლიტიკური ძალის გაერთიანების დოკუმენტს გუშინ "ქალთა დაცვის კავშირის" ოფისში "კონსერვატორების" ლიდერებმა ზვიად ძიძიგურმა, კახა კუკავამ და კავშირის ხელმძღვანელმა ნარგიზა გვალიამ მოაწერეს ხელი.

10 ათასკაციანი პოლიტიკური გაერთიანება ამიერიდან არჩევნებში "საქართველოს კონსერვატორების" სახელით მიიღებს მონაწილეობას. პოლიტიკური ძალების გაერთიანების იურიდიული გაფორმება კი მაისში, პარტიულ ყრილობაზე იგეგმება.

როგორც კავშირის ლიდერმა ნარგიზა გვალიამ განაცხადა, "ქალთა დაცვის კავშირს" 37 რაიონული ორგანიზაცია აქვს და ყველა მათგანი ამ გაერთიანების მომხრეა.

"კონსერვატორები" და "ქალთა დაცვის კავშირის" წევრები აცხადებენ, რომ მათ საერთო პოლიტიკური ხედვა აქვთ და საქართველოს კეთილდღეობისათვის ერთიანი ძალით იბრძოლებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. მოსკოვში გაემგზავრნენ სოხუმის დე ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტი სერგეი ბაგაფში, პრემიერ-მინისტრი ალექსანდრე ანქვაბი და უშიშროების საბჭოს მდივანი სტანისლავ ლაკობა. წინასწარი ინფორმაციით, დე ფაქტო ხელისუფლების ლიდერები რუსეთის პოლიტიკური წრეების წარმომადგენლების გარდა, შესაძლოა, ქვეყნის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინსაც შეხვდნენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სამხრეთ ოსეთის სტატუსთან და საქართველოს სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებით ინფორმაციას 11-12 მარტს ევროსაბჭოს ვენეციის კომისიის სხდომაზე მოისმენენ.

ევროსაბჭოს ვენეციის კომისიას სამხრეთ ოსეთის სტატუსთან და სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციას საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე კონსტანტინე ვარძელაშვილი მიაწვდის. **პრაიმ-ნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (ასისტენტი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა ნოქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

"მე ვამაყობ და მუდამ ვიამაყებ, რომ ვიყავი "ჟვანიას გუნდის" წევრი"

პირველი გვერდიდან

ზურაბ ჟვანიამ ჯერ სულ ახალგაზრდამ ჩამოაყალიბა "მწვანეთა მოძრაობა", რომელმაც არა ულტრარადიკალური, არამედ საქმიანი გზა აირჩია. ზურაბმა ქართველი "მწვანეები" გააერთიანა ევროპის მწვანეთა საერთაშორისო ორგანიზაციაში და იქ იგი სპიკერადაც აირჩიეს. 1992 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ მწვანეთა პარტიამ, "ლიბერალებთან" და დამოუკიდებელი დეპუტატების ჯგუფთან გაერთიანების შემდეგ, გავლენიანი საპარლამენტო ფრაქცია შექმნა და ერთსულოვანი მხარდაჭერით ზურაბ ჟვანია მისი ლიდერი გახდა. 1993 წელს შეიქმნა სახელისუფლებო პოლიტიკური ორგანიზაცია "მოქალაქეთა კავშირი", რომლის რეალური ლიდერი, ამ "კავშირის" დატოვებამდე, ზურაბ ჟვანია იყო. შემდგომში, ოპოზიციური პოლიტიკური ორგანიზაციის "გაერთიანებული დემოკრატების" სულისჩამდგმელად და ლიდერად კვლავ ზურაბ ჟვანია გვევლინება.

გამჭრიახი გონება, განათლება, პოლიტიკური ალღო, ორატორული ნიჭი, დაუოკებელი ენერგია, ორგანიზატორული თვისებები, კომუნიკაბელობა, კულტურა, ადამიანური თვისებები - საზოგადოებაში და პოლიტიკურ წრეებში ზურაბ ჟვანიას გამორჩეულს ხდიდა და ამიტომაც იგი ახალგაზრდობიდანვე გამოკვეთილ პოლიტიკურ ლიდერად გვევლინება.

კანონზომიერია, რომ 1995 წელს ზურაბ ჟვანია არჩეული იყო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარედ. დღეს ჩვენი საზოგადოება აღიარებს იმ ჭეშმარიტებას, რომ ქართული პარლამენტის და პარლამენტარიზმის ჩამოყალიბება ზურაბ ჟვანიას სახელს უკავშირდება. ამ პერიოდიდან ზურაბ ჟვანიამ, როგორც სახელმწიფო მოღვაწემ, უდიდესი როლი ითამაშა ქართული სახელმწიფოებრიობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებაში. მიუხედავად სხვადასხვა სახელისუფლებო ძალების მხრიდან ზეწოლისა, ზურაბ ჟვანია თავის თანაგუნდელებთან და მომხრეებთან ერთად ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა დასახული მიზნების განსახორციელებლად. მნიშვნელოვნად იზრდებოდა მისი ავტორიტეტი უცხოეთის პოლიტიკურ წრეებში.

მისი გზა, როგორც პოლიტიკოსის და ადამიანის, ია-ვარდებით მოფენილი არ ყოფილა. იყო უკადრისი ლანძღვა, გინება, მისი სახელის ტალახში ამოსვრა, მაგრამ როგორც ძლიერ ადამიანებს ახასიათებთ, იგი ღირსეულად იტანდა ამ დაუმსახურებელ შეურაცხყოფას. სამწუხაროდ, გამორჩეული, მართალი ადამიანების ხვედრი ასეთია.

ზურაბ ჟვანიას მცდელობა, რომ არსებულ ხელისუფლებას გაეტარებინა მინიმალური რეფორმები საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოსაყალიბებლად, მცდელობა - გაშლილიყო ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ და სხვა - უშედეგო აღმოჩნდა. მეტიც, ხელისუფლებამ დემოკრატიის დასაყრდენზე - თავისუფალ სიტყვაზე აღმართა ხელი.

ახალგაზრდობა, საზოგადოება ქუჩაში გამოვიდა თავისუფალი მედიის დასაცავად. ზურაბ ჟვანიამ, რომელმაც განსაკუთრებული როლი ითამაშა თავისუფალი მასმედიის დამკვიდრებაში, ამ კრიზისულ მდგომარეობაში რადიკალურ პოლიტიკურ ხერხს მიმართა, დაუპირისპირდა არსებულ ხელისუფლებას და პროტესტის ნიშნად გადადგა უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობიდან - პარლამენტის თავმჯდომარის პოსტიდან.

უნიკალური იყო ზურაბ ჟვანიას ალღო პოლიტიკური ბრძოლის პროცესში. ამის მაგალითია მისი გადადგომის შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარის არჩევა. უმრავლესობას თავისი კანდიდატურა ჰყავდა. პარლამენტის დემოკრატიული ფრთა უმცირესობაში იყო. ზურაბ ჟვანიამ ამ უთანასწორო ბრძოლაში დახვეწილი პოლიტიკური მეთოდებით, კონსულტაციებით, დებატებში დამაჯერებელი არგუმენტებით, თავის თანამოაზრეებთან ერთად, მოახერხა, რომ პარლამენტმა მიიღო იმ დროს ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. ნინო ბურჯანაძე იქნა არჩეული პარლამენტის თავმჯდომარედ. ეს იყო მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა იმდროინდელ პარლამენტში დემოკრატიული ღირებულებების გადასარჩენად.

დადგა საქართველოს უახლოეს ისტორიაში გადამწყვეტი მომენტი - "ვარდების რევოლუცია"!

აზვირთებულ ხალხს წინ უძღოდა გაერთიანებული ოპოზიცია, ლიდერები - მიხეილ სააკაშვილი, ზურაბ ჟვანია, ნინო ბურჯანაძე.

საქართველომ მშვიდობიანი, ხავერდოვანი რევოლუციის გზით იზეიმა გამარჯვება, რომელსაც დემოკრატიული მსოფლიო მიესალმა. ალბათ, აქვე გასახსენებელია, რომ თავის დროზე მიხეილ სააკაშვილს, ნინო ბურჯანაძეს და დემოკრატიულად მოაზროვნე სხვა პოლიტიკოსებს სწორედ ზურაბ ჟვანიამ გაუხსნა კარი დიდი პოლიტიკის სარბიელზე.

დადგა დრო, როდესაც ზურაბ ჟვანიას, როგორც პრემიერ-მინისტრს, მიეცა საშუალება, თავისი ენერგია, გამოცდილება, ხედვა საქართველოს აღმშენებლობაში რეალობად ექცია. უმოკლეს ხანში მინისტრთა კაბინეტმა მისი მეთაურობით ქვეყანა არა მარტო გამოიყვანა ღრმა კრიზისიდან, არამედ მნიშვნელოვან წინსვლას მიაღწია კიდევაც. ჯერ მხოლოდ იწყებოდა ყველაფერი.

■ ■ ■

ზურაბი ჩემი მეგობარი იყო. მე ის მიყვარდა. მიყვარდა მასთან შეხვედრა, საუბარი, ურთიერთობა. მისი თვალები სითბოს, სიკეთეს, გონიერებას ასხივებდა. შეხვედრისას პირველივე გამონათქვამი აუცილებლად იუმორით იყო შეზავებული.

- ნიკალაევიჩა პრისლა, ნიჩივო ნამ ნე პრინესლა (ჩუქჩად წარმომადგენდა).

- ვესარიონოვიჩა ლუჩშე-ბი კოფე ილი ჩაი პრედლაჟილა. - ასე შეხუმრებით იწყებოდა ჩვენი საუბარი.

მე გამონაკლისი არ ვიყავი. არაჩვეულებრივი იუმორი ზურაბს თან სდევდა ჩვეულებრივ თუ დაძაბულ ვითარებაში, გულიანი სიცილი კი კეთილგანწყობილ ატმოსფეროს ქმნიდა.

მე მესახება, რომ ზურაბი სრულყოფილი და ჰარმონიული პიროვნება იყო.

ზემოთ ვისაუბრე ზურაბზე, როგორც პოლიტიკოსზე, რომლის არსება გაჟღენთილი იყო თავისი ხალხის, ერის, სამშობლოს სიყვარულით, მომავალზე ფიქრით. ამავე დროს მისთვის სრულებითაც არ იყო უცხო ჩვეულებრივი ადამიანური გრძნობები და ურთიერთობები.

ის იყო არაჩვეულებრივი მეოჯახე, საუცხოო იყო მისი დამოკიდებულება მეუღლესთან - ნინოსთან, ბავშვებთან - ლიზი, ბუსა და ანასთან, განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა დედასთან - ქალბატონ რემასთან, ძმასთან - გიგლასთან. ოჯახი მისი სამყაროს ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი ნაწილი იყო.

ზურაბი იყო არაჩვეულებრივი მეგობარი. მისი დამოკიდებულება ადამიანების მიმართ არ გამომდინარეობდა მხოლოდ პოლიტიკური შეხედულებებიდან. მისი მეგობრების წრე ძალზე ფართო იყო. იგი მეგობრობდა როგორც თანატოლებთან, უმცროსებთან, ასევე მასზე გაცილებით უფროსი ასაკის ადამიანებთან. ზურაბი პატივს სცემდა ქართულ ინტელიგენციას და ბევრ მათგანთან მეგობრობდა კიდეც. ასევე გულთბილი იყო მისი ურთიერთობა ბევრ რიგით, ჩვეულებრივ ადამიანთან. თავისი თანამშრომლების მიმართ იყო მომთხოვნი, ამასთანავე, მათი მეგობარი.

ჩვენ მეგობრები ვიყავით, მაგრამ მას არასოდეს დაურღვევია უფროს-უმცროსობა, ვინაიდან ზრდილი ადამიანი იყო. ასაკში განსხვავების მიუხედავად, ჩვენ თითქოს ტოლები ვიყავით. მიუხედავად თანამოაზრეობისა, აზრთა ჭიდილი ხანდახან კონფლიქტამდეც მისულა. გამოხატული და ემოციური კამათი იცოდა. ზოგჯერ თავის გუნდის წევრებს ისე შეუტევდა, რომ რთული იყო მისი გაჩერება, მაგრამ ეს ყველაფერი იმდენად გულწრფელი იყო, რომ ყველა წყენა ქრებოდა და რჩებოდა მაინც ერთობა და მეგობრობა. საბოლოო ჯამში ძალიან რბილი და კეთილი ადამიანი იყო. ჩვენ ყველას, ვისაც საზოგადოებაში თუ მასმედიაში "ჟვანიას გუნდს" გვეძახოდნენ, ზურაბი ძალიან გვიყვარდა, ვცნობდით მის ლიდერობას და განსაკუთრებულობას.

მე იმედი მაქვს, საზოგადოებამ დაინახა, რომ ჩვენ დავკარგეთ არა მხოლოდ მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, არამედ პირველ რიგში დიდი ადამიანი - ამ ცნების ფართო გაგებით.

მე ვამაყობ და მუდამ ვიამაყებ, რომ ვიყავი "ჟვანიას გუნდის" წევრი და სამუდამოდ დავრჩები ამ "გუნდის" პრინციპების ერთგული.

■ ■ ■

"მე ვარ ქართველი და მაშასადამე, ვარ ევროპელი!"

ეს მოხდენილი გამონათქვამი, რა თქმა უნდა, ეხებოდა მთელ საქართველოს, მაგრამ ამავე დროს გამოხატავდა ზურაბ ჟვანიას მრწამსს. ზურაბი მთელი თავისი არსებით ქართველი კაცი იყო, თავისი მისწრაფებებით - ევროპელი. ამ შერწყმაში იყო მისი ხედვა საქართველოს მომავლისა, როგორც ისტორიულად ევროპული ქვეყნისა და მომავალში ევროპული ქვეყნების ოჯახის წევრისა.

ფოტო-რეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო მწვანე ტალღა თავისუფალი აზრის რადიო FM 107.4

დილის სტუმარი „მწვანე ტალღაზე" მოისმინეთ გადაცემაში „რადიო დილა"

" Up-to-date wording "

წამყვანები: ქეთევან კორძახია,გაგა გობრონიძე.

სტუმარი: გიგი გულედანი (www.zigota.net)

გიგი გულედანი:

ტექსტური შედევრების შესაქმნელად დღეს დრო არავის აქვს. ამის გამო, საინტერესო ნაწერებს ინტელექტუალები ერთმანეთთან ურთიერთობისას ქმნიან. ინტერნეტი კი იდეალური საშუალებაა გონებამახვილი ადამიანების აზრების დასაფიქსირებლად ჩვენი ლოგების,ესემესებისა და იმეილების სახით. ასე იქმნება თვისობრივად ახალი,არანორმატიული,კოლექტიური ლიტერატურა.

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

საუბრობთ საზღვარგარეთ?

თუ თქვენ სარგებლობთ საერთაშორისო კოდით 8-10
მაშინ თქვენ გელით სიურპრიზი...
საქართველოს ტელეკომი აცხადებს ყოველთვიურ კონკურსს "თვის ნომინანტები" და გამოავლენს ყველაზე აქტიურ და ერთგულ მომხმარებლებს.
გამარჯვებულები ყოველთვიურად დაჯილდოვდებიან უფასო სალაპარაკო დროით და სპეციალური პრიზებით.

ესაუბრეთ მსოფლიოს, გადაიხადეთ დროულად, დაელოდეთ ჩვენს ზარს და, რაც მთავარია, უამრავ სიურპრიზს!

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 44 18 10 www.telecom.ge

IBSU

INTERNATIONAL BLACK SEA UNIVERSITY
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ისარგებლეთ შესაძლებლობით რომელსაც შზსუ გთავაზობთ

საერთაშორისო სასწავლო პროგრამა
სწავლების უმაღლესი დონე
სწავლება ინგლისურ ენაზე
წახალისება
სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან, ლაბორატორიები, ინტერნეტი, ბიბლიოთეკა, აუდიო ვიზუალური ცენტრი
სოციალურ-სპორტული ღონისძიებები.

უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების სურვილი გაქვთ?
შზსუ-ში ზემოთ აღნიშნულის გარდა სხვა საშუალებებიც არის.

განყოფილებების სია:

• მრეწველობის მართვა	• კომპიუტერული მეცნიერებანი
• ფინანსები და საბანკო საქმე	• ქართველოლოგია
• საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობები	• ამერიკანისტიკა
• მრეწველობის ორგანიზაცია	

ფასები 0.02 პროცენტით შემცირდა

ამ კვირაში, წინა კვირასთან შედარებით, ფასების საერთო დონე 0,02 პროცენტით შემცირდა, მათ შორის სურსათზე - 0,04 პროცენტით, არასასურსათო საქონლის ფასები და მომსახურების ტარიფები კი უცვლელი დარჩა. როგორც პრაიმ-ნიუსს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტიდან აცნობეს, სასურსათო საქონლიდან ფასები შემცირდა რძეზე (6,7 პროცენტით), ხოლო ფასი გაიზარდა კომბოსტოზე (10 პროცენტით). რაც შეეხება არასასურსათო საქონელსა და მომსახურებას, წინა კვირასთან შედარებით ფასები უცვლელი დარჩა. როგორც სტატისტიკის დეპარტამენტში აცხადებენ, სამომხმარებლო ფასების ინდექსმა (სამომხმარებლო ფასების დონის ცვლილების მაჩვენებელი) ერთი კვირის მანძილზე (4 მარტი - 10 მარტი) 99,98 პროცენტი შეადგინა. წინა კვირაში აღნიშნული მაჩვენებელი 98,6 პროცენტი იყო (ეს ინდექსი ასახავს 51 დასახელების საქონლისა და მომსახურებისაგან შედგენილი კალათის ფასების ცვლილებას).

პრაიმ-ნიუსი

დასაქმებულთა რაოდენობა 6-ჯერ შემცირდა

საქართველოში მოქმედ მრეწველობის ობიექტებში დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობა ბოლო 4 წლის განმავლობაში 6-ჯერ შემცირდა. როგორც პრაიმ-ნიუსს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტიდან აცნობეს, საწარმოების რაოდენობის ზრდის მიუხედავად, ქვეყნის მრეწველობაში 1990-2004 წლებში ადგილი ჰქონდა დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებას. თუ 1990 წელს მრეწველობაში დასაქმებული იყო 459,4 ათასი კაცი, 2004 წელს მათი რაოდენობა თითქმის 6-ჯერ შემცირდა და 80,2 ათასი კაცი შეადგინა.

როგორც სტატისტიკის დეპარტამენტში აცხადებენ, ეს პროცესი განსაკუთრებით მწვავედ წარიმართა მრეწველობის ისეთ ორ ძირითად ეკონომიკურ საქმიანობაში, როგორიცაა სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება და დამამუშავებელი მრეწველობა, რომლებშიც დასაქმებულთა რაოდენობა, შესაბამისად, 3,1-ჯერ და 6,8-ჯერ შემცირდა. ამის პარალელურად, დასაქმებულთა რაოდენობა ელექტროენერგიის წარმოება-განაწილებაში, აირისა და წყალმომარაგებაში 10,3 პროცენტით გაიზარდა.

პრაიმ-ნიუსი

ეკონომიკის სამინისტრომ მასონთა ლოჟას ეკონომიკური საქმიანობის კოდი მიანიჭა

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ რამდენიმე ორგანიზაციას ეკონომიკური საქმიანობის კოდი მიანიჭა. მინისტრის ბრძანება 2004 წლის 22 დეკემბერსაა გამოცემული და იგი "ეკონომიკური საქმიანობის სახეების" ეროვნული კლასიფიკატორის დამტკიცებას გულისხმობს.

ამავე ბრძანებით, ძალადაკარგულად ითვლება "საქსტანდარტის" 1997 წელს გამოცემული ბრძანების მეორე აბზაცი ეკონომიკური საქმიანობის სახეობების კლასიფიკატორის შესახებ. ჩამონათვალში, რომელიც ერთი კოდის ქვეშ აერთიანებს ეკონომიკური საქმიანობის სახეებს, მითითებულია სხვადასხვა ორგანიზაცია, მათ შორისაა საქმიანი ადამიანების კლუბები, მასონური ლოჟები და სხვა. როგორც ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ კახა დამენიამ "მედიანიუსთან" საუბრისას განმარტა, დამტკიცებული კლასიფიკატორი საერთაშორისო მოხმარებისაა და იგი პირდაპირ ითარგმნა. მისი თქმით, ეს არის სტატისტიკური ენა, რომელიც ყველასთვის გასაგები იქნება და სტატისტიკური აღრიცხვისთვის იქნება საჭირო.

მედია-ნიუსი

სამხრეთ-კავკასიური გაზსადენის ნახევარზე მეტი აშენებულია

კომპანია "ბრიტიშ პეტროლიუმის" მონაცემებით, სამხრეთ-კავკასიური გაზსადენის მშნებლობაზე სამუშაოთა 60 პროცენტზე მეტი შესრულებულია: დერეფანი გამზადებულია 179 კილომეტრზე, მილები დალაგებულია 150 კილომეტრზე, მიწაში უკვე ჩაწყობილია 32 კილომეტრი, შედუღებულია 133 კილომეტრი.

რაც შეეხება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენს, აქ მხოლოდ მდინარის გადასასვლელებზე შესასრულებელი სამუშაოები დარჩა დასამთავრებელი.

ცნობისთვის: საქართველოში სამხრეთ-კავკასიური მილსადენის 245-კილომეტრიანი მონაკვეთი გადის.

მისი ექსპლოატაციაში შესვლა 2006 წლისთვის იგეგმება.

მედია-ნიუსი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო იწყებს პროექტ **"ირმის ნახტომის"-** განხორციელებას.

პროექტის მიზანია:

■ საქართველოში სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვა

■ სასწავლო პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობა.

ამა წლის 22-29 მარტს, პროექტ "ირმის ნახტომის" ფარგლებში, საქართველოს სტუმრად ეწვევიან ესტონელი მასწავლებლები, რომლებიც ჩაატარებენ კონფერენციებს, სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებს თბილისსა და ქუთაისში საქართველოს სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების წარმომადგენლებისათვის.

ვიზიტის მიზანია ქართველი მასწავლებლებისთვის სასწავლო პროცესში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების პრინციპების, მეთოდებისა და საშუალებების გაცნობა და ესტონელ და ქართველ მასწავლებლებს შორის საუკეთესო გამოცდილებათა გაზიარება.

კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობის მსურველებს დეტალური ინფორმაცია შეუძლიათ იხილონ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდზე http://www.mes.gov.ge

მსოფლიო ბანკმა ქართული იდეები დააფინანსა

ნინო ნარჩემაშვილი

ქართული იდეები "იდეების კიდობანში" აღმოჩნდნენ. მსოფლიო ბანკმა საქართველოში პირველად წარმოადგინა საერთაშორისო საკონკურსო პროგრამა სახელწოდებით "იდეების კიდობანი", რომლის არსი ნოვატორული პროექტების გამოვლენა და მათი განხორციელების ხელშეწყობა გახლავთ. კონცეფცია მსოფლიო ბანკის სათავო ოფისის მიერ შემუშავებული და მისი დაფინანსებით განხორციელებული პროგრამის Development Marketplace-ის საფუძველზე ჩამოყალიბდა. გუშინ საკონკურსო ჟიურიმ საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან წარდგენილი 38 კონკურსანტის პროექტებიდან მხოლოდ რამდენიმე შეარჩია.

გუშინ საკონკურსო ჟიურიმ 38 კონკურსანტის პროექტებიდან მხოლოდ რამდენიმე შეარჩია.

კონკურსში გამარჯვებული პროექტის გამოვლენა და გრანტის მინიჭების ცერემონია "საქართველოს სავაჭრო ცენტრში" გაიმართა. რაც შეეხება უშუალოდ გრანტებს, თითოეულის მოცულობა 10,000-15,000 აშშ დოლარს შეადგენს და მათი განხორციელების ვადა 12 თვეა.

საქართველოში მსოფლიო ბანკის წარმომადგენლის როი საუსვორდის განცხადებით, "იდეების კიდობანის" ფარგლებში შემოთავაზებული თემა - **"ჩვენი გარემო ჩვენი სახლების ზღურბლს მიღმა" - გულისხმობს თემების, სოფლებისა და ქალაქების მომსახურების სფეროს განვითარებასა და მისი ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ნოვატორული იდეების გამოვლენას. საკონკურსო პროგრამამ ადამიანები სიღარიბის დაძლევის იმ მტკივნეული პრობლემის გადასაჭრელად გააერთიანა, რომელთა წინაშეც ისინი აღმოჩნდნენ."**

საქართველოში მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობის საგარეო ურთიერთობათა სამსახურის ხელმძღვანელის ინგა პაიჭაძის შეფასებით, **"მართალია, "იდეების კიდობანი" მსოფლიო ბანკის ინიციატივით ხორციელდება, მაგრამ მის წარმატებას ადგილობრივ დონეზე არსებული ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობა და თანამონაწილეობა განაპირობებს."** მისივე განმარტებით, საგრანტო კონკურსის მიზანი იმ ახალი იდეების გამოვლენა და განხორციელებაა, რომლებიც საქართველოში არსებული, განვითარების პრობლემების გადასაწყვეტად არის მიმართული. იგი ორ ეტაპს მოიცავს: ჟიურის მიერ ყველაზე ნოვატორული იდეების შერჩევას, მცირე გრანტების მინიჭებას და ცოდნის ფორუმს.

ერთდღიანი მუშაობის შემდეგ საკმაოდ წარმომადგენლობითმა ჟიურიმ 16 გამარჯვებული პროექტი გამოავლინა, რომელთა ავტორებსაც მათ მიერ შემუშავებულ პროექტებში მოთხოვნილი თანხები გადაეცათ. დარჩენილი 22 პროექტის ავტორი კი გაწეული მუშაობისათვის 500-500 აშშ დოლარით დაჯილდოვდა.

დაბოლოს, მსოფლიო ბანკი აღნიშნულ პროგრამას მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში წარმატებით ახორციელებს. თითოეული ქვეყნისათვის კი ადგილობრივი კონტექსტი და თავისებურებებია გათვალისწინებული.

ცვლილებები პრივატიზაციის შესახებ კანონში

მთავრობა პრივატიზაციის გამჭვირვალობისკენ ნაბიჯს დგამს

გასაყიდი სახელმწიფო ქონების ფასის ხელოვნური შემცირების შემთხვევების აღმოფხვრის მიზნით, "სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შესახებ" კანონში ცვლილებები განხორციელდება. ცვლილებების ავტორი პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე რომან გოცირიძეა.

აღნიშნული კანონპროექტი პარლამენტის პლენარულმა სხდომამ განიხილა. როგორც სხდომაზე გოცირიძემ აღნიშნა, ხშირია შემთხვევები, როცა გასაყიდი ქონების ფასი ხელოვნურად მცირდება. ამის შესაძლებლობას ამჟამად მოქმედი კანონი ქმნის, რომელშიც აღნიშნულია, რომ პირველად აუქციონზე გატანილი ქონების ფასი მეორედ გატანის შემთხვევაში ნახევრდება.

"ცვლილებების მიღების შემთხვევაში, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შესაძლებლობა ექნება, სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის დროს მისი ფასი 50 პროცენტამდე შეამციროს. ეს ზღვარი მას შესაძლებლობას მისცემს, საჭიროების შემთხვევაში ქონების ფასი გაანახევროს ან, მაგალითად, 5 პროცენტით შეამციროს," - განაცხადა გოცირიძემ.

მისივე თქმით, კანონპროექტში ცვლილებები პრივატიზაციის პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფადაც შედის. კერძოდ, იმისათვის, რომ პრივატიზაციის შესახებ ინფორმაცია საქართველოს ყველა მოქალაქისათვის იყოს ხელმისაწვდომი, აუქციონის შესახებ ინფორმაცია "ცოცხალ გაზეთებში" დაიბეჭდება.

"მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ვალდებულია, პრივატიზაციის შესახებ ინფორმაცია საუწყებო გაზეთ "მესაკუთრეში" გამოაქვეყნოს. ამის გარდა, ცვლილებების განხორციელების შემდეგ სამინისტრო ვალდებული იქნება, პრივატიზაციის შესახებ ინფორმაცია ინტერნეტში განათავსოს, დაბეჭდოს ისეთ პრესაში, რომელიც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება და საზოგადოებრივ ტელევიზიაში რეკლამა მისცეს. საქართველოს მთავრობა თანახმაა, პრესაში გამოსაქვეყნებლად საჭირო დამატებითი სახსრები გაიღოს. რაც შეეხება საზოგადოებრივ ტელევიზიას, "მაუწყებლობის შესახებ" კანონის თანახმად, საზოგადოებრივმა ტელევიზიამ ამგვარი რეკლამა უფასოდ უნდა გაავრცელოს," - განაცხადა გოცირიძემ.

24 საათი

მეჩაიეობაში 30 ათასამდე ადამიანს დაასაქმებენ

დღეს და ხვალ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხეილ სვიმონიშვილი დასავლეთ საქართველოს რაიონებს ესტუმრება. მინისტრი სახელმწიფო პროგრამა "ჩაის" შემდგომი ეტაპის განახლების შესახებ განცხადებას გააკეთებს. დღესვე ოზურგეთში, სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და აგრარული კომიტეტის წარმომადგენლების, მაჟორიტარი დეპუტატების, მეცნიერებისა და მეწარმეების ერთობლივი განხილვა შედგება პროგრამა "ჩაის" ახალი პრიორიტეტების და მიმართულებების შესახებ. პროგრამით გათვალისწინებულია ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, გურიის, სამეგრელოსა და იმერეთის რაიონებში.

როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროში განაცხადეს, პროგრამა ითვალისწინებს მეჩაიეობის რაიონებში 30 ათასამდე ადამიანის დასაქმებას.

მინისტრის ორდღიანი ვიზიტი დასავლეთ საქართველოში გასულ წელს ჩაის პროგრამის ფარგლებში ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარისხის მონიტორინგსაც ითვალისწინებს. მინისტრი ასევე, ჩაის მრეწველობის საწარმოებს დაათვალიერებს.

24 საათი

იაპონური დახმარების პროგრამა აღდგება

სოფლის მეურნეობაში იაპონური დახმარების პროგრამის აღდგენასა და თანამშრომლობის ახალ ფორმებზე გუშინ, სოფლის მეურნეობის სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე ისაუბრეს.

მინისტრი მიხეილ სვიმონიშვილი იაპონიის ელჩს საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში ტადეჰირო აბეს პირადადად ესაუბრა და იაპონური დახმარების აღდგენის თაობაზე მისგან დაპირება მიიღო.

უკვე რამდენიმე წელია, იაპონიის მთავრობა საქართველოს სოფლის მეურნეობას სხვადასხვა ფორმით ეხმარება. დახმარების ძირითადი ნაწილი ტექნიკაზე მოდის.

მიხეილ სვიმონიშვილმა ელჩს იაპონური დახმარების პროგრამის მონიტორინგის ახალი სისტემა წარუდგინა, რომელიც მასში მონაწილე თითოეულ ერთეულთან სისტემატურ თანამშრომლობასა და მათგან დეტალური ინფორმაციის მიღებას გულისხმობს. სვიმონიშვილის ინფორმაციით, მონიტორინგში აქტიურად ჩაერთვებიან სოფლის მეურნეობის სამინისტროს რაიონული სამმართველოები.

იაპონიის ელჩმა კმაყოფილება გამოთქვა მონიტორინგის სისტემის გაძლიერებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში შემოსული თანხის ეფექტური დახარჯვა და პროცესის გამჭვირვალობა მომავალში ორ ქვეყანას შორის უფრო ფართო თანამშრომლობის საწინდარი იქნება.

სოფლის მეურნეობის სამინისტროში მომზადდა და უახლოეს მომავალში იაპონურ მხარეს წარედგინება იმ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ნუსხა, რომლის მიღებაც დღევანდელი აგრარული სექტორის განვითარებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია.

გუშინდელ შეხვედრაზე განიხილეს საქართველოში იაპონიის მხარის მუდმივი წამომადგენლის მოვლინების საკითხი, რაც, სვიმონიშვილის თქმით, ორ ქვეყანას შორის პარტნიორულ ურთიერთობებს ბევრად გააფართოებს და დახმარების პროგრამას უფრო ეფექტურს გახდის.

გუშინდელი შეხვედრის კიდევ ერთი თემა იყო უახლოეს მომავალში დაგეგმილი, სოფლის მეურნეობის საერთაშორისო გამოფენა EXPO 2005, რომელიც იაპონიაში ჩატარდება. სვიმონიშვილის თქმით, ეს გამოფენა კიდევ ერთი უნიკალური შანსია საქართველოსთვის, რათა მან საკუთარი პოტენციალი მთელს მსოფლიოს გააცნოს.

გუშინვე, მინისტრმა ელჩს შესთავაზა ინტენსიური თანამშრომლობა ბიზნესურთიერთობებისა და გადამამუშავებელ მრეწველობაში პარტნიორობის ხელშეწყობის მიმართულებით.

24 საათი

ენგურჰესში დაზიანებული აგრეგატი ერთი კვირის განმავლობაში შეკეთდება

ენგურჰესში გუშინ დაზიანებული აგრეგატი ერთი კვირის განმავლობაში შეკეთდება, ამიტომ, დღის საათებში საქართველოს ენერგომომარაგება შეფერხებით განხორციელდება. ამის შესახებ ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე ხეთაგურმა გუშინ, სპეციალურად გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

მისი თქმით, გუშინ ენგურჰესზე ტრანსფორმატორი დაზიანდა, რამაც ორი აგრეგატის გამორთვა გამოიწვია, ერთის ჩართვა მაშინვე მოხერხდა და საღამოს პიკზე თბილისი უკვე სრულად დაიტვირთა. მეორეს დაზიანების აღმოსაფხვრელად საჭიროა სარემონტო სამუშაოები, რომელიც დაახლოებით 15-20 მარტამდე გაგრძელდება.

"დღის საათებში დედაქალაქის ელექტრომომარაგება 40 მეგავატით შეიზღუდება, ხოლო საღამოს პიკის საათებში თბილისის ელექტრომომარაგება შეუფერხებლად განხორციელდება. რეგიონებში ელექტროენერგიის მიწოდების გრაფიკებს "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" განსაზღვრავს და, გადახდის მაჩვენებლების შესაბამისად, შეზღუდვებს განახორციელებს," - განაცხადა ხეთაგურმა.

საქართველოში შექმნილ ენერგოკრიზისთან დაკავშირებით სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე გუშინვე სომხეთში გაემგზავრა, რათა "ალავერდის" ელექტროგადამცემი ხაზის მეშვეობით დენის იმპორტის 60 მეგავატით გაზრდაზე სომხურ მხარესთან მოლაპარაკებები გამართოს.

როგორც ხეთაგურმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, ელექტროსისტემაში დეფიციტი ამჟერად 250 მეგავატს შეადგენს, რაც პიკის საათებში 350 მეგავატამდე გაიზრდება. დეფიციტს ამძაფრებს ცუდი კლიმატური პირობებიც, რის გამოც გაზრდილია ელექტროენერგის მოხმარება. ამის გამო შეიზღუდება საქართველოს მოსახლეობის ენერგომომარაგება, მათ შორის, თბილისის მომარაგება - 40 მეგავატით.

24 საათი

მცხეთა-მთიანეთის მაღალმთიან სოფლებს გაზმომარაგება აღუდგა

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის დაბა ფასანაურსა და სოფელ ქვეშეთს, დავალიანების გამო, 20 დღის განმავლობაში შეწყვეტილი გაზმომარაგება პარასკევს აღუდგა. ამის შესახებ პრაიმ-ნიუსს მცხეთა-მთიანეთის სამხარეო ადმინისტრაციაში განუცხადეს.

მათი ინფორმაციით, გაზმომარაგების აღდგენა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულის ვასილ მაღლაფერიძის და გაზმომმარაგებელი კომპანია "იტერას" წარმომადგენელთა შეთანხმების შედეგად მოხერხდა.

როგორც სამხარეო ადმინისტრაციაში აცხადებენ, "იტერას" მიმართ ქვეშეთისა და ფასანაურის იანვარ-თებერვალში მოხმარებული ბუნებრივი აირის დავალიანება 220 ათას ლარს შეადგენს. "მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის დაფარვა ცენტრალური ბიუჯეტიდან ხდება თუმცა, სამხარეო ადმინისტრაციის განმარტებით, მოსახლეობა ბიუჯეტში განსაზღვრულ თანხებზე მეტი ღირებულების აირს მოიხმარს.

"გადახარჯული ბუნებრივი აირის საფასურის მოსახლეობისგან ამოღების მცდელობა უშედეგოდ დასრულდა, რადგან მხოლოდ უმნიშვნელო თანხის აკრეფა მოხერხდა. სავარაუდოდ, დავალიანებას მთლიანად ბიუჯეტი დაფარავს," - აცხადებენ ადმინისტრაციაში.

პრაიმ-ნიუსი

"დიდი რვიანი" რუსეთის ლიდერობას არ დაუშვებს

დიდი რვიანის შარშანდელ სამიტზე რუსეთის მიმართ პრეტენზიები არ გამოთქმულა.

"დიდი რვიანის" ქვეყნების ფინანსთა მინისტრები უარის თქმას აპირებენ რუსეთისთვის, რომელიც ამ ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრობისკენ მისწრაფვის და 2006 წელს მისი პოლიტიკური ორგანოს თავმჯდომარეობაც ელოდება. ამის შესახებ საინფორმაციო სააგენტო "ბლუმბერგს", ანონიმურობის დაცვის მოთხოვნით, "დიდი შვიდეულის" წარმომადგენლებმა შეატყობინეს. ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ რუსული ეკონომიკა, რომელიც მოცულობით მხოლოდ მეთექვსმეტე ადგილზე იმყოფება მსოფლიოში, ინდუსტრიულად ყველაზე განვითარებულ სახელმწიფოთა ჯგუფში რუსეთის გაწევრიანებისათვის არასაკმარის მიზეზად ითვლება. გარდა ამისა, ორგანიზაციის წარმომადგენელთა აზრით, ბაზრის გამჭვირვალობის, ინვესტიციების მიზიდვისა და კანონის უზენაესობის დამკვიდრების სფეროში რუსეთს გვერდი აუარა. აშშ-ს ფინანსთა მინისტრის ყოფილი მოადგილე სტიუარტ ეიზენშტატი აღნიშნავს, რომ "დიდ შვიდეულის წევრობის დასამსახურებლად, რუსული ეკონომიკა ძალზედ პატარა და არასაკმარისად თავისუფალია".

რუსეთმა 2006 წელს უნდა უხელმძღვანელოს "დიდი რვიანის" სახელმწიფოთა პოლიტიკურ გაერთიანებას. ადრე ქვეყნები, რომლებიც "დიდ რვიანს" ხელმძღვანელობდნენ, "დიდ შვიდეულსაც" (რომელიც პოლიტიკურ გარდა ეკონომიკურ ფორუმსაც გულისხმობს) ედგნენ სათავეში და რუსეთი "დიდი შვიდეულის" ეკონომიკურ სტრუქტურაში ინტეგრირებისთვის მანამდე ვერ იქნება მზად, - წერს "ბლუმბერგი". უცხოელი დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ, მაგალითად, ჩინეთის ეკონომიკა მოცულობით უკვე აღემატება "დიდი შვიდეულის" სრულუფლებიანი წევრის კანადის ეკონომიკას. ასე რომ, ორგანიზაციის დანარჩენ წევრ-ქვეყნებს დიდი ძალისხმევის გაღება მოუწევთ, სხვა ქვეყნების სწრაფად მზარდი ეკონომიკების ფონზე, მსოფლიო ბაზარზე საკუთარი პოზიციების შესანარჩუნებლად.

გარდა ამისა, თებერვლის ბოლოს აშშ-ს სენატში "დიდ რვიანში" რუსეთის წევრობის შეჩერების შესახებ რეზოლუციის პროექტი შეიტანეს. ამ დოკუმენტის ავტორები რუსეთის ხელისუფლებას დემოკრატიისა და პოლიტიკური თავისუფლების შელახვაში ადანაშაულებენ, რაც "დიდი რვიანის" მიერ წაყენებულ მოთხოვნებს, ბუნებრივია, არ პასუხობს. "დიდ რვიანში" შედის დიდი ბრიტანეთი, კანადა, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, იაპონია, აშშ და რუსეთი. ამ უკანასკნელმა "დიდ შვიდეულს" შეხვედრებში მონაწილეობის მიღება გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში დაიწყო. ამგვარად, 1997 წლიდან "დიდი შვიდეული" "დიდ რვიანად" გადაიქცა.

აშშ ვენის კონვენციის წინააღმდეგ

აშშ საერთაშორისო შეთანხმებების იმ ნაწილიდან გამოვიდა, რომელიც სიკვდილმისჯილი უცხოელების უფლებების დაცვის შესაძლებლობას ეხება. ვენის კონვენცია გაერო-ს საერთაშორისო სასამართლოს აშშ-ს ციხეებში მყოფი უცხოელების გასამართლების პროცესში ჩარევის უფლებას აძლევს. თუმცა, როგორც აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა, მიუღებელია, როდესაც საერთაშორისო სასამართლოს შეუძლია ამერიკის მართლმსაჯულების ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა. აშშ ერთ-ერთი ის სახელმწიფოა, რომელიც ვენის კონვენციის სათავეებთან დგას. ვენის პროტოკოლის ერთ-ერთი ნაწილის თანახმად, სწორედ საერთაშორისო სასამართლო იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას უცხოეთში პატიმრობაში მყოფი იმ ქვეყნების მოქალაქეების შესახებ, რომლებიც ამ კონვენციის მონაწილენი არიან - კერძოდ, როდესაც მათ თავიანთი სამშობლოს დიპლომატებთან შეხვედრის უფლება არა აქვთ. ადრე კონვენცია განიხილებოდა როგორც საშუალება, რომელიც საზღვარგარეთ ციხეში მოხვედრილი აშშ-ს მოქალაქეებს იცავდა, თუმცა უკანასკნელ წლებში პროტოკოლს აშშ-ში გამოტანილი სასიკვდილო განაჩენის მოწინააღმდეგენი იყენებდნენ. აშშ-ს უზენაესი სასამართლო თვის ბოლოს განიხილავს მექსიკის მოქალაქის დამცავ არგუმენტებს, რომელსაც ტეხასის შტატში სიკვდილი მიუსაჯეს. მექსიკელის ადვოკატებმა ვენის კონვენციის გამოყენება გადაწყვიტეს სასიკვდილო განაჩენის გასაუქმებლად. საერთაშორისო სასამართლოს ჩარევის შედეგად ტეხასში სიკვდილმისჯილმა 50-ზე მეტმა მექსიკელმა მათი საქმის გადახედვის უფლება მიიღეს. ამ საკითხმა აშშ-მექსიკის ურთიერთობაში ერთგვარი დაძაბულობა შექმნა, ხოლო ვენის შეთანხმების ამ ნაწილიდან გამოსვლის შესახებ განცხადება ვაშინგტონმა მაშინ გააკეთა, როდესაც სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი სამუშაო ვიზიტით მექსიკაში იმყოფება, პრეზიდენტ ვისენტე ფოქსთან მოლაპარაკებაზე.

24 საათი

ეგვიპტელები კონსტიტუციას ცვლიან

ეგვიპტის "დემოკრატიისა და რეფორმებისთვის ალიანსმა", რომელიც ოპოზიციურ პარტიებსა და მოძრაობებს აერთიანებს, გუშინ პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქს ქვეყნის კონსტიტუციის შეცვლის წინადადებით მიმართა. როგორც ჩანს, არც მუბარაქია ამის წინააღმდეგი. უკვე მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, პარლამენტის უმრავლესობა ერთადერთ კანდიდატურას ასახელებს და რეფერენდუმზე ამტკიცებს. 12 მაისს კონსტიტუციის შესწორებულ ტექსტს ეგვიპტის პარლამენტში უყრიან კენჭს. პრეზიდენტის მიერ მოწონების შემდეგ, განახლებულ კონსტიტუციას სახალხო რეფერენდუმზე გაიტანენ. სექტემბერში, სავარაუდოდ, ეგვიპტის ისტორიაში პირველად ჩატარდება პრეზიდენტის პირდაპირი ალტერნატიული არჩევნები. მმართველმა ნაციონალურ-კონსტიტუციურმა პარტიამ უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობაზე უკვე წამოაყენა საკუთარი კანდიდატურა - 76 წლის ჰოსნი მუბარაქი. მუბარაქისთვის კანდიდატურის ეს უკვე მეხუთე წარდგინებაა ექვსწლიან საპრეზიდენტო ვადაზე. ეგვიპტის მოქმედი კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტი შეიძლება იყოს მხოლოდ წმინდა სისხლის ეგვიპტელი, არანაკლებ 40 წლისა. გარდა ამისა, მას უნდა ჰქონდეს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები. სხვათა შორის, ამ კრიტერიუმებს მოქმედი პრეზიდენტის 40 წლის ვაჟიშვილი, გამალ მუბარაქი პასუხობს, რომელიც მმართველი პარტიის წარმომადგენელია. თუმცა, ოფიციალური დადასტურება იმისა, რომ გამალ მუბარაქი შესაძლოა, პრეზიდენტობის კანდიდატურაზე წარადგინონ, ჯერჯერობით, არ არსებობს. საპრეზიდენტო კამპანიიდან უკვე ამოვარდა ცნობილი ჟურნალისტი ქალი ნავალ საადავი, როგორც ჩანს, ისლამისტების მხრიდან ზეწოლის გამო. ისინი კვლავაც მიიჩნევენ, რომ არჩევნები წმინდა წყლის მამაკაცური საქმეა. აგრეთვე ცნობილი გახდა ოპოზიციის ლიდერის აიმან ნურის საპრეზიდენტო ამბიციებიც, რომელიც საპრეზიდენტო მარათონში მონაწილეობას ციხიდან აპირებს, რაც წარმატებაში ხელს შეუშლის.

24 საათი

საფრანგეთი ევროპული და ეროვნული ინტერესების გზაჯვარედინზე

ირაკლი უჯმაჯურიძე

2004 წლის ნოემბერში ქ. რომში ევროპული კავშირის 25 წევრი სახელმწიფოს მთავრობის უმაღლესი პირები შეიკრიბნენ და ევროპული კავშირის კონსტიტუციის შეთანხმების მიღებას მოაწერეს ხელი. შეთანხმების თანახმად, ევროპული კავშირის კონსტიტუცია ძალაში 2006 წლის ბოლოს შევა, თუმცა, ჯერ მას წევრი სახელმწიფოების პარლამენტებმა ან მოსახლეობამ რეფერენდუმის სახით უნდა დაუჭიროს მხარი. ევროპის კონსტიტუციის ტექსტს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს ევროკავშირის ქვეყნებში, როგორც მემარჯვენე, ასევე, მემარცხენე პარტიის რიგებში. დღემდე მხოლოდ სამ სახელმწიფოში - ლიტვაში, უნგრეთში და სლოვაკეთში, ყოველგვარი შიდაპოლიტიკური დაპირისპირების გარეშე, პარლამენტებმა მხარი დაუჭირეს ევროპის კონსტიტუციის შეთანხმებას. კონსტიტუციის საკითხზე რეფერენდუმი გაიმართა, ჯერჯერობით, ერთადერთ ქვეყანაში - ესპანეთში და როგორც ვარაუდობდნენ დადებითი შედეგებით დასრულდა. თუმცა, ევროპული კავშირის ზოგიერთ ქვეყანაში, შესაძლოა, კონსტიტუციის შეთანხმების გარშემო გამართულმა დებატებმა დიდი გავლენა იქონიოს ეროვნული მთავრობის მიმართ ლოიალურობის შემცირებაზე და, შესაბამისად, მომავალი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ბედიც გადაწყვიტოს.

ერთ-ერთი ასეთი ქვეყანა, სავარაუდოდ, საფრანგეთია. ჟაკ შირაკმა 2004 წლის 14 ივლისს, საფრანგეთის ეროვნულ დღესასწაულის დღეს, თავისი ტრადიციულ სატელევიზიო მიმართვისას გააკეთა განცხადება, რომ საფრანგეთი 2005 წლის 29 მაისს რეფერენდუმის სახით დაუჭერს მხარს ევროპის კონსტიტუციურ შეთანხმებას და, რომ მისი განხილვა საჯაროდ მოხდება. პოლიტოლოგთა ერთი ნაწილი შირაკის ამ გადაწყვეტილებას ორ გარემოებას მიაწერს - ერთი მხრივ პარლამენტის ორივე პალატაში წარმოდგენილი მემარცხენე და, ნაწილობრივ, მემარჯვენე პარტიების უარყოფით, ხოლო მოსახლეობის პოზიტიურ დამოკიდებულებას კონსტიტუციის შეთანხმების მიმართ, რომელიც წინა წელს ჩატარებულმა გამოკითხვებმა ნათელყო. მეორე მხრივ, შირაკის ამ გადაწყვეტილებას კარგად გამიზნულ პოლიტიკურ ნაბიჯად მიიჩნევენ და სოციალისტური პარტიის გახლეჩისა და შესუსტებისაკენ გადადგმულ ნაბიჯად აღიქვამენ. სოციალისტურ პარტიაში ბოლო პერიოდში, კულუარული ინფორმაციით, პარტიის თავმჯდომარეს ჰოლანდესა და მის მოადგილეს ფაბიუს შორის ფარული დაპირისპირება უკვე დიდი ხანია, მწიფდება იმის თაობაზე, თუ რომელმა მათგანმა უნდა იყაროს კენჭი 2007 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე. პირველად, ისინი ერთმანეთს ღიად სწორედ ევროპის კონსტიტუციური შეთანხმების გამო დაუპირისპირდნენ. ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ფაბიუსმა მწვავედ გააკრიტიკა ევროპის კონსტიტუციური შეთანხმება და თანაპარტიელებსა და საფრანგეთის მოქალაქეებს კონსტიტუციის მიმართ უნდობლობისკენ მოუწოდა. იგი ამ პოზიციით ახალი ევროპული მემარცხენე ფრთის შექმნას ისახავდა მიზნად და, პარალელურად, პოპულისტური განცხადებებით მთავრობის მიმართ უარყოფითად განწყობილი მოსახლეობის ინტერესების დამცველად გამოდიოდა. ასევე, კრიტიკულად განიხილა რამდენიმე საკითხი ჰოლანდემ, თუმცა აღნიშნა, რომ, თუ საფრანგეთი მხარს არ დაუჭერს კონსტიტუციას, საფრანგეთი ისევე, როგორც მთელი ევროპა, ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდება. დაპირისპირება დეკემბერში პარტიაში არჩევნების ჩატარებით დამთავრდა, მაშინ, მართალია, ჰოლანდეს შეხედულებას დაუჭირეს მხარი, მაგრამ პარტიაში დაპირისპირება ორ გუნდს შორის კიდევ უფრო ნათლად გამოაშკარავდა.

შირაკის გადაწყვეტილება, მართლაც, გონივრულ პოლიტიკურ ნაბიჯად უნდა შეფასდეს, რამეთუ მისმა განცხადებამ, ერთი მხრივ, სოციალისტური პარტიის გახლეჩაც გამოიწვია, და მეორე მხრივ კი - მათი თანხმობაც იმ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით, რომელიც 2005 წელს პარლამენტს მოუწევს, საფრანგეთის კონსტიტუციის ევროპის კონსტიტუციასთან ჰარმონიზაციისათვის. თუმცა, არსებობს, ასევე, ერთი მნიშვნელოვანი მომენტი. საფრანგეთში ევროკავშირთან მიმართებაში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგები, მიუხედავად წინასწარი გამოკითხვებისა, ძნელად პროგნოზირებადია. მაგალითად, 1992 წელს მაასტრიხის ხელშეკრულების მხარდასაჭერი რეფერენდუმის ჩატარებამდე, გამოკითხვების საფუძველზე, მთავრობა მოსახლეობის დიდ მხარდაჭერას ელოდა, მომხრეთა პროცენტული მაჩვენებელი კი 51,1/% იყო. ამდენად, შირაკს და მის გუნდს დიდი ძალისხმევა მართებს როგორც მოსახლეობაში კარგი "პიარ-კამპანიის" ჩასატარებლად, ასევე, ოპოზიციურ პარტიებთან გონივრული ოპონირებისათვის და რიგი საკითხების პოზიტიურობაში თვითონ მთავრობის ზოგიერთი პირის დარწმუნებისთვის. ძირითადად, შირაკის გუნდს, ამ პრობლემის დასაძლევად, სამი საკითხის გარშემო მოუწევს დისკუსია: საფრანგეთის გავლენა გაფართოებულ ევროპაში, ევროკავშირის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა და გაერთიანების როლი და ადგილი საერთაშორისო არენაზე.

2004 წელს საფრანგეთში ხშირი იყო კრიტიკა კონსერვატორებით დაკომპლექტებული მთავრობის მიმართ საფრანგეთის ინტერესების ევროპულ კავშირში შეზღუდვასთან დაკავშირებით. თებერვალში პროფკავშირებმა გააკრიტიკეს შირაკის ევროპული პოლიტიკა და მოითხოვეს ევროპარლამენტსა და ევროკომისიაში მათი გავლენის გაზრდა. რამდენიმე თვის შემდეგ ეროვნულმა კონგრესმა გააკეთა ოფიციალური განცხადება ევროპული კავშირის გაფართოების შემდეგ საფრანგეთის გავლენის საგრძნობლად შესუსტების შესახებ. მსგავსი კრიტიკული განცხადება გაკეთდა აგვისტოში საგარეო საქმეთა სამინისტროში ჩატარებულ ელჩების კონფერენციაზე, სადაც ელჩებმა განსაკუთრებული შეშფოთება ყოფილი საფრანგეთის მინისტრის ბაროტის ტრანსპორტის კომისრად დასახელებაზე გამოთქვეს და დიდი ტრადიციების მქონე საფრანგეთისათვის მსგავსი ადგილი ევროკომისიაში "შეუფერებლად" მიიჩნიეს. მთავრობის მიმართ ზემოთ გამოთქმულმა ყველა კრიტიკულმა დამოკიდებულებამ დიდი გამოხმაურება და მხარდაჭერა ჰპოვა მოსახლეობაში.

მოსახლეობის დიდი ნაწილი, ასევე, უარყოფითად არის განწყობილი ევროპის სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის მიმართ. მათი მოთხოვნა, ძირითადად, საფრანგეთის მთავრობისა და ევროკავშირის ინსტიტუტების მიმართ სამუშაო ადგილების შექმნასა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში გამოიხატება. სოციალისტური პარტია ცდილობს, მოსახლეობის კრიტიკული დამოკიდებულება მთავრობისადმი კიდევ უფრო გაამძაფროს და უფრო მუქ ფერებში დახატოს როგორც საფრანგეთის, ასევე, მთლიანად ევროპული კავშირის ქვეყნების სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის პერსპექტივები. მათი პროგნოზით, ამ პრობლემების გადაწყვეტა ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ კიდევ უფრო რთული გახდება. მათი აზრით, კონსტიტუციაში მრავალწლოვანი "სოციალური ევროპის" კონცეფცია საერთოდ გამქრალია და ნეოლიბერალური ევროპის მრავალწლოვანი მოდელი ანგლოსაქსური მოდელითაა შეცვლილი, რაშიც ისინი საფრანგეთისა და სხვა სახელმწიფოების მთავრობებს დიდი ბრიტანეთის მიმართ არაგონივრულ კომპრომისზე წასვლაში ადანაშაულებენ. სოციალისტების აზრით, ევროპის მომავალ კონსტიტუციაში სოციალური კომპონენტების რეგულირება ჩამოუყალიბებელი და უმართავია. ასევე, უარყოფითად აღიქვამენ საფრანგეთისა და ევროზონის სხვა ქვეყნების არასაკმარის გავლენას ევროპის ცენტრალურ ბანკზე, რაც, მათი აზრით, ასევე უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.

მესამე და, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ყველაზე უფრო მტკივნეული განსჯის საგანი ევროპის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაა. კონსტიტუციის შეთანხმების თანახმად, ევროპული კავშირის თავდაცვა ნატოს გავლენის ქვეშ რჩება და ევროპული კავშირი დამოუკიდებლად თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის განსაზღვრაში შეზღუდულია. ამ ფაქტის გამო უარყოფითად განწყობილი პარტიები ევროპული კავშირის, როგორც გლობალური მოთამაშისა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან გათანაბრებული სახელმწიფოს შექმნას დამოუკიდებელი და უსაფრთხოებისა თავდაცვის პოლიტიკაში ხედავენ. მათი აზრით, ევროპის თავდაცვის პოლიტიკა მაქსიმალურად უნდა განთავისუფლდეს ნატოს გავლენისაგან.

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ ოპოზიციური პარტიები თავიანთ კრიტიკას მოსახლეობის ფართო ფენებში მხარდაჭერის მოსაპოვებლად ევროპაში ფრანგული იდენტობის გაქრობასა და გავლენის შესუსტებას უკავშირებენ. ნეოგოლისტ შირაკისთვის და კონსერვატორებით დაკომპლექტებული მთავრობისთვის მსგავსი კრიტიკა საბედისწერო შეიძლება აღმოჩნდეს, რამეთუ წინა საპრეზიდენტო არჩევნებმა, ლეპენის მეორე ტურში გასვლით, მსოფლიო საზოგადოებას ნათლად დაანახა, თუ რამდენად ემოციურად აღიქვამს საფრანგეთის საზოგადოება საფრანგეთის ინტერესების შეზღუდვის საფრთხეს. სავარაუდოდ, თუ ოპოზიციურმა პარტიებმა მოსახლეობაში შეძლეს ნაციონალური მუხტის გამოღვიძება და კარგად გამიზნული "პიარ-კამპანიის" ჩატარება, საფრანგეთის მოსახლეობა ევროპის კონსტიტუციის მიღებას უნდობლობას გამოუცხადებს, რეფერენდუმის ჩავარდნა კი წინა წელს რეგიონულ და საპარლამენტო არჩევნებში შირაკის დამარცხებული პარტიისათვის 2007 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მარცხს გამოიწვევს. ამდენად, ევროპის მომავალი კონსტიტუციის გარშემო გამართულმა დებატებმა, ერთი მხრივ პარტიებს შორის დაპირისპირება გაამძაფრა და, მეორე მხრივ, საფრანგეთის პოლიტიკური პარტიები და მოსახლეობა კიდევ ერთხელ დააყენა საერთო ევროპული ინტერესებისა და საფრანგეთის ინტერესების გზაჯვარედინზე.

მსოფლიოს მასმედია "მოსაწყენ" კრიზისებს უყურადღებოდ ტოვებს

მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ხშირად უყურადღებოდ ტოვებენ ნამდვილ ჰუმანიტარულ კრიზისებს - ასეთია გამოკვლევის შედეგი, რომელიც საინფორმაციო სააგენტო "როიტერსის" ერთ-ერთმა განყოფილებამ ჩაატარა. გამოკითხულმა სპეციალისტებმა 10 მსხვილი ჰუმანიტარული კრიზისი აღნიშნეს, რომელსაც მსოფლიო მასმედია, კერძოდ, ტელევიზია, მეტწილად, არ აქცევს ჯეროვან ყურადღებას. კრიზისებს შორისაა არსებული ვითარება კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ჩეჩნეთში, ჰაიტში, ნეპალში და ა.შ. გამოკვლევის ავტორები ცდილობენ, უჩვენონ, რატომ ხდება ასე - ზოგი კრიზისი მაშინვე ჩნდება მსოფლიო პრესის პირველ გვერდზე, ხოლო დანარჩენზე თითქოს შეგნებულად დუმან.

დეკემბერში მოვლენილი ცუნამი საშინელი უბედურება იყო. მან 300 ათასამდე ადამიანის (რიცხვი დღემდე დგინდება) სიცოცხლე შეიწირა, აზიის რამდენიმე ქვეყნის დაცარიელებული სანაპირო რაიონები ტელეეკრანებიდან წუთით არ ქრებოდა, მთელი მსოფლიოდან ადამიანები დაზარალებულების დასახმარებლად შემოწირულობებს არ იშურებდნენ. იმავდროულად, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიმდინარე ომმა, სადაც რამდენიმე მილიონი ადამიანია დაღუპული, უამრავი ქალი გაუპატიურებული, უამრავი სახლი მიწასთან გასწორებული, შეუმჩნევლად ჩაიარა. "ცუნამის გაშუქება უფრო იოლია, ვიზუალურად ასეთი რეპორტაჟები გაცილებით შთამბეჭდავია, ვიდრე გვალვები თუ კონფლიქტები," - ამბობს ბრიტანული "ჰუმანიტარული პოლიტიკის ჯგუფის" თანამშრომელი პოლ ჰარვი. "როიტერს ალერტნეტ"-მა (სააგენტო "როიტერის" ახალი ამბების ჰუმანიტარული სამსახური) თხოვნით მიმართა ექსპერტებს, დაესახელებინათ მსოფლიო კრიზისები, რომლებიც, მათი აზრით, ყველაზე მეტად დაზარალდნენ მასმედიისგან უყურადღებობის გამო. კონგოში ომის გარდა, დასახელებულ იქნა კრიზისები ჩრდილოეთ უგანდაში, დასავლეთ აფრიკაში, დასავლეთ და სამხრეთ სუდანში, კოლუმბიაში, ჩეჩნეთში, ნეპალსა და ჰაიტიში. იმ მიზეზების შეჯამების შემდეგ, რითაც მასმედია ამა თუ იმ კრიზისს უყურადღებოდ ტოვებს, სპეციალისტები ამბობენ, რომ ეს დამოკიდებულია როგორც პრობლემის სირთულეზე, აგრეთვე იმაზეც, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ზოგჯერ არ ძალუძთ მოიფიქრონ, როგორ დააინტერესონ საკუთარი აუდიტორია ამა თუ იმ ინფორმაციით. კერძოდ, სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ საკმაოდ ძნელია ხანგრძლივი კრიზისებისადმი აუდიტორიის ინტერესის შენარჩუნება. თანაც, ასეთი კრიზისების დროს საჭიროა მოვლენათა განვითარების ადგილზე რეპორტიორთა მუდმივი ყოფნა, რაც, ზოგჯერ, დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენს, განსაკუთრებით, ფინანსური თვალსაზრისით.

სპეციალისტები, რომლებიც აღნიშნულ გამოკვლევას ატარებდნენ, მსოფლიო მასმედიას "მივიწყებული კრიზისებისკენ" აუდიტორიისა და პოლიტიკოსების მიბრუნებას მოუწოდებენ. გამოკითხულთაგან ერთ-ერთმა ექსპერტმა მაგალითად მოიყვანა ერთი სუდანელი მამაკაცის წერილი, რომელიც ტელეკამერის წინ სიკვდილს კურთხეულს უწოდებს, - მსოფლიო ამგვარად მაინც დაინახავს სიკვდილს. "მოკვდე ან მოგკლან ისე, როდესაც ამის შესახებ არავინ იცის - ეს ყველაზე საშინელია," - წერს სუდანელი თავის წერილში.

24 საათი

იუშჩენკო "პოლიტიკურ ოსკარს" იმსახურებს

უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშენკო "მამაცობისთვის ჯილდოზეა" წარდგენილი, რომელსაც ჯონ კენედის ბიბლიოთეკის ფონდი პოლიტიკურ მოღვაწეებს ანიჭებს. ფონდის ოფიციალურ პრესრელიზში აღნიშნულია, რომ ვიქტორ იუშენკო გადაურჩა თავდასხმას, გაუძლო რუსეთიდან მხარდაჭერილი ოპონენტების ზეწოლას და თავისუფლებისთვის ბრძოლაში შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა.

პრემიის წლევანდელი ლაურეატის ვინაობის შესახებ 8 მარტს ფონდის პრეზიდენტმა, ჯონ ფიცჯერალდ კენედის ქალიშვილმა კეროლაიმ კენედიმ გააკეთა განცხადება. ამერიკელთა საყვარელი პრეზიდენტის მემკვიდრემ ხაზი გაუსვა, რომ უკრაინის ახლანდელმა პრეზიდენტმა "თავისი უდიდესი მამაცობით, მთელი მსოფლიო აღაფრთოვანა". "მისი ერთგულება თავისუფლებისა და დემოკრატიისადმი ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ერთმა ადამიანმა ყველაფერი შეცვალოს," - განაცხადა კეროლაინ კენედიმ.

თავად ჯილდო, რომლის საზეიმო გადაცემა მაისშია დაგეგმილი, ვერცხლისფერ ფარანს - იმედის შუქურის სიმბოლოს წარმოადგენს.

ჯონ კენედის სახელობის ბიბლიოთეკის ფონდი პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეებს ყოველწლიურად გადასცემს "ჯილდოს მამაცობისთვის" (Profile in Courage Award). ეს ჯილდო ერთ-ერთი ყველაზე დიდი აღიარებაა პოლიტიკოსისთვის და დაახლოებით, იგივეს წარმოადგენს, რასაც ოსკარი კინოხელოვნებაში და პულიცერის პრემია ჟურნალისტიკაში.

საინტერესოა, რომ დაწესებული კრიტერიუმებით კანდიდატი, ძირითადად, ამერიკაში მცხოვრებ პოლიტიკოსი შეიძლება იყოს. სხვათა შორის, ამ ჯილდოს დღემდე სწორედ ამერიკელ პოლიტიკოსებს ანიჭებდნენ. ლაურეატთა შორის არიან აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი ჯერალდ ფორდი, ამერიკელი სენატორი ჯონ მაკკეინი და ამერიკის ხელისუფლების სხვადასხვა დონეზე არჩეული პოლიტიკოსები. ფონდმა მხოლოდ სამჯერ დაუშვა გამონაკლისი. პირველად, 1998 წელს, როდესაც სპეციალური ჯილდო დაიმსახურა ჩრდილოეთ ირლანდიის სამშვიდობო პროცესში მონაწილე პოლიტიკოსთა ჯგუფმა. შემდეგ 2002 წელს ჯილდო მიიღო გაერო-ს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა. ხოლო, 2004 წელს "მამაცობისთვის" პრიზი გადაეცა ავღანელ ფიზიკოს ქალს, ცნობილ უფლებათა დამცველსა და ახალი ავღანური მთავრობის პირველ ქალ-მინისტრს სიმა სამარს.

"მამაცობისთვის ჯილდო" 1990 წლიდან გაიცემა. თავდაპირველად, წელიწადში მხოლოდ ერთ პოლიტიკოსზე, ხოლო ოცდამეერთე საუკუნეში წლიდან წლამდე დაჯილდოვებულთა რიცხვი მატულობს. მაგალითად, შარშან სამი პოლიტიკოსის "მამაცობა" იქნა ჯილდოთი აღნიშნული. წელს კი, ფონდის განცხადებით, ოთხ პოლიტიკოსს დააჯილდოებენ.

24 საათი

ვახტანგ მდივანი



საქართველომ დაკარგა დიდი მამულიშვილი, ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელი, ჩვენი ქვეყნის რეფორმატორთა და მეწარმეთა კავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელი, აკადემიკოსი ვახტანგ გიორგის ძე მდივანი.

ვახტანგ მდივანი დაიბადა 1934 წელს თბილისში. აქვე მიიღო საშუალო და უმაღლესი განათლება და პირველი ნაბიჯები გადადგა რთული და საინტერესო ცხოვრების გზაზე.

ბუდუ მდივანის შვილიშვილის ბავშვობის უმძიმესი წლების, მშობლების რეპრესიასთან დაკავშირებული გაჭირვებების მიუხედავად, მისმა დიდმა ნიჭმა და უდრეკმა სულმა, საქმისადმი სიყვარულმა და თავდადებულმა შრომამ ის დიდი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ქართული ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენელი გახადა.

სადაც არ უნდა ემოღვაწა, მოსკოვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში თუ საქართველოს წამყვან სამეცნიერო ცენტრებში და უნივერსიტეტში, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე თუ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების (იუნესკოს, მაგატეს, ფაოს) პროექტების ხაზით ხელმძღვანელად, ყველგან ნათლად ჩანდა მისი უდიდესი ერუდიცია და განათლებულობა, ნიჭიერება და სწორი გადაწყვეტილებების მიღების უნარი. მასთან ურთიერთობა ყველასათვის დიდი სკოლა იყო.

ვახტანგ მდივანი აქტიურად და ნაყოფიერად მუშაობდა მეცნიერების ისეთი დარგების შემდგომი განვითარების სტრატეგიაზე, როგორიცაა ბიოტექნოლოგია, გენური ინჟინერია, იმუნოგენეტიკა, სასოფლო-სამეურნეო ბიოფიზიკა, სხვადასხვა ექსტრემალური სიტუაციების ადაპტაცია და პროგნოზირება, გარემოზე ტექნოტროპული და ანთროპოლოგიური ზემოქმედების კოსმოსურ-დისტანციური კონტროლი ჰიდროსფეროს ჩათვლით და რაც მთავარია, მისი უშუალო ხელმძღვანელობით ჩატარებული გამოკვლევები ფართოდ დაინერგა როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ისე მის საზღვრებს გარეთ. მთელ რიგ სამეცნიერო კოლექტივებთან ერთად მან დაიწყო შავი ზღვის, კავკასიის მთიანეთისა და ტიან-შანის კომპლექსური მონიტორინგის სისტემის დამუშავება. მთიანი ეკოსისტემების დაცვის საქმეში შექმნა მეთოდური სახელმძღვანელოები და აქტიურ მონაწილეობას იღებდა კოსმოსისა და მსოფლიო ოკეანიის შემსწავლელ სამუშაოებში.

მისი უდიდესი საზოგადოებრივი აქტიურობა და შრომისმოყვარეობა ნათლად გამოჩნდა კომპანია "იბერ-რუსის" პრეზიდენტის, საქართველოს სამეცნიერო-საწარმოო ასოციაცია "არგოს" პრეზიდენტის, საქართველოს რეფორმატორთა და მეწარმეთა კავშირის ალმასკომის წევრის თანამდებობებზე მუშაობისას. ამასთანავე, იყო საქართველოს პარლამენტის ექსპერტ კონსულტანტი ეროვნული უშიშროების კონცეფციის საკითხებში და ეკოლოგიური და სოციალური კატასტროფების საერთაშორისო პროექტის ხელმძღვანელი.

ბატონი ვახტანგი ფართო მოღვაწეობას ეწეოდა ექსტრემალურ სიტუაციაში რესპუბლიკის მოსახლეობის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველმყოფი სისტემის მოდელის შემუშავებისათვის, მისი მატერიალურ-ტექნიკური და სამეცნიერო ბაზის უნიფიკაციისათვის, აგრეთვე თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემების შესაქმნელად, ორგანიზაციას უწევდა კონტაქტებს ანალოგიურ სამსახურებთან როგორც დასავლეთის, ასევე აღმოსავლეთის ქვეყნებში, იყო ეკოლოგიური კატასტროფების საერთაშორისო პროექტის ხელმძღვანელი.

მისი შესაშური ენერგია, ინიციატივა და აქტიური, დაუღლელი, მოუსვენარი კაცის ბუნება, ერუდიცია და ინტელექტი, მაღალი პროფესიონალიზმი და საქვეყნოდ აღიარებული თვალსაჩინო მეცნიერ-მკვლევარის რეპუტაცია და ყველაფერი ეს შერწყმული მის უდიდეს ადამიანურ მომხიბვლელობასთან და კოლეგებთან გულითადი ურთიერთობის საოცარ უნართან ქმნის იმ დიდებული ადამიანის სახეს, რომლის დავიწყება შეუძლებელია და უდავოა, რომ ვახტანგ მდივანის სახელი მუდამ დარჩება მისი კოლეგების, თანამშრომლებისა და მეგობრების ხსოვნაში.

მეგობართა ჯგუფი

სხდომა დაზარალებულთა შეძახილების ფონზე

თბილისის საკრებულოს გუშინდელ სხდომაზე უმრავლესობისა და ოპოზიციის დავის მთავარი და უცვლელი თემა ქალაქის მერი გახლდათ. ზურაბ ჭიაბერაშვილის სხვადასხვა კონსტექსტში მოხსენიებას ოპოზიციის წარმომადგენლები არც მაშინ ივიწყებენ, როცა სხდომაზე განსახილველად გამოტანილი საკითხები მერს საერთოდ არ ეხება, გუშინდელ სხდომაზე კი ჭიაბერაშვილის გახსენების საფუძველი, მით უმეტეს, მიეცათ.

ნანა ქადაგიშვილი

როგორც "24 საათი" ვარაუდობდა, ორი დღის წინათ საკრებულოს საფინასნო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე განხილული საკითხები (კომპოზიტორ ბიძინა კვერნაძის შვილიშვილის ოპერაციისთვის მერიის სარეზერვო ფონდიდან ოპერაცის საფასურის, 7 ათასი ლარის გადარიცხვისა და გარემოს დაცვისა და რეგულირების კომიტეტის საბიუჯეტო ხარჯებიდან, ვერის, 9 აპრილის ბაღებისა და მუშტაიდისა და ვაკის ვეტერანთა პარკების კაპიტალურ შეკეთებისთვის 680 ათასი ლარის ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურისთვის გადაცემის შესახებ) გუშინდელ სხდომაზე დაუბრკოლებლად გავიდა.

ყველაზე დიდი აჟიოტაჟი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დამტკიცებამ გამოიწვია. კომისიის თავმჯდომარედ ქალაქს მერი საკრებულომ უკვე დაამტკიცა, გუშინ კი კომისიის ცხრაკაციანი შემადგენლობა უნდა დაემტკიცებინა. ფრაქცია "ლეიბორსტების" წევრებმა საერთოდ ამ საკითხის დღის წესრიგიდან ამოღება მოითხოვეს. **"მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში სარჩელი შევიტანეთ მერიის თანამშრომელთა შემცირების შესახებ მერის გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით. ეს ფაქტი აღნიშნული გადაწყვეტილების მოქმედებას, სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე, ავტომატურად აჩერებს. ამიტომ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დამტკიცებას აზრი აღარ აქვს,"** - განაცხადეს "ლეიბორისტებმა", მაგრამ ეს საბუთი ვერ გამოადგათ. როგორც უმრავლესობის წევრებმა განმარტეს, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შექმნა მერიის თანამშრომელთა შემცირებასთან და, შესაბამისად, მერის აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან არაფერ შუაშია. **"საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულება მერიაში თანამშრომელთა მიღება-შერჩევის წესს განსაზღვრავს და მათ შემცირებაზე იქ საუბარი არ არის,"** - განაცხადა უმრავლესობამ და, 19 ხმით 12-ის წინააღმდეგ, საკონკურსო-საატესტაციო კომისია რვაკაციანი შემადგენლობით დაამტკიცა. "ახალმა მემარჯვენემ" თამაზ ნაცვლიშვილმა კომისიის წევრობაზე უარი განაცხადა. გამოთავისუფლებული ერთი ადგილი უმრავლესობამ ისევ ოპოზოციას დაუტოვა, თქვენი რიგებიდან, ვინც გინდათ, შეარჩიეთო. თუმცა, ოპოზიციამ უარის თქმა არჩია და ამაყად განაცხადა, ჩვენ ჭიაბერაშვილის მიერ დაკრულზე არ ვიცეკვებთ და მერიის 1000 თანამშრომლის გათავისუფლებაში მონაწილეობას არ მივიღებთო.

გუშინდელ სხდომას, დაწყებიდან დამთავრებამდე, ფონად გასდევდა მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთა შეძახილები. საკრებულოს დარბაზის იარუსებზე შემომსხდარ დაზარალებულებს იმედი ჰქონდათ, რომ საკრებულო გუშინ მათ სასარგებლო გადაწყვეტილებას გამოიტანდა, მაგრამ მოტყუვდნენ. ეს დაზარალაბულთა ის 246 ოჯახია, ვისაც შარშან ქალაქის ყოფილი მერი ვანო ზოდელავა, თავის დროზე თავშესაფრის სახით გადაცემული ბინების დაკანონებას შეჰპირდა. მაშინ ზოდელავამ ეს ხალხი კი მოიმადლიერა, მაგრამ მადლს მარილი არ მოაყარა, ბინები იურიდიულად არ გაუფორმა. ყოფილი მერის მიერ მოტყუებული ადამიანები პასუხს ქალაქის ახალ მთავრობას სთხოვენ. თუმცა, ახალი ხელისუფლებაც ფეხს ითრევს. საკრებულო მერიას სთხოვს ამ ხალხისათვის პასუხის გაცემას, მერია კი საკრებულოს. გუშინდელ სხდომაზეც, ოპოზოციის წინააღმდეგობის მიუხედავად, საკრებულოს უმრავლესობამ თავის დაძვრენა მაინც მოახერხა. დაზარალებულთა ყოფილი ფონდის ხელმძღვანელი გონგლაძე ავად არის და საჭირო საბუთების შეკრება ვერ შევძელით, ამიტომ ეს საკითხი მომავალ კვირას საგანგებო სხდომაზე განვიხილოთო, გადაწყვიტეს. თუმცა, როგორც დაზარალებულები იფიცებოდნენ, ბინების გასაფორმებლად საჭირო ყველა საბუთი მზად არის და გონგლაძემ ეს დოკუმენტები საკრებულოს ჯერ კიდევ სამი დღის წინ ათ გადასცა. ასე თუ ისე, დაზარალებულების გუშინდელ ვიზიტსა და ოპოზიციის მცდელობას შედეგი არ გამოუღია. დაზარალებულები ვარაუდობენ, რომ საკრებულო გადაწყვეტილების გამოტანას მომავალ კვირასაც თავს აარიდებს. არადა, მიწისძვრით დაზარალებულთათვის დროებითი თავშესაფრების გადაცემის წესის თანახმად (რომელიც ზოდელავას მერობის დროს დამტკიცდა), თუკი თავშესაფრებში შესახლებული დაზარალებულების კუთვნილი დაზიანებული ბინები სამ თვეში არ აღდგებოდა, მთვარობას მათთვის თავშესაფრებიც უნდა გადაეცა და კუთვნილი ბინებიც მფლობელობაში დაეტოვებინა.

სხდომის ბოლოს კი საკრებულომ სათამაშო ბიზნესისთვისაც მოიცალა და დაამტკიცა თბილისის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადების შემოღების წესის მხოლოდ ის ნაწილი, რაც სათამაშო ბიზნესს ეხებოდა. ასე რომ, ახალი წესის თანახმად, ლატარიების მოწყობაზე ბილეთების რეალიზაციიდან ამონაგები 10 პროცენტის ოდენობით განისაზღვრა; კაზინოში გადასახადი ერთ სათამაშო მაგიდაზე 7 ათასი ლარია; ტოტალიზატორის, ბინგოს, ლოტოს თითოეულ სალაროზე - 500 ლარი; თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე - საპრიზო ფონდის 10 პროცენტი; სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობებზე - თვეში 2000 ლარი.

თვალსაზრისი

რელიგიური განათლების პერსპექტივა სახელმწიფო სკოლაში

"შესაძლოა ეს სიგიჟის წერტილია,
შესაძლოა ეს სინდისია ჩემი."
ოსიპ მანდელშტამი

"ჩვენ გვიცხადებენ, რომ სკოლაში არ შეიძლება იყოს იდეოლოგია და ამ საბაბით დევნიან სკოლიდან მართლმადიდებლურ მსოფლმხედველობას, ამის ნაცვლად ინერგება ე.წ. ლიბერალური იდეოლოგია და გარყვნილების პროპაგანდა, რომლის უკანაც ტოტალიტარული სექტები დგანან სატანისტური იდეოლოგიით. როგორ მოგწონთ "სკოლის დეიდეოლოგიზაცია"?
"ქართველნო ერთად ღვთისაკენ!"
ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსის სტეფანეს ქადაგება
"აღმსარებელი" N5(17) 2004 წ.

ბექა მინდიაშვილი

კონტექსტი

იმ გარემოს გაანალიზება, რომელშიც დღეს სახელმწიფო სკოლაში რელიგიის საგნის სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემებია მიმობნეული, რაციონალური ენით მეტად ძნელია. ერთი მხრივ, არ არსებობს ღია სადისკუსიო სივრცე, სადაც საკითხით დაინტერესებულ ადამიანებს ამ და საერთოდ რელიგიურ პრობლემატიკაზე სრულფასოვანი საჯარო დიალოგის წარმართვის შესაძლებლობა მიეცემოდათ - ვინ მოთვლის, ეს თემა უკვე მერამდენედაა ტაბუირებული როგორც საპატრიარქოს, ასევე სახელმწიფოს უმაღლესი მოხელეებისა და თავად პრეზიდენტის აქტიური ძალისხმევის შედეგად. მეორე მხრივ, ის, რის შესახებაც უფრო დეტალურად უნდა განავითარო მსჯელობა, ჯერჯერობით, ფაქტობრივად, არ არსებობს. ვგულისხმობ, რომ სახელმწიფო სკოლებში რელიგიის სწავლებაზე ერთგვარი მორატორიუმია გამოცხადებული. დიალოგისთვის დახშულ უსაგნო სივრცეში კი რაციონალურად გააზრებად გამოცდილებას, ლოგიკურ გადაწყვეტილებებსა და ინტელიგიბელურ მოვლენებს ადგილი არ აქვს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი სივრცის შექმნას ნიადაგის სახით პირველ რიგში თავისუფლება სჭირდება, რომელიც ტრივიალურად რომ ვთქვათ, არც გარეთ არის - რაკი არ არსებობს რელიგიის შესახებ დემოკრატიული საკანონმდებლო ბაზა - და არც შიგნით, ჩვენში, რადგან საზოგადოების შემოქმედებითი დაინტერესება, აქტიურობა, გნებავთ, პროტესტი არ იქნა გამოხატული საჭირო დროს და ადგილას (ან შეიძლება პირიქითაც ითქვას: გამოიხატა უდროოდ და უადგილოდ). არსებობს მხოლოდ თავისუფლების შესაძლებლობა, რომელიც არის სადღაც, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ნორმების სახით, მაგრამ არა აქ და ახლა.

ამიტომ, იმის გამოსათქმელად, რაც დღეს რელიგიური განათლების გარშემო ხდება მითებს, არქეტიპებს, სიმბოლოებსა და ტროპულ მეტყველებას უნდა მივმართოთ (საბჭოურ სისტემაში არაიდეოლოგიზებული მეტყველების ფორმა). პირველ რიგში, შევთანხმდეთ, რომ აქტუალური აწმყო სასაუბროდ დახშულია, მაშასადამე, ასპარეზზე ნამყო - ტრადიცია და მყოფადი - რეფორმებია გამოსული. დღეს სწორედ ტრადიციის და ნოვაციის კულტურული კონფლიქტის რეზონანსულობასა და სიმძლავრეზეა დამოკიდებული ის, თუ რამდენად შევძლებთ ჩვენი აწმყოს მოპოვებას, ანუ შევქმნით თუ ვერ შევქმნით

გაგრძელება A8 გვერდზე

სახელი

გვარი

ასაკი

სიმაღლე

მისამართი

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
განქორწინებული
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს უცნაური კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა______________________ თარიღი__________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !

გადაცემა
სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

თქვენი ფოტოსურათი

გაკოტრების შესახებ კანონი არა მარტო შეიცვლება, არამედ რეალურადაც ამოქმედდება

თამარ მაისურაძე

"იქიდან გამომდინარე, რომ კერძო მეწარმეობა საქართველოში დღითიდღე ვითარდება, პარალელურად, საჭირო ხდება საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა და არსებულ რეალობასთან მისადაგება. როგორც განვლილი წლების პრაქტიკამ გვიჩვენა, კანონი პრაქტიკულად არ მუშაობს, რაც გამოიხატება იმაში, რომ საქართველოში ძნელად თუ მოიძებნება გაკოტრების პროცესის სრულყოფილად წარმართვის მაგალითი," - ვკითხულობთ იუსტიციის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

"გაკოტრების პროცესი საშინელება არ არის," - აცხადებს იუსტიციის მინისტრი კოტე კემულარია, ახალ კანონპროექტზე საუბრობს და უყურადღებოდ არც წინა ხელისუფლების მიერ დანატოვარი რთული მემკვიდრეობა რჩება.

"ადრე სახელმწიფო, გაკოტრების პროცესის დაწყების ნაცვლად, საწარმოების გაჩუქებით იყო დაკავებული. ამის ნათელი მაგალითებია აზოტის, ფეროს, რუსთავის მეტალურგიული ქარხნების გაჩუქების ფაქტები. მართალია, საქართველოში არსებობს კანონი "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ," რომელიც პარლამენტმა 1996 წელს მიიღო და შექმნილია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შესაბამისი კანონის საფუძველზე, მაგრამ ფაქტია, რომ ეს კანონი არ მუშაობს," - აცხადებს იგი.

"გაკოტრების პროცესი საშინელება არ არის," - აცხადებს კოტე კემულარია.

მთავრობის მიერ მოწონებული კანონპროექტი გაკოტრების შესახებ უკვე ექსპერტიზას გადის და 25 აპრილისთვის მზად იქნება. კანონპროექტს იუსტიციის სამინისტრო ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ხელშეწყობით, უცხოელ და ადგილობრივ ექსპერტთა ჯგუფის მეშვეობით ამუშავებს.

გაკოტრების სფეროში ქვეყანაში არსებული მდგომარეობისა და მოთხოვნილებების შესწავლის მიზნით, კონცეფცია, რომელიც კანონპროექტს საფუძვლად უნდა დაედოს, გაკოტრების საქმის წარმოებასთან დაკავშირებულ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს უნდა შეიცავდეს, როგორიცაა პროცესის მაქსიმალურად მოკლე დროში დასრულება და მისი გამჭვირვალობა, ასევე, საქმის წარმოების ხარჯების მინიმუმამდე შემცირება. უნდა შეიქმნას მოვალის მიერ გაკოტრების შესახებ განცხადების შეტანის წამახალისებელი წინაპირობები. მოსაწესრიგებელია გაკოტრების საქმის გახსნამდე განსახორციელებელი გადაუდებელი ღონისძიებები და დროებითი გაკოტრების მმართველის სტატუსი და ფუნქციები, - ასეთი გახლავთ იუსტიციის სამინისტროს პოზიცია.

"ამიერიდან გვექნება სრულყოფილი კანონი, გამჭვირვალე და ცივილური. 50 მუხლისგან შემდგარი კანონის ნაცვლად, აპრილიდან 370-მუხლიანი კანონი ამოქმედდება," - განაცხადა იუსტიციის მინისტრმა.

როგორც კანონპროექტის ავტორები ამბობენ, ეს იქნება წმინდა ქართული ვარიანტი, სადაც ზუსტად განისაზღვრება "პრივილეგირებული" კრედიტორების საკითხი, მათი უფლებები მოვალის გაკოტრებისა თუ რეაბილიტაციის პროცესში, რაც დღევანდელ კანონში საკმაოდ ბუნდოვანია.

"მსჯელობის საგანია, გაკოტრების საფუძვლების არსებობისას ნებისმიერ შემთხვევაში უნდა აღიძრას გაკოტრების საქმე, თუ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გაკოტრების მასა ფარავს საპროცესო ხარჯებს. თუ პროექტით განისაზღვრება, რომ გაკოტრების საქმე ნებისმიერ შემთხვევაში აღიძრება, შესაძლოა, საჭირო გახდეს გარკვეული თანხების სუბსიდირება საპროცესო ხარჯების ასანაზღაურებლად. თუმცა, ამ პროცესს თავისი დადებითი მხარეებიც აქვს. კერძოდ, გაკოტრების პირას მდგარი საწარმოები ვეღარ გადამალავენ თავის აქტივებს იმ იმედით, რომ მათ წინააღმდეგ გაკოტრების საქმე არ აღიძრება, თუ მათი ქონება საპროცესო ხარჯებს ვერ დაფარავს," - თქვა კემულარიამ.

მისი თქმით, ახალი კანონის მიღება საკითხის ბოლომდე მოგვარებას არ ნიშნავს. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი მზადაა, დაეხმაროს ქართულ მხარეს არა მარტო ახალი პროექტის მომზადების ეტაპზე, არამედ მისი ინსტიტუციონალური განხორციელების პროცესშიც, რაც, თავის მხრით, გულისხმობს როგორც კვალიფიციური კადრების მომზადებას - გაკოტრების მმართველებისათვის სემინარების ჩატარებას, ასევე რეკომენდაციების გაცემას როგორც მოსამართლეების, ასევე გაკოტრების მმართველებისათვის ამ სფეროში არსებული სირთულეების დასაძლევად.

ენერგეტიკის მინისტრის თანაშემწე მეგობართან კონფლიქტის გამო დააკავეს

გუშინწინ ღამით საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ოქროყანის გზაზე საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის თანაშემწე ბესიკ ასათიანი და მისი ორი მეგობარი დააკავეს. გამორიცხული არ არის, რომ მათ ადამიანის გატაცებაში წაუყენონ ბრალი.

ენერგეტიკის მინისტრის თანაშემწის ბესიკ ასათიანისა და მისი ორი მეგობრის დაკავება ახალგაზრდა ენერგეტიკოსთა გაერთიანების ხელმძღვანელთან ვასილ ხორავასთან მომხდარ უთანხმოებას უკავშირდება. როგორც ხორავა აცხადებს, ყველაფერი სახელმწიფო საწარმოთა მართვის სააგენტოს ხელმძღვანელის ირაკლი ჩოგოვაძის სახელზე გაგზავნილ წერილს უკავშირდება. წერილში რიგი პრეტენზიებია გამოთქმული უშუალოდ ენერგეტიკის მინისტრის ნიკა გილაურის მიმართ.

"როგორც კი ჩოგოვაძისგან გამოვედი, დაიწყო რეკვა. მეუბნებოდნენ, რომ გილაურს სურდა ჩემთან შეხვედრა, - ამბობს ვასილ ხორავა, - **მე უარი ვთქვი მინისტრთან შეხვედრაზე. საღამოს კი ჩემმა მეგობარმა, ჩემი ორგანიზაციის წევრმა დამირეკა და შეხვედრა დამითქვა. არაფერი მიეჭვია, გავედი. მანქანით სამნი დამხვდნენ. სამივე, მათ შორის ბესიკ ასათიანიც, ჩემი მეგობრები იყვნენ. ასათიანი, სანამ თანაშემწედ დაინიშნებოდა, ჩემი მოადგილე იყო. გილაურზე საუბარი რომ დამიწყეს, არ მესიამოვნა, მაგრამ მეგობრებისგან ცუდს არაფერს ველოდი. თუმცა, სიტუაცია ნელ-ნელა დაიძაბა, თანაც ოქროყანისკენ მივდიოდით, ირგვლივ ტყე იყო. როდესაც მათი საუბრის ტონმა აიწია და მუქარაც დაიწყეს, დავიძაბე და მანქანის სვლის ოდნავი შენელებისთანავე გადმოვხტი მანქანიდან."**

როგორც ვასილ ხორავა ჰყვება, მას ტყე-ტყე მოუწია დაახლოებით 500-700 მეტრის გარბენა. დანარჩენები კი მუქარით მოსდევდნენ. ბოლოს მან ადგილობრივი მოსახლის სახლში მოახერხა შესვლა და პატრულიც გამოიძახა. პატრულის მოსვლამდე ასათიანი და მისი მეგობრები უკვე სახლის პატრონებს სთხოვდნენ, გადაეცათ მათთვის ხორავა. ადგილზე მისულმა საპატრულო პოლიციამ მათი დაკავება მოახერხა. საქმეს მთაწმინდა-კრწანისის პროკურატურა იძიებს. გუშინ დაკითხეს ვასილ ხორავაც.

გუშინვე მომხდარ ინციდენტს სპეციალური პრესკონფერენცია მიუძღვნა ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე ხეთაგურმა. მისი თქმით, ახალგაზრდა ენერგეტიკოსთა გაერთიანების თავმჯდომარე ვასილ ხორავა და ენერგეტიკის მინისტრის თანაშემწე ბესო ასათიანი დიდი ხნის მეგობრები არიან, ამიტომ გაუგებარია, რატომ მოხდა მათ შორის ინციდენტი. ამასთან, როგორც მინისტრის მოადგილე აცხადებს, იგი "ხორავას ფანტაზიებთან დაკავშირებით" კომენტარის გაკეთებას არ აპირებს.

24 საათი

მოკლედ

მებაჟეების პასუხისმგებლობის საკითხი იხილება

ფინანსური პოლიციის სამცხე-ჯავახეთის ოპერატიულმა სამმართველომ, წინასწარი ინფორმაციის საფუძველზე, ახალციხეში შპს "ბუნებას" კუთვნილი ავტომანქანა დააკავა.

საბაჟო დეკლარაციის მიხედვით, მანქანაში მხოლოდ 20 ტონა ცემენტი უნდა ყოფილიყო, თუმცა, ჩხრეკის შედეგად იქ რამდენიმე დასახელების დიდი ოდენობით სამშენებლო მასალებიც აღმოჩნდა. ტვირთი ამჟამად ექსპერტიზაზეა.

"ამ ავტომანქანამ საბაჟო "აღმოსავლეთის" ნინოწმინდის გამშვები პუნქტი გადმოკვეთა. ახლა ექსპერტიზის პასუხებს ველოდებით და, სავარაუდოდ, შესაძლოა, მებაჟეთა პასუხისმგებლობის საკითხიც დავაყენოთ," - განაცხადა ფინანსური პოლიციის სამცხე-ჯავახეთის ოპერატიული სამმართველოს უფროსის მოადგილემ ზაზა ტაბატაძემ.

მედიანიუსი

სამარშრუტო ტაქსების მძღოლებს ფულს სძალავდა

ფინანსურ პოლიციას გლდანი-ვაგზლის რეისზე მოძრავი N77 სამარშრუტო ტაქსების მძღოლებმა მიმართეს და რეკეტიორებისგან დაცვა სთხოვეს. მათი განცხადებით, ისინი ყოველდღიურად გარკვეულ გადასახადს აძლევდნენ მექანიკოს ნოდარ წიკლაურს, რომელიც ირწმუნებოდა, რომ ამ თანხას აძლევდა ხაზის "კრიშას", ვინმე მალხაზ ჯაბნიაშვილს.

ფინანსურ პოლიციაში მიმდინარე მოკვლევის დროს ნოდარ წიკლაურმა რეკეტის და ფულის აკრეფის ფაქტები უარყო. მოკვლევისას დადგინდა, რომ ასოციაცია "მიკროავტოს", რომლის შემადგენლობაშიც არიან N77 მარშრუტის ხაზის მფლობელები, სახელმწიფოს კუთვნილი 49 ათასი ლარიც აქვს მითვისებული.

ამას გარდა, "მიკროავტოს" უფლება არ ჰქონდა, N77 მარშრუტზე 27 მანქანაზე მეტი ჰყოლოდა, თუმცა, რეალურად 54 მანქანას ამუშავებდნენ.

ამ ფაქტების გამო, ფინანსურ პოლიციაში თაღლითობისა და მითვისების მუხლებით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ტარდება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები მალხაზ ჯაბნიაშვილის დასადგენად.

მედიანიუსი

სახანძრო და ტექნიკური უსაფრთხოების ტექნიკოსი

შპს "ბპ ექსპლორეიშნ (კასპიან სი)"- საქართველო სუფსის ტერმინალზე სამუშაოდ ეძებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირს სახანძრო და ტექნიკური უსაფრთხოების ტექნიკოსის თანამდებობაზე.

სამუშაოს აღწერა
სამუშაოს მდებარეობა - სუფსის ტერმინალი

სახანძრო და ტექნიკური უსაფრთხოების ტექნიკოსის პასუხისმგებლობის სფეროში შედის ტექნიკური უსაფრთხოების აღჭურვილობის სრულფასოვანი და გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. მოცემული აღჭურვილობის გეგმიური შემოწმება და მომსახურების დროული განხორციელება. აღნიშნულ თანამდებობაზე მიღებულ პირს ევალება სუფსის ტერმინალზე მომუშავეთათვის ტექნიკური უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული სასწავლო კურსების ჩატარება, რაც მოიცავს შემდეგი საკითხების სწავლებებს: სამუშაოთა ჩატარების ნებართვები, გაზის ტესტირება, ხანძარსაწინააღმდეგო მოქმედებები.

მოვალეობები და პასუხისმგებლობები

სამუშაოსთან დაკავშირებული მოვალეობები და პასუხისმგებლობა მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:
- ჯანმრთელობის, ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი მოთხოვნების ვალდებულებათა შესრულება.
- აქტიური მონაწილეობა ASA (Advanced Safety Audit - ტექნიკური უსაფრთხოების გაღრმავებული აუდიტი) და STOP (სდექ) პროგრამებში.
- ყველა ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის, სასუნთქი აპარატების, და ტექნიკური უსაფრთხოების სხვა აღჭურვილობის გამართულობისა და საჭიროების შემთხვევაში დაუყოვნებლივი გამოყენების უზრუნველყოფა მათი აუდიტის, ინსპექტირებისა და მომსახურების გზით.
- საგანგებო შემთხვევებზე რეაგირების გეგმების შემუშავება.
- ტექნიკური უსაფრთხოების კურსების ჩატარება სუფსის ტერმინალის პერსონალისა და კონტრაქტორებისათვის.
- შესაძლო არასასურველი შედეგების მქონე შემთხვევების გამოძიებაში მონაწილეობა.
- ჯანმრთელობის დაცვის, ტექნიკური უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის თბილისის ჯგუფისა და მილსადენის საექსპლოატაციო ჯგუფის დახმარება საჭიროებისამებრ.

სამუშაო გამოცდილება და განათლება:

კანდიდატს მოეთხოვება ცოდნის და კვალიფიკაციის შემდეგი დონე:

- სასურველია უმაღლესი განათლება ჯანმრთელობის დაცვის, ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის სფეროში ან ნავთობპროდუქტებთან დაკავშირებულ დისციპლინაში
- ნავთობპროდუქტებთან დაკავშირებული ტექნიკური უსაფრთხოების აღჭურვილობის ინსპექტირებისა და მომსახურების გამოცდილება
- ქართული, რუსული და ინგლისური ენების თავისუფალად ცოდნა
- სამწლიანი შრომითი გამოცდილება ტექნიკური უსაფრთხოების სფეროში და სასურველია, ნავთობპროდუქტებთან დაკავშირებულ ინდუსტრიაში
- სასურველია პერსონალურ კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა **პარასკევი, 18 მარტი, 2005 წელი.**

ყველა შემოსული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

კანდიდატისათვის საქართველოს მოქალაქეობა აუცილებელია. უპირატესობა მიეცემათ ადგილობრივ კანდიდატებს.

კადრების დეპარტამენტი
შპს "ბპ ექსპლორეიშნ (კასპიან სი)"- საქართველო
BP ჯორჯია
აღმაშენებლის გამზირი 123ა
საქართველო, თბილისი

უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

____

ა ნ კ ე ტ ა

სახელი, გვარი..
ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი..
საკონტაქტო ტელეფონი..

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "ელექსი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის 1-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

რელიგიური განათლების პერსპექტივა სახელმწიფო სკოლაში

A6 გვერდიდან

ჩვენს კონკრეტულ აქტუალურ ისტორიას, ჩავებმებით თუ არა ცივილიზაციურ პროცესში, გავაფართოებთ თუ არა კრიტიკულ კონტექსტს, დავადგებით თუ არა გზას, რომელიც წარსულიდან აწმყოს გავლით მომავლისკენ მიდის.

კონფლიქტში უცილობლად დავმარცხდებით, თუკი ტრადიცია დაკონსერვდება, რეფორმა კი უტოპიურ ლოზუნგად იქცევა - ანუ ერთიცა და მეორეც ოფიციალური იდეოლოგიის სახეს მიიღებს. ამგვარ ნეგატიურ მეტამორფოზას კი იმ შემთხვევაში ავირიდებთ, თუ რელიგიურ პრობლემატიკას უკვე საბოლოოდ აეხსნება ტაბუ და გაჩნდება საჯარო დისკუსიის შესაძლებლობა. მაგრამ, ჯერჯერობით, დროთა კავშირი გაწყვეტილია და საქართველოში ლიბერალური დემოკრატიის ყოფნა-არყოფნის საკითხი კვლავაც აქტუალურ ხასიათს ატარებს.

რელიგია და სახელმწიფო იდეოლოგია

ცივილიზაციური პროცესის ყოველდღიურობაში ჩვენი საზოგადოების შეღწევას წინ უნდა უსწრებდეს მის ცნობიერებაში საბჭოური იდეოლოგიური მარწუხების მსხვრევა. დემოკრატიული საზოგადოება დინამიკური, პლურალისტური და დიალოგის მოყვარულია, რომლისთვისაც არ არსებობს აბსოლუტური და უცვლელი ავტორიტეტი - სახელმწიფო იდეოლოგია. ჩვენში კი საბჭოური კომუნიზმის ადგილი თანდათანობით იდეოლოგიზებულმა მართლმადიდებლობამ დაიკავა. წესით, დემოკრატიულ სივრცეში ყოველგვარი ავტორიტეტი უნდა ალაპარაკდეს და ახალ პლურალისტურ გარემოსთან ადაპტირება დაიწყოს. მაგრამ ხდება საპირისპირო - საპატრიარქო ამ მიმართულებით თავადაც დუმს და ჩვენს დადუმებასაც მოითხოვს. მისგან მხოლოდ აკრძალვებს და თავისუფლების შეზღუდვის დირექტივას ვისმენთ, ანუ იქცევა ისე, როგორც ოფიციალური იდეოლოგიის რეპრესიული აპარატი.

რელიგიის სახელმწიფო იდეოლოგიად ტრანსფორმირების პროცესი და მისგან თავდაღწევის საშუალება შეიძლება თვალსაჩინო გახდეს ბაბილონის გოდოლის სიმბოლოს მეშვეობით. ბიბლიის თანახმად, სამოთხედაკარგულმა, მაგრამ ჯერ კიდევ ერთ ენაზე მეტყველმა კაცობრიობამ გამჩენთან დაახლოება, სამოთხეში დაბრუნება გადაწყვიტა. იმდროინდელმა ქურუმებმა ხალხს, ალბათ, ასეთი მოწოდებით მიმართეს: ბაბილონელნო, ერთად ღვთისაკენ! და გაჩაღდა საუკუნის მშენებლობა, რომლითაც, მათი აზრით, მაღლა ცაში მცხოვრებ ღმერთს უნდა მისწვდომოდნენ. მაგრამ როგორც ბიბლია მოგვითხრობს, ადამიანების შემომკრები ნიშანსვეტი სულ მალე ღმერთი კი არა - ვისთვისაც, თითქოს, ეს კოშკი უნდა აგებულიყო - არამედ თავად გოდოლი გახდა... მაშინ, ალბათ, იმის თაობაზეც ითქვა, რომ ეს თვალშეუდგამი ნაგებობა ბაბილონელთა ავტოპორტრეტია, რომ ის არის ადამიანთა ერთობისა და კეთილდღეობის ქვაკუთხედი და ა.შ. შედეგად ადამიანებმა მშენებარე გოდოლი კერპად და კოლექტიური თვითტკბობის საგნად აქციეს. რაბინული იგავი იმასაც გვეუბნება, რომ იმ ბაბილონელი ქურუმებისთვის გაცილებით მეტად ფასობდა სამშენებლო მასალა - გამომწვარი ალიზი, ვიდრე ცოცხალი კონკრეტული ადამიანი; კოშკიდან თითოეულ ჩამოვარდნილ აგურს ისინი მოთქმით დასტიროდნენ, გაჭირვებული ადამიანის კვნესას კი უყურადღებოდ ტოვებდნენ ან, ეგებ, დასცინოდნენ კიდეც.

ერთი სიტყვით, ღმერთთან ასვლის კეთილი სურვილი ბაბილონელთა ცოდვად იქცა. ნარცისიზმისა და აგურის აგურზე დადების ესთეტიკური სიამოვნებისგან კაცობრიობის გადასარჩენად, ცოდვებისა და ღმერთის შესამეცნებლად ადამიანისთვის სხვა, უფრო შესაფერისი საქმიანობის წამოწყების იმპულსი რომ მიეცა, უფალმა კაცობრიობას თავგზა აუბნია და ერთმანეთთან კომუნიკაციის საშუალება - საერთო ენა წაართვა. სანაცვლოდ კი მან ერთმორწმუნე და ერთენოვან ბაბილონელებს ენობრივი და მსოფლმხედველობრივი პლურაზმი უბოძა, როგორც წყალობა, როგორც გადარჩენის გზა.

კარგად რომ ჩავუკვირდეთ "საალმშენებლო" იდეალებით თავის მოტყუების ამ სევდიან ისტორიას, დღევანდელ საქართველოში მართლმადიდებლობის მდგომარეობას ამოვიკითხავთ. მართლმადიდებლობა, როგორც პიროვნული ღმერთის ცოცხალი რწმენა, როგორც ადამიანისა და მაცხოვრის ურთიერთსიყვარულის შესაძლებლობა, დღითი დღე ხელიდან გვეცლება და, ხშირ შემთხვევაში, ათეისტ მართლმადიდებელთა კოლექტივის იდეოლოგიურ კერპად ყალიბდება - ბაბილონის გოდოლის მსგავსად. იდეოლოგიზებული ადამიანების მიერ გამოგონილ ფუნდამენტალისტურ შეხედულებათა კომპლექსს, რომელსაც დღეს მართლმადიდებლობას უწოდებენ, საერთო არაფერი აქვს ღვთივბოძებულ სამოციქულო რწმენასთან. სწორედ მოზეიმე, ოქროვერცხლით შემკული, ცრუსასწაულებით გაჯერებული, შოვინისტური და ანტიდემოკრატიული მართლმადიდებლური იდეოლოგია ხდება ჩვენს ქვეყანაში რელიგიური უმრავლესობის მსოფლმხედველობრივი ორიენტირი და არა 2000 წლის წინ გოლგოთაზე განკაცებული, შემდეგ ჯვარცმული, ახლა კი ჩვენს შორის მყოფი, კარდაკარ მოსიარულე, უპოვარი, მშიერი და მიუსაფარი ღმერთი.

განათლების რეფორმა და სირინოზების კუნძული

ბატონი გია ნოდია ერთ-ერთ პუბლიკაციაში იდეოლოგიას სირინოზების მომაჯადოებელ ტკბილხმოვანებას ადარებს, რომელიც ლიბერალურ-დემოკრატიული ცვლილებების გეზის შეცვლას, საზოგადოებაში პიროვნული თავისუფლების პრინციპების მოშლასა და მის ზომბირებას იწვევს. მართლაც ძნელია გაუძლო იდეოლოგიის მომაჯადოებელი სიმფონიის ხიბლს, როდესაც მას სახელმწიფოსა და ეკლესიის გაერთიანებული ორკესტრი ასრულებს. სირინოზებით დასახლებულ კუნძულზე ადამიანებთან, დიდ ცივილიზაციებთან და კულტურებთან ერთად კი სხვადასხვა ტიპის რეფორმებიც პოულობს სამარეს.

ელის თუ არა საქართველოში განათლების რეფორმას სირინოზების კუნძულზე ალმოჩენის საფრთხე?

ამა წლის 22 იანვარს საპატრიარქოში ხელი მოეწერა ერთ უცნაურ და, თითქოსდა, უწყინარ დოკუმენტს, რომელსაც საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსა და ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ერთობლივი კომისიის მემორანდუმი ეწოდება. როგორც საპატრიარქოს ოფიციალური ორგანო, გაზეთი "საპატრიარქოს უწყებანი" გვამცნობს, "ამ ხელშეკრულებით იწყება საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის არსებული კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე ქვეყნის განათლების სფეროში ურთიერთთანამშრომლობის პროექტის განხორციელება". აქვე ვგებულობთ, რომ "ამ ეტაპზე თანამშრომლობა მხოლოდ სასკოლო პროცესში ჩართვით შემოიფარგლება". ეს კი, როგორც უკვე დოკუმენტიდან ხდება ცნობილი, გულისხმობს სახელმწიფო სკოლისთვის:

"ა) მართლმადიდებლური ქრისტიანული სახელმძღვანელოებისა და სასწავლო პროგრამების შედგენის, ბ) პედაგოგიური კადრების შერჩევის, მომზადებისა და დანიშვნა-გათავისუფლების პროცედურის შემუშავებას. ასევე "გ) მართლმადიდებელი სარწმუნოების შემცველი საგნების და შესაბამისი სახელმძღვანელოების განხილვის პროცესში საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელთა მონაწილეობის პროცედურის შემუშავებას; დ) საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების დაფინანსებისა და ქონებრივი საკითხების სამართლებრივ უზრუნველყოფას და ე) მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თანამშრომლობის ფორმებისა და პირობების დადგენას."

ასე რომ, ერთი მხრივ საპატრიარქო ფაქტობრივად საერო საგანმანათლებლო სისტემაში საფუძვლიანი შეჭრისთვის, მისი კლერიკალიზაციისთვის ემზადება, მეორე მხრივ კი, როგორც ჩანს, სახელმწიფო აპირებს ეკლესიის ინსტრუმენტალიზაციას, მართლმადიდებლობისგან ეროვნული იდეოლოგიის შექმნას, რაც დემოკრატიული საარჩევნო სისტემის მქონე ქვეყანაში, მართლმადიდებელ ელექტორატზე, ანუ აბსოლუტურ უმრავლესობაზე გათვლილი, ჩემი აზრით, არაკეთილსინდისიერი და თანაც მოუზომავი ნაბიჯია. ბიზანტიისა და მეფის რუსეთის გამოცდილებას თუ გავიხსენებთ, იოლად დავრწმუნდებით, რელიგიის იდეოლოგიზაცია, მისი საზოგადოების მართვის ინსტრუმენტად გადაქცევა მომაკვდინებელი რომ არის როგორც ეკლესიისთვის, ასევე საზოგადოებისა და სახელმწიფოსთვისაც. ჰო, რა თქმა უნდა, ამერიკელებისგან არაფერი გვესწავლება, მაგრამ აშშ-ს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ დადგენილებაში ასეთი რამ ჩაუწერია მოსამართლის მადლიან მარჯვენას: **"ძალაუფლებასა და რელიგიას შორის კავშირს ძალაუფლების განადგურებამდე და რელიგიის გადაგვარებამდე მივყავართ."**

სწორედ ასეთი პროგნოზის საბაბს მაძლევს მემორანდუმის ტექსტი. ჩემთვის სრულიად გაუგებარია, სახელმწიფო რატომ უნდა აფინანსებდეს რომელიმე ერთი რელიგიის სწავლებას სკოლაში? თუმცა, ხელისუფლებამ მართლმადიდებლობის ფინანსური უზრუნველყოფა მარტო საერო სკოლაში კი არა, უშუალოდ საეკლესიო სასწავლო დაწესებულებებშიც (მართლმადიდებლური სკოლები, სასულიერო სემინარიები და აკადემიები) უნდა იტვირთოს. რატომ უნდა ფინანსდებოდეს ეს ყველაფერი ბიუჯეტიდან, რომელიც მართლმადიდებლებთან ერთად, მუსლიმების, გრიგორიანელების, კათოლიკეების, იუდეველიბის, ბაპტისტების, იეღოვას მოწმეების, სხვა აღმსარებლობის ადამიანების ან საერთოდ ათეისტების შემოსავლებიდან ივსება. ეს სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნის კონსტიტუციით აღიარებულ პრინციპს ხომ არღვევს, მაგრამ, რაც ამაზე უარესია, სხვა კონფესიების მიმდევართა აშკარა დისკრიმინაციასაც გულისხმობს.

გაუგებარია აგრეთვე საერო სკოლის პედაგოგის შერჩევისას რა როლი უნდა შეასრულოს საპატრიარქომ? რელიგიის მასწავლებელი მისი კვალიფიკაციის და არა აღმსარებლობის მიხედვით უნდა იყოს შერჩეული. მით უფრო, რომ პედაგოგის საქმე მგზნებარე ქადაგების წარმოთქმა კი არა, ცოდნის გადაცემაა, თანაც ყველა რელიგიის მიმართ ნეიტრალობის პრინციპის უპირობო დაცვით. დაუშვებელია რელიგიის ერთ კონფესიაზე დაყრდნობით სწავლება. სარწმუნოებას ეკლესიაში და, თუ მშობლები და ეკლესიის მესვეურები საჭიროდ ჩათვლიან, საკვირაო და კერძო კონფესიურ სკოლებში უნდა ქადაგებდნენ - ეს მათი უფლებაა. სახელმწიფო დაწესებულებაში ქადაგება კი მხოლოდ და მხოლოდ მართლმადიდებლურ-პატრიოტული იდეოლოგიური "ხაზის გატარებას" შიძლება ნიშნავდეს. რელიგიის ისტორიისა თუ რელიგიათმცოდნეობის გაკვეთილზე, ყოველგვარი ქადაგებისა და სხვა რწმენის ბავშვების დისკრიმინაციის გარეშე, მიუკერძოებლად უნდა ისწავლებოდეს სხვადასხვა აღმსარებლობები - მათ ჰუმანისტურ და ტოლერანტულ პოტენციალზე აქცენტირებით. რელიგიის შესახებ სწვლებისადმი ამგვარ მიდგომას მოითხოვს სალი აზრი და ისტორიულ გამოცდილებაზე დამყარებული საერთაშორისო ნორმატივები. რელიგიური ფუნდამენტალიზმისა და ქსენოფობიისგან თავის დაღწევა ისევ და ისევ რელიგიის მართებული სწავლებით არის შესაძლებელი.

სხვა შემთხვევაში განსხვავებული რწმენისა და შეხედულებათა მქონე ბავშვების, მათი მშობლების ნებასურვილის იგნორირებას მოვახდენთ, სკოლის საერო და დემოკრატიულ ხასიათს შევლახავთ და ეკლესიას კი იდეოლოგიის სამინისტროდ გადავაქცევთ. წინა საუკუნის 70-80-იანი წლების საქართველოს კომუნისტურ სკოლაში ყველაზე არაპოპულარული, აბუჩად აგდებული და საძულველი თავად კომუნიზმი იყო. მარქსის, ლენინისა და სხვა ბელადების პორტრეტებს კუდებით, რქებით, ბრჭყალებითა და ათასგვარი ინფერნალური ნიშნით ამკობდნენ ხოლმე იდეოლოგიით დაბანგული კომკავშირელები. სხვათა შორის, სწორედ კარლ მარქსს ეკუთვნის რელიგიის ბუნების ორი უზუსტესი განმარტება: პირველი: **"რელიგია უგულო სამყაროს გულია"** და მეორე: **"რელიგია ოპიუმია ხალხისათვის".**

საერო სკოლის ტერიტორიაზე ეკლესიის დაბანაკების ხელშეწყობით მართლმადიდებელთა მფეთქავ გულს ოპიუმად ქცევის საფრთხე ემუქრება.

ცენზურა

მემორანდუმის **გ. პუნქტი** რელიგიური ცენზურის საფრთხეს შეიცავს, რადგან აქ "მართლმადიდებელი სარწმუნოების შემცველი" საგნების სწავლებასა და სახელმძღვანელოების შედგენაში საპატრიარქოს ჩაბმაზეა საუბარი. ამ პუნქტის განხორციელება ყველაზე მოკლე გზაა შუა საუკუნეებში დასაბრუნებლად. ეს კი იყო ნეტარი ჟამი, როცა ყველაფერი ეკლესიის კურთხევითა და ცენზურით ისწავლებოდა, ხოლო ვინც შემთხვევით, უარყოფდა გეოცენტრიზმს და სანაცვლოდ ჰელიოცენტრიზმს აღიარებდა, მაგალითად, ზოგჯერ კოცონზე იწვოდა, კურთხევით.

წარმოიდგინეთ რამდენი საგანია "მართლმადიდებლური სარწმუნოების საკითხების შემცველი". რა ბედი ელის, ვთქვათ, საერო ლიტერატურას. სასულიერო პირთაგან მსმენია, რომ "ვეფხისტყაოსანი" გარყვნილების მქადაგებელი ეროტიკული ქმნილებაა. ვიცი შემთხვევები, როდესაც მრევლს "ასკეტი" მოძღვრები მის კითხვას არ ურჩევდნენ. გაიხსენეთ თუნდაც ზაქარია გაბაშვილი და ანტონ კათალიკოსი. ჩვენს ეკლესიაში დღეს სასულიერო პირთა ყველაზე ძლიერ ჯგუფად ე.წ. "ჩვილწამწყმედელები" ითვლება, ანუ ისინი, მოუნათლავად გარდაცვლილი, თუნდაც საერთოდ დაუბადებელი ბავშვების ჯოჯოხეთში განდევნას რომ ამტკიცებენ. ამ ჯგუფისა და, შეიძლება ითქვას, ეკლესიაში აქტიური მრევლის უმრავლესობის ყველაზე წონიანი ავტორიტეტი საქართველოში მცხოვრები ბერი, არქიმანდრიტი რაფაელ კარელინი გახლავთ. არქიმანდრიტი რენესანსის პერიოდიდან მოკიდებული საერო, ჰუმანისტურ კულტურას, მეცნიერებასა და საერთოდ არაეკლესიური აზროვნების ყოველგვარ გამოვლინებას კაცობრიობის ფარულ დემონიზაციად, ხოლო მართლმადიდებლობის გარდა ნებისმიერ აღმსარებლობას სატანის უშუალო მსახურებად მიიჩნევს.

საკითხავია, საითკენ წავალთ, ეკლესიამ ეს შეხედულებები რომ გამოიყენოს სახელმძღვანელოების შედგენასა და სწავლების პროცესში ჩარევისას. ხომ შესაძლებელია, მაგალითად, უახლესი ისტორიის სასკოლო წიგნი შემდეგი სიტყვებით დასრულდეს: **"ისტორიული თვალსაზრისით თუ განვიხილავთ, მართლაც ბოლო ჟამია. ამის ნიშნებია გლობალიზაციის პროცესი, ევროპაში საერთო ვალუტა, ევროკავშირში საერთო პრეზიდენტის არჩევისათვის მზადება, ასევე ბიომეტრული ჩიპების დანერგვისათვის მზადება, რომლითაც მოხდება მთელი კაცობრიობის კონტროლი, გაუთავებელი კონფლიქტები, საყოველთაო უსაფრთხოებისა და მშვიდობისკენ სწრაფვა, ოღონდ ღვთის გარეშე, რელიგიური გრძნობების გაღვიძება და ზნეობის დაკარგვა("ანტიქრისტე მოდის" - ინტერვიუ მღვდელ თეოდორე გიგნაძესთან. "მეოთხე" 10. 12. 2004.).** დღესდღეობით მართლმადიდებელ მრევლში ეს პოზიცია სამყაროსთან, თანამედროვეობასთან დამოკიდებულების ტიპური ნიმუშია და ეკლესიაში ამის თაობაზე ვინმეს რომ შეეკამათო, ალმაცერად შემოგხედავენ.

საბუნებისმეტყველო საგნებსაც ცუდი დღე ელით. ამას წინათ, პრესით ზემოთ მოყვანილი ციტატის ავტორმა 23 ნოემბერს ამოვარდნილი გრიგალი წმ. გიორგის განრისხებით ახსნა. მოგვიანებით სხვა მღვდელმა ეს აზრი დაიწუნა და საჯაროდ განაცხადა, რომ ის ისტორიული უამინდობა წმ. გიორგის კი არა, ეშმაკის ბრალი ყოფილა. მაშასადამე, გეოგრაფიის ან ფიზიკის სახელმძღვანელოში შეიძლება ასეთი პარაგრაფი გაჩნდეს: წმინდანები და დემონები, როგორც ბუნების მოვლენების მიზეზი. თავად კათალიკოს-პატრიარქმა კი საშობაო ეპისტოლეში ძველი და ახალი სტილის კალენდრების შედარებისას, უმჯობესის გამოსავლენ არგუმენტად სასწაულები მოიხმო, რომლებიც მარტოდმარტო ძველი სტილით აღსრულდება ხოლმე. პრინციპში, ასტრონომიული მეცნიერებისთვის ეს არგუმენტები სრულიად მიუღებელი იქნებოდა, რომ არა რეალური ფაქტი: თურმე ყოველწლიურად, წყალკურთხევის დღეს, მაშინ, როცა იერუსალიმის პატრიარქი მდინარეში შედის, იორდანე ჩერდება და შემდეგ, წუთიერად აღმა სვლას იწყებს. თანაც ამ ფაქტს ათასობით მომსწრე ყავს. მართალი გითხრათ, სანამ სასწაულებრივ წყალშექცევას, ურწმუნო თომასავით ჩემი ხორციელი თვალი არ იხილავს და ხელი არ შეეხება, ამას ვერ დავიჯერებ. მაგრამ ის უფრო მეტად მაფიქრებს, გეოგრაფიის ან ფიზიკის სახელმძღვანელოში ეს ობიექტური ფაქტიც რომ შეიძლება აისახოს.

ცალკე თემაა სკოლაში კრეაციონიზმისა და ევოლუციონიზმის სწავლების დიალექტიკა, მაგრამ ამაზე ოდნავ მოგვიანებით.

სადაც სამართალი, იქვე უსამართლობა

ახლა კი გულდასმით წავიკითხოთ რამდენიმე პუნქტი განათლების შესახებ საქართველოს ჯერ კიდევ მოქმედი კანონიდან:

მუხლი 1. სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ბ) სწავლებისა და აღზრდის ჰუმანისტური ხასიათი;

ე) ზოგადსაკაცობრიო, ეროვნულ - კულტურულ ღირებულებათა და საგანმანათლებლო ტრადიციათა აღიარება და პატივისცემა;

ვ) განათლების მეცნიერული ხასიათი;

ი) განათლების სისტემის დემოკრატიულობა;

კ) სააღმზრდელო და საგანმანათლებლო დაწესებულებათა დამოუკიდებლობა პოლიტიკურ და რელიგიურ გაერთიანებათაგან.

თუმცა, საქმე ისაა, რომ ამავე კანონის მე-13 მუხლში მითითებულია: **"განათლების სამინისტრო ... საქართველოს საპატრიარქოსთან ერთად შეიმუშავებს საგანმანათლებლო პროგრამებს, სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამებს, საგანმანათლებლო სტანდარტებისა და სხვადასხვა საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების სახელმწიფო სტანდარტების პროექტებს",** ხოლო კონსტიტუციური შეთანხმების მიხედვით კი **"სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილნი არიან განათლების სისტემაში განახორციელონ ერთობლივი პროგრამები(5.3)."** სიმართლე გითხრათ, ჩემთვის იორდანეს აღმასვლა უფრო დასაჯერებელი და მისაღებია, ვიდრე ის, რომ განათლების კანონის 1-ლი მუხლის კ) პუნქტი კანონის მე-13 მუხლსა და კონსტიტუციური შეთანხმების ამ დებულებასთან ჰარმონიულად ურთიერთობს.

ყველაფერი არის ძლიერ კარგად...

ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ მემორანდუმს მხოლოდ დეკლარაციული ხასიათი აქვს და სამომავლოდ მასში ასახული პირობები არ შესრულდება. მაგრამ, ვფიქრობ, ასეთ თვალსაზრისს სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებებში რელიგიის მონაწილეობისა და, ზოგადად, ქვეყანაში რელიგიური ფონის არაადეკვატური შეფასება განაპირობებს. ყოველგვარი ირონიის გარეშე ვიტყოდი, რომ მემორანდუმმა შედარებით რბილადაც კი ასახა სკოლებში არსებული რეალობა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია უკვე დიდი ხანია, რაც თითქმის ყველა სახელმწიფო სკოლის ცხოვრებაში მონაწილეობს მრავალმხრივად და მეტად აქტიურად.

სახელმძღვანელო

დავიწყოთ სახელმძღვანელოდან. განათლების სამინისტროს გრიფით სარგებლობს ორი წიგნი: "რელიგიის ისტორია და კულტურა" და "ქრისტეს გზა". პირველში, მართალია, მხოლოდ ქრისტიანული სარწმუნოებაა წარმოდგენილი, მაგრამ, იმის გამო, რომ მასში კულტურასა და რელიგიას შორის ერთგვარი ბალანსია დაცული და მისი ავტორი ზედმიწევნით მკაცრად არ მიჰყვება საეკლესიო დოგმატიზმის გზას, ფუნდამენტალისტური წრეების მხრიდან ("მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი") სახელმძღვანელო მძაფრი კრიტიკისა და ხანგრძლივი სასამართლო გარჩევის ობიექტად იქცა. 2002 წელს კი საპატრიარქოს განათლების კომიტეტის მხარდაჭერით მოქმედი ფანატიკოსების ზეწოლის შედეგად, განათლების სამინისტრომ III-IV კლასებისთვის ალტერნატიულ სახელმძღვანელოდ "ქრისტეს გზა" დაამტკიცა. იგი შედგენილია საბერძნეთის განათლების სამინისტროს სასკოლო სახელმძღვანელოს მიხედვით. წიგნის ლიტერატურულ და ესთეტიკურ უგემოვნობაზე მეტად ის არის შემაშფოთებელი, რომ სახელმძღვანელო ერთგვარი თანამედროვე გზამკვლევია, კატეხიზმოა მართლმადიდებლობაზე მოსაქცევად.

მასწავლებლები

სახელმძღვანელო რაც უნდა პლურალისტური პრინციპების გათვალისწინებით იყოს შედგენილი, საქართველოს სახელმწიფო სკოლებში, ძირითად პრობლემას მაინც რელიგიის პედაგოგების განათლების დონე და ამ საგნისადმი მათი დამოკიდებულება წარმოადგენს. საგანი, რომელიც სკოლებში "რელიგიის ისტორიისა და კულტურის" სახელით ისწავლებოდა, ფაქტობრივად, "სალვთო სჯულის" სწავლებასთან იყო გაიგივებული. ამასთანავე, პედაგოგები ზოგჯერ უშუალოდ სასულიერო პირები იყვნენ. თბილისის ერთ-ერთ სკოლაში, სადაც რამდენიმე წლის წინ რელიგიის პედაგოგად მომიხდა მუშაობა, ჩემი წინამორბედი მართლმადიდებელი ეკლესიის დიაკვანი გახლდათ, რომელიც მოსწავლეებში შეუწყნარებლობისა და ფანატიზმის სულისკვეთებას ნერგავდა; კლასში მკაცრ რელიგიურ და სქესობრივ სეგრეგაციას ახდენდა. არამართლმადიდებლებს ან მოქცევისკენ უქადაგებდა, ან დაბალ ნიშნებს უწერდა, ეპყრობოდა დამამცირებლად, არ ისმენდა მათ მოთხოვნებს. გოგონებს ერთად, ბიჭებისგან გამოცალკევებით სვამდა და "მართლმადიდებელი ქალისთვის შეუფერებელი" ტანსაცმლით კლასში არ უშვებდა, ანუ აუცილებლად თავდაბურულნი უნდა ყოფილიყვნენ და მხოლოდ და მხოლოდ ქვედაბოლოთი ან კაბით უნდა ევლოთ. ამის გამო, მაღალ კლასებში გოგონებში პროტესტის გრძნობა ღვივდებოდა და მათი ნაწილი საერთოდ აღარ ესწრებოდა გაკვეთილს. ამგვარ და ამაზე უფრო მეტად გამაოგნებელ ფაქტებს საქართველოს სკოლებში როგორც გასულ წლებში, ისე ახლაც წააწყდები ხოლმე.

რა ისწავლება რელიგიის გაკვეთილზე?

პედაგოგების განათლების დონე, როგორც ვთქვი, მეტად დაბალია და ეს არცაა გასაკვირი იმ ფონზე, რომ თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის რექტორად წლინახევრის განმავლობაში უკვე მეორედ ინიშნება საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი. იმას ვგულისხმობ, რომ ეკლესიაში შესაბამისი ინტელექტისა და გამოცდილების მქონე კადრის მოძიება ჭირს, ტოტალური გაუნათლებლობა სუფევს და პატრიარქიც დროგამოშვებით იძულებული ხდება, თავად ჩაუდგეს მთავარ მართლმადიდებლურ სასწავლო დაწესებულებას სათავეში. საქართველოში ერთ ათეულს თუ აღწევს ფართოდ კი არა, ვიწროდ განათლებული სასულიერო პირების რაოდენობა. "მწამს ის, რაც არ ვიცი და არ ვიცი ის, რაც მწამს" - სწორედ ასე შეიძლება გამოიხატოს დღევანდელი სასულიერო პირის რწმენისა და ცოდნის ურთიერთმიმართება. ეს ეკლესიისა და ქვეყნის უდიდესი პრობლემაა. ასე რომ, რაღა გვეთქმის სკოლის პედაგოგებზე, რომელთა უმრავლესობა ამგვარი "სულიერი მწყემსების" მორჩილ სამწყსოს მიეკუთვნება.

მასწავლებელი თუკი "სულიერი შვილია", მაშინ "მამაოს" უპირობო ავტორიტეტის წყალობით, მისი ფაქტობრივი მედიუმი ხდება კლასში. მოძღვრის ინსტიტუტი უმთავრესად ამ გზით, გაშუალებულად მონაწილეობს სკოლის ცხოვრებაში. აქედან გამომდინარე, ბავშვებში ფართოდ ვრცელდება ხოლმე ამა თუ იმ მღვდლის ან საეკლესიო დაჯგუფების ფანატიკური "სწავლება" განსხვავებული რელიგიების, ქართველი ერის გამორჩეულობისა და მისიის, სამყაროს მოახლოებული დასასრულის, მართლმადიდებლობის წინააღმდეგ მასონურ-ებრაული შეთქმულების, ლიბერალურ-დემოკრატიული "უსჯულოების" და სხვადასხვა თანამედროვე "სატანისტურ-ლუციფერისტული" ხდომილების შესახებ. განსაკუთრებით აქტიურად მიმდინარეობს ე.წ. ანტისექტანტური პროპაგანდა. სწორედ ჩამოთვლილი საკითხების სპექტრია ძირითადად ჩვენი დროის მართლმადიდებლური ფუნდამენტალიზმის საკვანძო თემები.

ხდება პირიქითაც. რელიგიური შეუწყნარებლობის იმპულსი, ისევ და ისევ "მოძღვრების" დამსახურებით, თავად ბავშვებიდანაც მოდის ხოლმე. მაგალითად, ერთ-ერთი სკოლის მოწაფემ გაკვეთილზე გააპროტესტა მასწავლებლის ლმობიერი დამოკიდებულება მონოფიზიტობისა და მისი მიმდევარი ერისადმი და პედაგოგს წარბშეკრულმა შებღვირა: გრიგორიანელებთან მეგობრობა არ შეიძლება, მამაომ მითხრა!

ლოცვა, რიტუალები, რელიგიური ატრიბუტიკა, სამლოცველოები, ეკლესიები სკოლისა და სკოლის ეზოს ტერიტორიაზე, სასულიერო პირები სკოლაში

რელიგიის გაკვეთილის დაწყებამდე ლოცვის წარმოთქმა უკვე საყოველთაოდ გავრცელებული ნორმაა. ზოგიერთ სკოლაში ლოცულობენ ყოველი მორიგი სასწავლო საათის დაწყების წინაც. ეს იმაზეა დამოკიდებული, რამდენადაა დირექტორი ეკლესიური და მკაცრია თუ არა მისი მოძღვარი. სხვადასხვა საგნის პედაგოგებიც თვითნებურად მიმართავენ ხოლმე ასეთ პრაქტიკას. ამასთანავე, როგორც წესი, არ არის გათვალისწინებული მოწაფის რელიგიური აღმსარებლობა ან, თუნდაც, სურვილი, რომ არ ილოცოს. ეს აშკარა დისკრიმინაცია და იძულებაა რელიგიურ ნიადაგზე. მაგრამ ასეთი მიდგომა, უშუალოდ მართლმადიდებლური ლოცვითი გამოცდილებიდან გამომდინარეც, მკვეთრად უარყოფითად უნდა შეფასდეს. ლოცვა მხოლოდ ნებაყოფლობითი აქტია. დანარჩენ შემთხვევაში, იგი აზიანებს სულიერ ჯანმრთელობას, ან ამ წმინდა ქმედების უხეშ პროფანაციას ახდენს. ეს ეხება ასევე პირჯვრის გადასახვას. ხშირია შემთხვევა, როდესაც განსხვავებული სარწმუნოების მოსწავლეს მასწავლებელი პირჯვრის გადასახვას ასწავლის და აიძულებს კიდეც. გავრცელებულია დაჩოქვით ლოცვის ფორმა. იყო შემთხვევები, როდესაც მოსწავლე, თუკი სასულიერო პირი ასწავლიდა საგანს, "ცოდვებისათვის" მეტანიებით იხდიდა სასჯელს.

სალოცავი ოთახი და კუთხე, საბჭოური "წითელი კუთხის" მსგავსად, თითქმის ყველა "თავმოყვარე" სკოლაშია მოწყობილი.

დღესდღეობით შეიძლება ითქვას, არც კი მეგულება საკლასო ოთახი (განსაკუთრებით, ჰუმანიტარული დისციპლინის), სადაც არ არის გამოფენილი ჯვარი და ხატი. ოთახებში დევს ასევე ბოთლი ნაკურთხი წყლით, იკმევა საკმეველი, ანთია კანდელი. ზოგიერთი სკოლის ტერიტორიაზე, ეზოში მოქმედებს ტაძარი, თუმცა, ზოგან ეკლესია შენობაშივეა განთავსებული. მაგალითად, თბილისის პირველ კლასიკურ გიმნაზიაში. ჩვეულებრივ, სასწავლო დღის განმავლობაში ტაძარი ღიაა და მასში ნებისმიერ გარედან მოსულ ადამიანს აქვს შესვლის შესაძლებლობა. აქვე იყიდება საეკლესიო ბროშურები და პრესა, რომლითაც, ხშირ შემთხვევაში - და ამას უკვე საპატრიარქოც ადასტურებს - ანტიკულტურული, ანტიმეცნიერული, ანტიჰუმანური ან, უბრალოდ, კოშმარული აპოკალიპტური შეხედულებები ვრცელდება.

ჩვეულებრივი მოვლენაა სკოლის კურთხევისათვის სასულიერო პირის მოწვევა, სკოლის შენობაში მღვდელმსახურის თანდასწრებით მართლმადიდებლურ-პატრიოტული საღამოებისა და სხვადასხვა ღონისძიების გამართვა. იშვიათად, მაგრამ ტარდება ხოლმე ექსკურსიები არამარტო მონასტრებში, სადაც ბავშვების ინდოქტრინაციის ხარისხი განსაკუთრებით მაღლა იწევს, არამედ - წირვაზე დასასწრებად, საზიარებლად და აღსარების სათქმელადაც კი. ეს ხდება დასვენების დღეებშიც და უშუალოდ სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროსაც.

ადგილი აქვს კურიოზებსაც. თბილისის I გიმნაზიის პედაგოგთა ერთმა ჯგუფმა ბიოლოგიის მასწავლებელს შიდსთან ბრძოლის დღეს უფროსკლასელი ბავშვებისთვის სრულიად კორექტული პროფილაქტიკური დანიშნულების მქონე დოკუმენტური ფილმის ჩვენების გამო სკოლის დატოვება მოსთხოვა. სხვა სკოლაში მასწავლებელი ოთხშაბათსა და პარასკევს ანუ სამარხვო დღეებში ბავშვებს სიცილს უკრძალავდა. ხოლო ქუთაისის ერთ-ერთი ელიტარული სკოლის "რელიგიათმცოდნემ" ნუგზარ პაპუაშვილისგან "მართლმადიდებლობის" დასაცავად 50-ე ფსალმუნიდან ასეთი ციტატა მოიხმო: "მწამს ერთი მამა უფალი, იმას შემოვევლე, იმას ვენაცვალე." ამას წინათ საზოგადოებამ ისიც შეიტყო, ერთ-ერთი პროვინციული სკოლის ბიოლოგიის პედაგოგი როგორ გააფთრდა, მარლმადიდებელი უფროსკლასელი პროტესტანს რომ მისთხოვდა და მან კი ხელის შეშლა ვერ მოასწრო.

ღვთაებრივი ელექტროდინამიკა და თავისუფლების საზღაური

იდეოლოგიური ტოტალიტარიზმი გროტესკისა და აბსურდის ნიშნებს ატარებს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ერთიცა და მეორეც უკვე სახეზეა. ალბათ, ასევე გროტესკულია ამბავი, რომელიც იმით დაიწყო, რომ განათლების მინისტრმა ჟურნალისტს საკუთარი აღმსარებლობის გამხელაზე უთხრა უარი, ხოლო ერთი წლის თავზე პატრიარქის წინაშე მუხლი მოიყარა, ჯვარ-ხატებით ხელი დაიმშვენა და იმგვარი მემორანდუმის დადება მოახერხა, რომ მოგვიანებით უკვე სხვა ჟურნალისტმა კრეაციონიზმის სწავლების აუცილებლობაზეც კი აალაპარაკა მართლაც მოჯადოებულივით მომზირალი მინისტრი.

აქ კი ცოდვა იქნება, არ გაამხილო უწმინდესისა და უნეტარესის მიერ ჩამოყალიბებული, საპატრიარქოსთან არსებული კრეაციული საზოგადოების წევრისა და მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის ლევან ჭანტურიშვილის ფიქრები: **"ასეთი თანდათანი ნაბიჯებით მივედით საინტერესო შედეგამდე: კვანტური და კლასიკური ელექტროდინამიკების გვერდით უნდა არსებობდეს ღვთაებრივი ელექტროდინამიკა, რომელიც ბევრ დაკანონებულს იხილავს კრეაციული კუთხით.(!)... რთული პრობლემაა, როგორ შევიყვანოთ კრეაციული ცნებები სკოლასა და უმაღლეს სასწავლებლებში. ასეთი თავსატეხი მხოლოდ პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებობს"** (საქ. რესპ. 2004. 12. 05. "ქართველი კრეაციონისტების პირველი ნაბიჯები").

ბატონი ლევანის დასამშვიდებლად ის მინდა ვთქვა, რომ "რთული აღარ არის"; თუ ასე გაგრძელდა, კიდევ "ბევრ დაკანონებულს ვიხილავთ კრეაციული კუთხით" და ამგვარი თავსატეხი ჩვენს გარდა პოსტსაბჭოურ სივრცეშიც კი აღარავის ექნება.

აქამდე "მართლმადიდებლები" ვარაუდობდნენ, რომ განათლების მინისტრი მასონთა ლოჟის განდობილი წევრი იყო, ამ მემორანდუმის დადების შემდეგ კი ეჭვი მაწვალებს: ხომ არ ულალატა ბატონმა კახა ლომაიამ მასონებს და კრეაციული საზოგადოების ხელდასხმა მიიღო? თუმცა, განათლების მინისტრს შეიძლება "გაუგო" კიდეც, რადგან შეუძლებელია მუშაობა, როდესაც, ერთი მხრივ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფანჯრებთან "მართლმადიდებელ" მშობელთა მუდმივი პიკეტებია, როცა გამუდმებით სატანიზმში გადანაშაულებენ, ხოლო, მეორე მხრივ, პრეზიდენტი "ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე" საპარლამენტო ტრიბუნიდან ემუქრება ყველას და, ალბათ, განსაკუთრებით სასულიერო აკადემიისა და სემინარიის იმ 23 სტუდენტს, ერთ მღვდელსა და თითოოროლა უფლებადამცველს, რომლებმაც ეკლესიაში გაუნათლებლობაზე, საპატრიარქოს ბიზნესზე, შორენა თეთრუაშვილზე, რიჩარდ ჰოლბრუკზე და კიდევ სხვა მეტნაკლებად მნიშვნელოვან პრობლემებზე გაბედეს საჯაროდ საუბარი.

ძალაუფლებით მოსილი კარგი ადამიანებიც კი ყოველთვის ცდუნებულნი არიან საკუთარი ძალაუფლების დაკარგვის შიშით და ამიტომ სურვილის საწინააღმდეგოდ მაინც ურიგდებიან ხოლმე ფარისევლობას, სიყალბეს, უსამართლობას, გაბატონებული სტერეოტიპების ტყვეობას. ხელმოწერილი მემორანდუმით განათლების მინისტრსა და მის რეფორმებს სამომავლოდ სწორედ ამ გარიგებას სთავაზობს თანამედროვე სირინოზთა კუნძული - მართლმადიდებლური იდეოლოგია.

ჩვენ კი ისღა გვაიმედებს, რომ მინისტრს რომელიმე კირკემ უკვე აუხსნა, როგორ დააღწიოს მისმა ხომალდმა მომაკვდინებელ კუნძულს თავი. და, ალბათ, ეკიპაჟშიც აღმოჩნდებიან სანთლით ყურებდაცობილი მეზღვაურები, რომლებმაც გადამწყვეტ მომენტში ანძაზე უნდა მიაბან კაპიტანი, რათა მან გულდასმით უსმინოს, მაგრამ არ დაემონოს სირინოზთა ტკბილხმოვანებას.

განათლების სამინისტროს ერთ-ერთი სტრატეგი ბატონი გიგი თევზაძე წერს: "როდესაც სახელმწიფოს დაემატება "ეკონომიკა" "განათლება" და "ოჯახი", საქმე გვექნება დიქტატურასთან და თუ ეკლესიაც ფიგურირებს ამ კომპლექსში - "თეოკრატიასთან."

როგორც ჩანს, სწორედ ახლაა ის დრო, როცა მხოლოდ დაბმულ მდგომარეობაშია შესაძლებელი მომნუსხველი გალობისგან თავის დაცვა და რეფორმების კურსის შენარჩუნება.

ჰენრიკ ლარსონი: „ბარსელონაში ბედნიერი ვარ!„



B5

ნიჭს მოკვლას უპირებენ

B3

ტელებიჭუნები

B8

ვაი ჭკუისაგან

სოფიო თოდუა

მე ასე მესმის: ნებისმიერი სახელმწიფო სტრუქტურა იქმნება იმ მიზნით, რომ კონკრეტული დარგის მართვა გაადვილდეს. რადგან მართვა კულტურას ისევე სჭირდება, როგორც სოფლის მეურნეობას ან ენერგეტიკას, დარწმუნებულები უნდა ვიყოთ, რომ რეორგანიზაციას მერიაში სასიკეთო ცვლილებები მოჰყვება და არა - პირიქით.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ კულტურის საქალაქო სამსახურის ყოფილმა უფროსმა დათო ოქიტაშვილმა სამსახურიდან წასვლაზე უარი განაცხადა. გაბრაზებული ჩინოვნიკის გაჯიუტებას სტრუქტურის რეორგანიზაცია მოჰყვა და ოქიტაშვილს თანამდებობის დატოვება მაინც მოუწია. თბილისის მერის ბრძანებით (20. 12. 2004) კულტურისა და განათლების საქალაქო სამსახურები გაერთიანდა და ახალ სამსახურს განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური ეწოდა. 2005 წლის ბიუჯეტში ეს სტრუქტურა 60 მილიონი ლარით დაფინანსდება.

არა მგონია, იმაზე ლაპარაკი ღირდეს, რაც უმათავრესად "ყვითელ პრესაში" იწერება: რა ნიშნით დაინიშნა ნატა მაჩალაძე უფროსად ან რა ვერ გაიყვეს დღევანდელმა ხელმძღვანელმა და ყოფილმა თანამშრომლებმა ერთმანეთში. მე უფრო ის საკითხები მაინტერესებს, კულტურისა და განათლების ეფექტურად მართვას რომ შეეხება. იქნებ, ბოლოს და ბოლოს, ის დროც დადგეს, როცა სახელმწიფო მოხელე სხვაობას კულტურასა და მასკულტურას შორის გამადიდებელი შუშის გარეშეც დაინახავს.

რადგან კულტურის მართვაზე ჩამოვარდა სიტყვა, როგორც ჩვენი ქვეყნის რიგითი მოქალაქე, მეც გარანტირებული უნდა ვიყო, რომ ამ სფეროს მართვა გონიერ ხალხს დაევალება და გარდამავალი ეტაპით სპეკულირებას ერთხელ და სამუდამოდ დაესმევა წერტილი. ამიტომაც ვარჩიე, პასუხი იმ კითხვებზე, რომელიც მე გამიჩნდა, ჩემზე ჭკვიანებს მოვთხოვო. მინდა მჯეროდეს, ასეთი ადამიანები სახელმწიფო სტრუქტურებში, მათ შორის მერიასა და საკრებულოშიც, მრავლად არიან.

შეკითხვა პირველი: რამ გამოიწვია ქალაქის დონეზე კულტურისა და განათლების სამსახურების გაერთიანების აუცილებლობა მაშინ, როცა სამინისტროს დონეზე სახელმწიფოს მიზანშეწონილად მიაჩნია კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის ერთდროული მართვა? გამოდის, რომ კულტურის სამინისტროს ფუნქციები ერთი მიმართულებით უფართოვდება, ქალაქის სამსახურს კი - მეორე მიმართულებით. არადა, ყოველდღე გვესმის, რომ განათლების რეფორმა, როგორც მოსალოდნელი იყო, მტკივნეულად მიმდინარეობს. ისიც ვიცი, რომ ყველაზე ბევრი სასწავლებელი თბილისშია თავმოყრილი. თუ არ ვცდები, ყველაზე მეტი კულტურული ღონისძიებაც, სამწუხაროდ, დედაქალაქში ტარდება. ძალაუნებურად ჩნდება ეჭვი, რომ ამ ორი სამსახურის გაერთიანება ოქიტაშვილის გაჯიქებას (არადა, სულ სხვა შთაბეჭდილებას ტოვებდა) მოჰყვა. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარია, როგ-

ასე გამოიყურება თბილისელებისათვის კარგად ნაცნობი პლანეტარიუმი ფუნიკულიორზე.

მშენებლობამ ვერის ბაღსაც დაასვა დაღი.

ორ მოახარხებს ქალაქის მერია და კულტურის სამინისტრო შეთანხმებულად მოქმედებას, თუ სხვადასხვა პრინციპით იხელმძღვანელებს. თუ ვერ მოახერხებს, მაშინ კულტურის მართვაზე ლაპარაკი არ ღირს.

მეორე შეკითხვა: თუ 23 ნოემბრის შემდეგ ბიუჯეტის შესრულება ისე პრობლემური აღარ არის, როგორც ეს ადრე ხდებოდა, რამ გამოიწვია ბიუჯეტზე მყოფი თითქმის ყველა სტრუქტურის დაფინანსების შემცირება? ეს განსაკუთრებით მუნიციპალურ თეატრებს ეხება. განათლებისა და კულტურის სამსახურის დღევანდელი უფროსის ხმამაღალი განცხადების მიუხედავად - თითქოს იმ 11 თეატრიდან, რომლებიც მუნიციპალურ დაქვემდებარებაშია, თითქმის ყველა მათ მიერვე წარმოდგენილი ბიუჯეტის ფარგლებში ფინანსდება, თეატრების ხელმძღვანელები საპირისპიროს ამტკიცებენ. ასეთი თამამი განაცხადი უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში, მგონი, არავის გაუკეთებია. მაგალითად, ახმეტელის თეატრში შარშან საქმე იქამდეც მივიდა, ხელფასების გასაცემი თანხებიც აღარ იყო და თანამშრომლები ხანგრძლივ "შემოქმედებით" მივლინებებში გაუშვეს. წლევანდელი ბიუჯეტიც საგრძნობლად შეკვეცილია. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა თეატრებში. აქვე: ვის უნდა ეყოს ის 130 000 ლარი, რომელიც მთელი თეატრალური ხელოვნების განვითარების პროგრამითაა გათვალისწინებული?

ვაგრძელებ: მიზნობრივ პროგრამებში ასეთი პარაგრაფია ჩადებული: სოციოლოგიური გამოკითხვები თბილისის მერიის საქმიანობის შესახებ განათლებისა და კულტურის სფეროში (15 000 ლარი). ხალხის აზრი რომ გასათვალისწინებელია, ეს მეც ვიცი. მაგრამ მასის მოთხოვნილებებს ჩვენთან, ისევე როგორც სხვაგან, შოუბიზნესი არეგულირებს, სახელწიფოს კი ის უნდა აინტერესებდეს, მასებისთვის იქმნება კულტურა, თუ მასები ქმნიან კულტურას. იქნებ ეს პრინციპული განსხვავება ოდესმე მერიაშიც შეამჩნიონ და ტრადიციულად საეჭვო ღირებულების ღონისძიებები აღარ დააფინანსონ. საქართველო, მგონი, ერთადერთი ქვეყანა იყო, სადაც, მაგალითად, **პოპ-მუსიკას** სახელმწიფო აფინანსებდა.

შემდეგ: თბილისის მუნიციპალური მუზეუმების ჩართვა ქვეყნის ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში, ექსპონატების სისტემატიზება და პასპორტიზაცია (სულ 80 000 ლ.) მართლაც აუცილებელია. მაგრამ იმ 13 მუზეუმიდან, რომელიც მერიას ექვემდებარება, ყველაზე დიდი - გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი ("ქარვასლა") - მერიას ეკუთვნის თუ კულტურის სამინისტროს, დღემდე დაუდგენელია. ასევე გაურკვეველია კულტურისა და დასვენების პარკების საკითხიც. დანარჩენი მუზეუმები, უმთავრესად, მემორიალურია. ჯერჯერობით მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ თბილისის ზოოპარკი მერიის დაქვემდებარებაში იმყოფება. რა ბედი ეწია მთაწმინდის პლატოს, მუშთაიდსა თუ ვაკის პარკებს, ეს სამსახურის დღევანდელმა უფროსმა არ იცის, შესაბამისად, არც საზოგადოებას ეცოდინება. არადა, რა შეიძლება გამოიწვიოს ამ პარკების ხელიდან ხელში გადასვლამ, ადვილი მისახვედრია. ამის პრეცედენტი, სამწუხაროდ, უკვე შეიქმნა შუაგულ ბაღებში საცხოვრებელი კორპუსების სახით.

ფესტივალების, სემინარებისა და კონკურსებისთვის წლეულს 373 000 ლარია გამოყოფილი, ოღონდ აქ საქმე გაცილებით რთულადაა. ამ პარაგრაფით იგულისხმება არა მხოლოდ ტრადიციული ფესტივალების ჩატარება, არამედ ყველა ის ღონისძიება, რომელიც კონკურსის წესით შეირჩევა. დაფინანსდება ის, ვინც უკეთეს პროექტს შემოიტანს. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ის 65 000 ლარი, რომელსაც პრეზიდენტი ქეთი დოლიძეს თეატრალური ხელოვნების საერთაშორისო ფასტივალის - "საჩუქრის" დასაფინანსებლად შეჰპირდა, დაპირებადვე დარჩება. ტენდერში მონაწილეობის მიღება ამ ფესტივალის ორგანიზატორებსაც მოუწევთ, თუ, რასაკვირველია, ქალბატონი ქეთი ჩვეული აქტიურობით თავისას არ გაიტანს. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ამ შემთხვევაში კარგ პროექტებზე არანაკლებ მნიშვნელოვანია კარგი კომისია, ასეთი კომისიები კი არ შექმნილა. რატომ? იმიტომ, რომ ჯერჯეობით პროექტებიც არ არსებობს. სატენდერო კომისია შეიქმნება მას შემდეგ, რაც ნათელი გახდება პროექტების ავტორთა ვინაობა. მარტივად რომ ვთქვათ, კომისიაში ვერ მოხვდება ის, ვინც იმავდროულად პროექტის ავტორიცაა. ამგვარი ლოგიკა, ერთი შეხედვით, ობიექტურობას უზრუნველყოფს, თუმცა ამ პრინციპის დამკვიდრება უხერხულობას ქმნის. ჩვენი ამბავი რომ ვიცი, ყველა ნიჭიერი რეჟისორი, მომღერალი თუ მხატვარი კონკურში მონაწილეობის სურვილს გამოთქვამს. შესაბამისად, ჟიურიც ნაკლებად კომპეტენტური, საზოგადოებისთვის სრულიად უცხო სახეებით დაკომპლექტდება. ერთიცაა, მომავალი სატენდერო კომისია, ისევე როგრც ქალაქის მერის მრჩეველთა საბჭო, საზოგადოებრივ საწყისებზე იმუშავებს. რატომ უნდა ხდებოდეს ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება ალტრუიზმის ხარჯზე, ჩემთვის გაუგებარია. იქნებ იმიტომ, რომ პასუხისმგებლობაც ნაკლები იყოს და საბოლოოდ ყველაფერი ერთმა კაცმა გადაწყვიტოს. ამ დროს კი პრეზიდენტთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტი სულ სხვა პრინციპით ხელმძღვანელობს. იქ მიკერძოების თავიდან ასაცილებლად, გაცილებით იოლ გზას დაადგნენ: თუ რომელიმე კონკურსანტი ჟიურის წევრიცაა, ის განხილვაში არ მონაწილეობს. ესაა და ეს.

განსაკუთრებით საინტერესოა კულტურულ-შემეცნებითი ღინისძიებების ჩამონათვალი. ეს ის ღონისძიებებია, თუ სახელმწიფო გქვია, აუცილებლად უნდა აღნიშნო: "ალილო" (10 000 ლ.), საქართველოს დამოუკიდებლობის დღე (30 000 ლ.), საახალწლო ღონისძიებები (122 000 ლ.), სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები (50 000 ლ.) და, რაღა თქმა უნდა - "თბილისობა" (100 000ლ.) და 23 ნოემბრის დღესასწაული (70 000 ლ.). როგორც ირკვევა, სახელმწიფოს ყველაზე მეტად "თბილისობა" ულირს, რატომ და რისთვის, ამაზე პასუხი არ არსებობს. კი, ბატონო, ვიზეიმოთ ეს ყურით მოთრეული დღესასწაული, მაგრამ რა დაშავდება, თბილისობა 23 ნოემბერს რომ დავამთხვიოთ? ჯერ ერთი, ფული დაგვეზოგება, და მეორეც: ბოლოს და ბოლოს, კუბაზე ხომ არ ვცხოვრობთ, რევოლუციის გამარჯვება ყოველწლიურად რომ აღვნიშნოთ? ამას დაუმატეთ თბილისის დღეები კიევში თუ კიევის დღეები თბილისში - აქ უკრაინელი პოლიტიკოსები მოილხენენ ჩვენს ლამაზმანებთან, იქ რაც მოხდება, უკვე ვიცით.

ჩემთვის ამოუხსნელი მიზეზით, განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურში სახვით ხელოვნებას, როგორც ჩანს, ალმაცერად უყურებენ, ყოველ შემთხვევაში, მიზნობრივ პროგრამებში ხელოვნების ეს დარგი არ ასახულა. მხოლოდ ის შევიტყვე, რომ კულტურის სამინისტრო და განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური ერთობლივად აპირებენ დავით კაკაბაძის გამოფენის მოწყობას. როგორც ჩანს, კულტურის კოორდინირებული მართვა ერთჯერადი აქციების მოწყობით შემოიფარგლება. მხატვრობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ყველა ის უნიჭო ქანდაკება, რაც კი თბილისში ბოლო წლებში დაიდგა, ერთი კაცის სინდისზე იყოს. დავიჯერო, სინდისი ქენჯნით?

საკრებულოს თავმჯდომარეემ პირდაპირ ეთერში განაცხადა, რომ განათლებისა და კულტურის სამსახურის უფროსმა საქმეს თავი ვერ გაართვა და დღის წესრიგში ახალი ხელმძღვანელის საკითხი დგას. ვეთანხმები ბატონ ბეგაშვილს და ამის მიზეზიც გამაჩნია. საქმე ისაა, რომ ქალბატონ ნატას ღრმად სწამს, სანამ ქვეყანა არ დალაგდება, კონკრეტული სამოქმედო გეგმა არ იარსებებს. მე კი პირიქით მგონია: თუ არ შემუშავდება ამა თუ იმ დარგის მართვის სტრატეგია, ქვეყანა ვერასოდეს დალაგდება. სამწუხაროდ, დღევანდელ ხელმძღვანელს კოლეგებთანაც დაეძაბა ურთიერთობა. მერიაში მიმდინარე რეორგანიზაციის ფონზე, როცა 17000 თანამშრომლიდან ნეხევარიც ვერ დარჩება, ისედაც დაბნეული თანამშრომლების გაღიზიანება ქალბატონ ნატას, როგორც ხელმძღვანელს, მთლად კარგად არ ახასიათებს. ისედაც, კულტურის, ახლა უკვე კულტურისა და განათლების სამსახურის უფროსად, ალბათ, ისეთი ადამიანები არ უნდა ინიშნებოდნენ, რომელთა ბიოგრაფიაში ყველაზე დიდ მიღწევად "ენჯეოებში" მუშაობა ითვლება.

აფიშა

თეატრები

თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი
ჯუზეპე ვერდი
"აიდა"
(ოპერა ოთხ მოქმედებად)
დირიჟორი: ზაზა აზმაიფარაშვილი
რეჟისორი: დავით საყვარელიძე
მხატვარი: პოლინა რუდჩიკი
ქორეოგრაფი: ირაკლი შენგელია
დას: 19:00 სთ.

თეატრალური სარდაფი რუსთაველზე
მარიუს ფონ მაინბურგი
"ცივი ბავშვი"
რეჟისორი: გურამ ბრეგაძე
დას: 20:00 სთ.

თეატრალური სარდაფი ვაკეში
პიერ ბომარშე
"ფიგაროს ქორწინება"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი
დარიო ფო
"თავისუფალი წყვილი"
დამდგმელი რეჟისორი: ქეთი დოლიძე
დას: 19:00 სთ.

თავისუფალი თეატრი
დათო ტურაშვილი
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი: დათო დოიაშვილი
დას: 19:00 სთ.

სამეფო უბნის თეატრი
"აქ, ამ სავანეში"
თემურ ჩხეიძის შემოქმედებითი სახელოსნო
დას: 19:00 სთ.

სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი
ფრიდრიხ დიურენმარტი
"მეორედ მოსვლა, ანუ ვიზიტი"
რეჟისორი: დავით ანდღულაძე
ფასი: 2-3 ლარი
დას: 18:00 სთ.

ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი
მერაბ ელიოზიშვილის შემოქმედებითი საღამო
დას: 18:00 სთ.

კონცერტები

კონსერვატორიის დიდი დარბაზი
საორღანო მუსიკის კონცერტი
ეთერ მგალობლიშვილი და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტები
ბილეთების ფასი: 1-2 ლარი
დას: 16:00 სთ.

კინოთეატრები

ამირანი
"ავიატორი"
დას: 12:30; 16:00 სთ.

"რეი"
დას: 19:00; 22:00 სთ.

რუსთაველი
"ჰიჩი"
დას: 17:00; 19:30; 21:30 სთ.

"სიახლოვე"
დას: 13:00; 15:00 სთ.

ცირკი
მოსკოვის საცირკო დასის წარმოდგენები
დას: 12:00; 15:00 სთ.

გამოფენები

ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი
ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია
"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"

ეროვნული გალერეა
კულტურის უნივერსიტეტის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის სტუდენტთა საანგარიშო გამოფენა

ქარვასლა
ქეთი ფერაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა.

TMS
რუსუდან ბოლქვაძის ნამუშევრების გამოფენა

დიდი
თორმეტი ქართველი მხატვრის შესრულებული დედის პორტრეტები

ვერნისაჟი
ვანო მელიაშვილის პერსონალური გამოფენა

თანამედროვე ქართული ტექსტილის გალერეა "ათინათი"
"მეტამორფოზები"
(თინა კლდიაშვილი და დავით მონავარდაშვილი)

ორნამენტი
მუდმივმოქმედი ექსპოზიცია "ტიხრული მინანქარი"

ჰობი
თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევართა გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა)

დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge

შეხვედრა მითოლოგიურ წარსულთან

2400 წლის შედევრების პირისპირ

გიორგი გაბაშვილი, დარეჯან კაჭარავა და დავით ლორთქიფანიძე.

ასეთ სამკაულებს იკეთებდნენ 2400 წლის წინათ.

"თუ რაოდენ სახელგანთქმული იყო ძველად ეს ქვეყანა, ამას მოწმობს მითები იაზონის ლაშქრობაზე, ხოლო მასზე ადრე - ფრიქსეს ლაშქრობაზე... ამ ქვეყნის სიმდიდრე ოქროთი, ვერცხლითა და რკინით იყო ნამდვილი მიზეზი ამ ლაშქრობებისა", - ***სტრაბონი კოლხეთის შესახებ.***

გუშინ ახლად დაარსებული ეროვნული მუზეუმის საპატიო სტუმრები კოლხური ცივილიზაციის მემკვიდრეობით ამაყობდნენ. ოქრომრავალი კოლხეთი რომ მხოლოდ მითი არ ყოფილა, ეს ყველაზე თვალნათლივ 2003-2004 წლის არქეოლოგიურმა ექსპედიციებმა დაადასტურა; გუშინ კი ამ აღმოჩენებით შექმნილი ექსპოზიციის დამთვალიერებლები დარწმუნდნენ მითის რეალობაში. "ის, რაც აქ არის, მართლაც მეტყველებს იმაზე, რომ საქართველო განსაკუთრებული ქვეყანაა; ჩვენ გვაქვს განსაკუთრებული მოვალეობები, იმიტომ, რომ ჩვენ ვართ აი, ამ ცივილიზაციის მემკვიდრეები, ასეთი ცივილიზაცია მსოფლიოში არის ერთი ხელის თითებზე ჩამოსათვლელი და ერთ-ერთი არის ქართული, ამ შემთხვევაში, კოლხური ცივილიზაცია და ჩვენ ეს არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს. ის ხალხი, ვინც წარმოადგენდა ამ ცივილიზაციას, ამ ხალხმა იბრძოლა ყველაფრისთვის, ამ ხალხმა შეინარჩუნა საქართველო; ეს ხალხი აღარ არსებობს, მაგრამ არსებობს ის, რაც მათ შექმნეს. ჩვენ გვაქვს მართლა ძეგლები მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობისა და მსოფლიო ისტორიის. ჩვენ გვაქვს საამაყო და ვაპირებთ, რომ ჩვენ ამით ვიამაყოთ და მთელ მსოფლიოს გავაცნოთ ის, რაც არის განსაკუთრებული ჩვენი ქართული და მთელი მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი ნაწილი და მსოფლიო მემკვიდრეობის განსაკუთრებული მარგალიტი, რაც არის წარმოდგენილი ამ მუზეუმში", - განაცხადა ეროვნული მუზეუმის პირველი ექსპოზიციის პრეზენტაციაზე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ, საკმაოდ სწრაფად დაათვალიერა თანამედროვე სამუზეუმო სცენოგრაფიითა და ტექნოლოგიებით შექმნილი გამოფენა. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ოქროს ფონდში გამოფენილ, 2400 წლის წინათ დამზადებულ ათასობით ოქროულობას კი გვიანობამდე ათვალიერებდნენ: საქართველოს პატრიარქი, მთავრობის წევრები და მოწვეული სტუმრები.

ვერა ნეფარიძე

ეროვნული მუზეუმის შექმნის შესახებ ბრძანებას საქართველოს პრეზიდენტმა 30 დეკემბერს მოაწერა ხელი. მუზეუმის დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ გუშინ ამას პრეზიდენტის საახალწლო საჩუქარი უწოდა. საბოლოოდ როგორ ჩამოყალიბდება სამუზეუმო გაერთიანება და რა ცვლილებებს შეიტანს ჩვენს სამუზეუმო ცხოვრებაში, ამაზე მუშაობა ჯერ არ დასრულებულა და აქედან გამომდინარე, შედეგებსაც მოგვიანებით გავეცნობით. თუმცა, რა სახის ცვლილებებზე შეიძლება იყოს საუბარი განახლებული სამუზეუმო სისტემის შიგნით, ამაზე დაახლოებითი წარმოდგენა ალბათ შესაძლებელია საქართველოს ეროვნული მუზეუმის პირველი პროექტიდანაც შევიქმნათ.

"დღევანდელი დღე საუკეთესო მაჩვენებელია, რა არის ეროვნული მუზეუმი. ექვსი თვე გავიდა ვანის აღმოჩენებიდან და ექსპოზიცია ოპერატიულად მიეწოდა საზოგადოებას. იმედი მაქვს, ეს ექსპოზიცია საერთაშორისო საინფორმაციო საშუალებების ყურადღებასაც მიიქცევს. მთავარია, ეროვნული მუზეუმი იყოს ისე გამართული, როგორც ეს საქართველოს ეკადრება", - ეროვნული მუზეუმის საქმიანობით კმაყოფილი იყო კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი გიორგი გაბაშვილი.

"ბევრიც არ გვიფიქრია, თუ რა შეგვეთავაზებინა პირველად დამთვალიერებლისთვის. მე მგონი, კოლხეთის ოქრო იმსახურებს იმას, რომ ჩვენი საზოგადოება ახლოს გაეცნოს. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოვალეობაა ახალი აღმოჩენები დაუყოვნებლივ გააცნოს საზოგადოებას, რათა მუზეუმმა შეასრულოს თავისი უპირველესი მისია - იყოს ხიდი წარსულსა და მომავალს შორის. ეს ექსპოზიცია მცდელობაა, რომ მეცნიერული მიღწევები წარმოდგენილი იყოს თანამედროვე სამუზეუმო სცენოგრაფიისა და ტექნოლოგიების გამოყენებით. გვჯერა, რომ მუზეუმში მიღებული საკუთარი ქვეყნის ისტორიის ცოდნა და ესთეტიკური განცდა, ხელს შეუწყობს მომავალ თაობებში სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცნობიერების განვითარებას", - განაცხადა მუზეუმის დირექტორმა. საგანმანათლებლო-სასწავლო ღონისძიებათა ციკლი მუზეუმში უახლოეს პერიოდში დაიწყება; დავით ლორთქიფანიძის თქმით, ამას ექნება საჯარო ლექციებისა და ღია გაკვეთილების ფორმა.

რაც შეეხება თავად ექსპოზიციას. პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ მის მომზადებაზე საკმაოდ მრავალრიცხოვან ჯგუფს ამაოდ არ უშრომია; ექსპოზიცია ნამდვილად ლამაზია და ამაში ნებისმიერი დამთვალიერებელი თავად დარწმუნდება. ოცდაერთ ვიტრინაში წარმოდგენილი ექსპოზიციის დიზაინზე სანდრო ყაწჩელმა, სცენოგრაფიაზე კი გურამ მელივამ იმუშავეს. ექსპონატები კადრირებულია (და არა ქაოსურად გაფანტული), როგორც გურამ მელივამ ახსნა, იმისათვის, რომ მაქსიმალურად შესაძლებელი იყოს დიალოგი დამთვალიერებელსა და ექსპონატს შორის. ექსპონატები კი დამაგრებულია ტაფტზე, რაც სცენოგრაფიის თვალსაზრისით, ხაზს უსვამს, რომ ნივთები აღმოჩენილია სამარხში (ვანში 2004 წელს აღმოჩენილი სამარხი ძველი წელთაღრიცხვით მეოთხე საუკუნის 30-იანი წლებით თარიღდება). "აღმოჩენილ ნივთებს შორის იყო ვერცხლის ქამარი, სადაც სილუეტებია მოცემული, პერსონაჟები კი გრაფირებულ კოსტიუმებში არიან. ესეც საფუძველი იყო ჩემთვის, მიმეკვლია ხერხისთვის, რომ შემექმნა ამ ნივთებისთვის შესაბამისი გარემო. ექსპოზიციაზე მუშაობა ჩემთვის იყო 21 თეატრალური აქტის დადგმა. მჯერა, რომ ახალგაზრდები არა მარტო ისტორიულ-მატერიალური ფასეულობებით გაეცნობიან ამ ყველაფერს, არამედ განცდისმიერად და შეიძლება უფრო მეტად იფიქრონ საკუთარ ქვეყანაზე", - მითხრა ბატონმა გურამ მელივამ, რომლისთვისაც მუშაობის დროს მთავარი მიზანი იყო, მის სცენოგრაფიას ემოციურად დაეტვირთა ექსპოზიცია. მისივე თქმით, გამოფენაზე გამოყენებულია იშვიათი გასანათებელი აპარატურა, რომელიც პარიზიდანაა ჩამოტანილი.

ექსპოზიცია აერთიანებს ოცდაერთ ე.წ. ვიტრინას, რომელშიც ვხვდებით ულამაზეს ოქროს სამკაულებს: ჩიტების ფიგურებით შემკულ გულსაბნევს, საყურეებს, ბეჭედს, თმის სამაგრს, საკინძეებს, სასაფეთქლეებს (სულ ათას ორასამდე ოქროს ნივთს)... ამას გარდა, ნაპოვნია თხუთმეტი ათასამდე სხვადასხვა სახის მძივი, თიხის, ვერცხლისა და ბრინჯაოს ჭურჭელი. აღმოჩენილ ნივთებს შორის ყველაზე გვიანდელია პანტიკაპეინის (ქერჩი) ვერცხლის მონეტა, დათარიღებული ძველი წელთაღრიცხვით 340-330 წლებით და სამარხის ქრონოლოგიაც სწორედ ამ ნივთით თარიღდება. აღმოჩენები უკავშირდება ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის 2003-2004 წლის ექსპედიციას (რომელსაც დარეჯან კაჭარავა ხელმძღვანელობდა). ვანში გათხრები ქართველთაგან ექვთიმე თაყაიშვილმა წამოიწყო; მოგვიანებით გათხრებს ხელმძღვანელობდნენ სხვა ცნობილი მეცნიერები. ვანის გათხრები იმითაა მნიშვნელოვანი, რომ აღმოჩენებმა დადასტურეს ოქრომრავალი (ბერძენი და რომაელი ავტორები ხშირად იყენებდნენ ეპითეტს - ოქრომრავალი კოლხეთი) კოლხეთის რეალობა; დაადასტურეს ისიც, რომ ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა ანტიკური ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილი იყო. ასე რომ, ექსპოზიციით გამოწვეული პრეზიდენტისა და ეროვნული მუზეუმის სხვა საპატიო სტუმრების სიამაყე გარკვეულ საფუძველს შეიცავდა.

კანონიკა და თავისუფალი აზროვნება

საეკლესიო მხატვრობის სახელოსნოს საანგარიშო გამოფენა

ვერა ნეფარიძე

200-მდე ნამუშევრით ათვისებული ეროვნული გალერეის სამივე დარბაზი, - ასე გამოიყურება ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტის საეკლესიო სახელოსნოს ათი წლის ნაღვაწი.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

"საეკლესიო მხატვრობას ჩვენი სტუდენტები და კურსდამთავრებულები კანონიკის სრული დაცვით ასრულებენ, ფლობენ იკონოგრაფიას, მაგრამ ნუ დაგვავიწყდებათ, რომ ეს არის საერო სასწავლებელი. დღევანდელი გამოფენაც, ესაა უფრო საერო კუთხიდან დანახული ეკლესია", - მითხრა ეროვნული გალერეის დირექტორმა და გუშინდელი გამოფენის ორგანიზატორმა, მხატვარმა თემო გოცაძემ. ამასთან ერთად, ბატონი თემო ამ გამოფენის ხარისხზეცაა პასუხისმგებელი, რადგანაც მეთერთმეტე წელიწადია სწორედ იგი გახლავთ კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში საეკლესიო სახელოსნოს ოსტატი, ასევე სახვითი და გამოყენებითი ფაკულტეტის სამხატვრო ხელმძღვანელი.

"ჩვენთან სწავლების პრინციპი, რომელიც ოსტატ-შეგირდის ურთიერთობაზეა დამყარებული, ძველია და ამის გამო, დავიწყებულიც, მაგრამ რეალურად, საუკეთესოა. ეს არის საუკეთესო ნაწარმოებებზე სტუდენტების აღზრდა", - უნივერსიტეტში სწავლების მეთოდიკის შესახებ მეუბნება პედაგოგი. საეკლესიო მხატვრობის შესწავლას ხსენებულ უნივერსიტეტში იწყებენ ბიზანტიურით, აგრძელებენ ძველი ქართული ფრესკის ტექნოლოგიის ცოდნის დაუფლებით და ამთავრებენ თანამედროვე ფერწერით. "ჩვენთან მხოლოდ მესამე კურსზე იწყებენ ახალგაზრდები საკუთარი ნამუშევრების შექმნას, საკუთარი აზროვნების გამჟღავნებას", - ამბობს მხატვარი და გალერეის კედლებზე გამოფენილ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა ორიგინალურ ნაწარმოებებზე (მაგალითად, "რუის-ურბნისის კრება", "ცოტნე დადიანის გმირობა", "მედეა" და ა.შ.) მიმითითებს. ასეთი კი, საეკლესიო სახელოსნოს საანგარიშო გამოფენაზე არცისე ცოტაა.

გამოფენა ორმოცი ავტორის (როგორც უნივერსიტეტის სტუდენტთა, ასევე კურსდამთავრებულთა) ორასამდე ნამუშევარს აერთიანებს. აქ არის თითქმის ყველაფერი, რაც ათ წელიწადში შექმნილა. წარმოდგენილია როგორც კედლის მხატვრობის, მოზაიკის, ხატწერის ნიმუშების ასლები (რომელთაც რატომღაც, ყველას "კოპიო" ეწერა), ასევე ავტორთა საკუთარი კომპოზიციები. ნამუშევრებს შორის არის თავად ოსტატის, თემო გოცაძის ვაკის სამების ეკლესიის საკურთხევლის მოხატულობის მოდელიც.

თავშესაქცევი ივნისამდე

მორიგი ახალი ამბავი "ბილბორდისგან": ბრიტანულმა ჯგუფმა "ქოლდფლეიმ" ახალი, ჯერაც უსათაურო ალბომის გამოსვლამდე კიდევ რამდენიმე სიმღერა წარუდგინა მსმენელს. პატარა კონცერტი ფანებისთვის ლონდონში მოეწყო. Speed of Sound, A Message, What If - ამ სიმღერებით ლონდონელები ნასიამოვნები დარჩნენ.

ჯგუფის ლიდერის კრის მარტინის თქმით, ალბომი რამდენიმე დღეში უკვე მზად იქნება. გასამიქსი მხოლოდ ერთადერთი სიმღერა დარჩა. კრებული ივნისში ხმის ჩამწერი კომპანია "ქეფითოლის" ეგიდით ჩაეშვება გაყიდვაში. ბოლო რამდენიმე დღეა, ინტერნეტში ალბომიდან ერთი ახალი სიმღერა Talk ტრიალებს. ეს ჩანაწერი სავარაუდოდ დისკის B გვერდზე მოხვდება.

ასე რომ, "ქოლდფლეის" ბიჭები ცხელი ზაფხულისთვის ემზადებიან. 2003 წელს, ლოს ანჯელესში ჩატარებული კონცერტის შემდეგ ისინი მასობრივი პუბლიკის წინაშე პირველად უნდა წარსდგნენ. ყველანი ნერვიულობენ. კრის მარტინი ამბობს: "იმდენი ხანია, კულისებში ვსხედვართ, რომ პრესა ჩვენს შესახებ მხოლოდ ჭორებს ავრცელებს. მათი ტონი კი, ძირითადად, სარკასტულია ხოლმე. ამიტომ, თავს ძალიან არაპოპულარულებად ვგრძნობთ".

ამ გრძნობას სიამაყე, წესით, 30 აპრილს უნდა ჩაენაცვლოს, როცა "ქოლდფლეი" ინდიოში, კალიფორნიის შტატში ხელოვნებისა და მუსიკის ფესტივალზე გამოვა. მანამდე ჯგუფი ლას ვეგასის კლუბში იმღერებს. უკვე 15 ივნისიდან კი ბიჭები ევრო-ტურნეს დაიწყებენ. პირველი გაჩერება ჰამბურგი იქნება.

კურცვაილი სიკვდილის წინააღმდეგ

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ-ში

რეი კურცვაილი ცნობილი გამომგონებელი, კომპიუტერების დარგის მეცნიერი და ვეგეტარიანელია. მისი ჩვეულებრივი სადილი კომბოსტოს, ზღვის მცენარეების და ლებანისებრთა ოჯახის მცენარეებისგან შედგება. მიუხედავად ამისა, ის სადილის წინ მაინც ყლაპავს აბებს, რომლებიც სახამებლის ბლოკირებას ახდენს. კურცვაილმა, რომელმაც დუელში თვით სიკვდილი გამოიწვია, დღეში 250 სხვადასხვაგვარ აბს ყლაპავს. სვამს მხოლოდ მწვანე ჩაის, რადგანაც ის ანტიმჟავიანობის გამომუშავებას უწყობს ხელს და ამცირებს კიბოსა და გულის დაავადების რისკს. რეი დარწმუნებულია, რომ მედიცინის ახალი დარგები - ბიოტექნოლოგია და ნანოტექნოლოგია ადამიანისთვის უკვდავების მიღწევის რეალურ შანსს ქმნის. სწორედ ამას შესახებაა მისი ახალი წიგნი, რომელიც დენვერში, სიცოცხლის გახანგრძლივების კლინიკის დამაარსებელთან, დოქტორ ტერი გროსმანთან ერთად დაწერა. 56 წლის მეცნიერი, რომელიც ასაკთან შედარებით ბევრად ახალგაზრდულად გამოიყურება, "ნიუ იორკ თაიმსისთვის" მიცემულ ინტერვიუში ამბობს: "მე სრულიად სერიოზულად ვარ განწყობილი უკვდავების მიმართ. ჩვენი, ადამიანების, შესაძლებლობების აზრი ხომ იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენთვის დაწესებულ შეზღუდვებზე გავიმარჯვოთ". რეის თქმით, ადამიანის ბიოლოგია სულ უფრო იკვეთება მის ძირითად სპეციალობასთან - კომპიუტერიზაციასთან. მისი აზრით, გენეტიკისა და მედიცინის მიღწევები იქამდე მიდის, რომ ბიოლოგია მალე განიხილება, როგორც კომპიუტერიზაციის ერთ-ერთი ფორმა. ის ირწმუნება, რომ დნმ-ის ქიმიური შემადგენელი უჯრედები, გამოხატული ლათინური ასოებით A, C, G და T, კომპიუტერული კოდის მსგავს ურთიერთადმოკიდებულებაშია. **"გენები განგრძობითი პროგრამებია და ჩვენ ვსწავლობთ ჩვენს შიგნით მათით მანიპულირებას. ისინი არიან ცხოვრების კომპიუტერული პროგრამები და მე, პირადად, მჯერა - ის, რასაც ვაკეთებ, არის ჩემი ბიოქომიური სტრუქტურის გადაპროგრამირება"**, - ამბობს რეი.

კურცვაილის ახალი წიგნი: "ფანტასტიკური მოგზაურობა: იცოცხლე იმდენ ხანს, რომ იცოცხლო მარად", ერთგვარი გაგრძელებაა მისი წინამორბედი წიგნისა "გასულიერებული მანქანების ეპოქა", რომელიც 1999 წელს გამოიცა და რომელშიც ამტკიცებს, რომ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ კომპიუტერები ადამიანის გონებას "უკან ჩამოიტოვებენ". ახალი წიგნი გამომწვევად არის დაწერილი და სავსეა სადავო ვარაუდებით. შესაბამისად, მან, როგორც ტექნოლოგიური განვითარების მიმართ ძალზე "ოპტიმისტურად განწყობილმა", უკვე გამოიწვია კრიტიკოსთა მკვეთრი რეაქცია. თუმცა, თავად კურცვაილს ეს მაინცდამაინც არ აშფოთებს. იგი, როგორც გამომგონებელი, თავის ჩანაფიქრებს ყოველთვის "საღი აზრის" გაუთვალისწინებლად ახორციელებდა და "ექსტრემალური იდეების" მიმდევარი წარმატებასაც აღწევდა. კურცვაილის აზრით, იქიდან გამომდინარე, რომ ძალიან მალე ცხოვრების უსაზღვრო კომპიუტერიზაცია, ტექნოლოგიების განვითარება და საერთოდ, ცოდნა სიკვდილის გარდაუვალობაზე გამარჯვების საშუალებას მოგვცემს.

ახალ წიგნში აღწერილია სამი ეტაპი, რომლებიც მომდევნო 20-25 წელიწადს მოიცავენ. კურცვაილი ვარაუდობს, რომ სადღაც 2020 წლისთვის ხელოვნური გონებისა და ნანოტექნოლოგიის განვითარება ისეთ დონეს მიაღწევს, რომ შესაძლებელი იქნება ადამიანის სხეულით უჯრედულ დონეზე მანიპულირება, თანაც ისე, რომ ადამიანს შეეძლება თავისი სხეულის ნაწილების და ორგანიზმის ისე აღდგენა, "როგორც მოესურვება". უახლოესი 10-15 წლის მანძილზე გენეტიკური პროცესების შეცნობა შესაძლებელს გახდის ავადმყოფობის "შეწყვეტას" და დაბერების პროცესის უკუქცევას. მაგრამ ამ ნანატრი დროის დადგომას რომ მოვესწროთ, კურცვაილი გვირჩევს, "გადავაპროგრამიროთ ორგანიზმი" ჯანმრთელ ცხოვრებაზე.

ვერც რეის მამამ და ვერც ბაბუამ 60 წელს ვერ მიაღწიეს. თავად კურცვაილი 35 წლის ასაკში დიაბეტით დაავადდა. **"ცუდი გენეტიკური მემკვიდრეობა მერგო"**, - ამბობს ის. მერე კი, აღმოჩნდა, რომ ინსულინზე ცუდი რეაქცია ჰქონდა, დაიწყო სწრაფად გასუქება. ამან აიძულა დიაბეტი შეესწავლა. უარი თქვა ინსულინზე და საკუთარი დიეტა და ფიზიკური ვარჯიშის სისტემა შეიმუშავა. თან გარკვეული ტიპის მკვებავ ვიტამინებს იღებდა. შედეგმაც მალე იჩინა თავი. მეცნიერმა 20 კილო დაიკლო, ხოლო სისხლში შაქრისა და ჰოლესტერინის დონემ ნორმალურ ზღვრამდე დაიწია. საკუთარ თავზე ჩატარებული ექსპერიმენტი კურცვაილმა აღწერა წიგნში "გადაწყვეტილების 10 პროცენტი ჯანმრთელი ცხოვრების სასარგებლოდ: როგორ ავიცილოთ თითქმის ყოველგვარი რისკი კიბოთი და გულის დაავადებებით დაავადებისა". წიგნი 1993 წელს გამოვიდა. მასში მეცნიერი მოუწოდებდა დღიური ცხიმის კალორიების მიღების 10 პროცენტამდე შემცირებისკენ.

შემდეგ კურცვაილი სიბერესა და სიცოცხლის გახანგრძლივებას მიადგა და გადაწყვიტა ამ პრობლემებისთვის მთელი სიცოცხლე მიეძღვნა. ის დღემდე აქტიურ კონსულტაციებს გადის ექიმებთან და მეცნიერებთან. მისი სისხლი, მეტაბოლიზმი და ფიზიკური მდგომარეობა მუდმივად კონტროლის ქვეშაა. შედეგი კი დამაიმედებელია. მისი ბიოლოგიური ასაკი - სმენა, მეხსიერება, ფილტვები 40 წლის ასაკის შესაბამისია. **"ჩემი ორგანიზმი - ჩემი ლაბორატორიაა"**, - ამბობს მეცნიერი.

კურცვაილი დაბადებით ექსპერიმენტატორია. ჯერ კიდევ 1965 წელს, მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში სწავლის დაწყებამდე, საფორტეპიანო მუსიკის დამწერი კომპიუტერული პროგრამის შექმნისთვის მოზარდი რეი მიწვეული გახლდათ სტივ ალენის ტელეშოუში " მე მაქვს საიდუმლო". მის გამოგონებათა შორისაა ოპტიკური შეცნობის ადრეული პროგრამა; უსინათლოებისთვის განკუთვნილი ტექნომეტყველების სინთეზატორი; ფართოდ "გამოყენებადი" ლექსიკონით ზეპირმეტყველების "კითხვის" პირველი კომერციული სისტემა; კომპიუტერებზე დაფუძნებული ურთულესი ინსტრუმენტები. მისი უკანასკნელი პროექტი "უსინათლო ორფეოსთან" სტივი უანდერთან თანამშრომლობით განხორციელდა. პროექტმა კურცვაილს სახელიც მოუტანა და ბევრი ფულიც, 500 ათასი დოლარის ოდენობით პრემიის ჩათვლით. მასაჩუსეტსის ტექნოლოგიების ინსტიტუტის ლემელსონის ეს პრემია ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოგონებების ... ის სხვა ბევრი პრემიის ლაურეატიცაა. მთავრობამ კი ტექნოლოგიების დარგში ნაციონალური მედლით დააჯილდოვა. კურცვაილი მრავალი წლის მანძილზე ლიცენზირებას უკეთებს და ყიდის თავის გამოგონებებს ისეთ მსხვილ კომპანიებზე, როგორიცაა, მაგალითად, "ქსეროქსი". მეცნიერის საკუთარი კომპანია მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ ველესლი ჰილზში მდებარეობს.

გამოგონებებმა და თანდაყოლილმა კომერციულმა ინსტინქტმა კურცვაილი გაამდიდრა. ეს კი მას თავისი თავბრუდამხვევი პროექტებისა და იდეების განხორციელების თავისუფლებას ანიჭებს. ხელოვნური გონების პრობლემების დარგში კოლეგები მას პრაქტიკოსად უფრო მიიჩნევენ, ვიდრე თეორეტიკოსად. კარნეგი-მელონის უნივერსიტეტის პროფესორი რეი რედი ამბობს: **"კურცვაილს აქვს არაჩვეულებრივი უნარი სწორად განსაზღვროს პრობლემა და მერე ამ პრობლემას სასარგებლო გზით შეუტიოს. მისი მუშაობა უმაღლესი ხარისხის გამოკვლევებით ხასიათდება. მას არასოდეს ავიწყდება თავისი "საშინაო დავალების" შესრულება"**.

როგორც "ნიუ იორკ თაიმსის" კორესპონდენტი, კურცვაილთან ინტერვიუს ავტორი სტივ ლორი წერს, მეცნიერის უკანასკნელი წიგნი ამ "საშინაო დავალებების" მასშტაბების ნათელი მაგალითია. 452 გვერდიან "ფანტასტიკურ მოგზაურობაში" 900 სქოლიოში გატანა და 2 ათასი სამეცნიერო ციტატა გვხვდება. როგორც რეის თანაავტორი, დოქტორი გროსმანი იხსენებს; **"ჩვენ დავიწყეთ შეკითხვით: რას გვეუბნება სამედიცინო ლიტერატურა? ახლა ჩვენ შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ ის გვეუბნება ყველაფერ იმას, რაზეც საუბარია ჩვენს წიგნში"**. წიგნში ავტორები არ გვაძლევენ სიცოცხლის გახანგრძლივების, მით უმეტეს, უკვდავების ერთადერთ ჯადოსნურ რეცეპტს. **"ეს რთული და მრავალმხრივი საკითხია, რომელიც ითხოვს არა ფორმულას, არამედ - წიგნს"**, - გვაფრთხილებს კურცვაილი.

ავტორები გვირჩევენ, ვჭამოთ იმაზე ნაკლები, ვიდრე გვჭირდება, დავიცვათ დიეტა კარბოჰიდრატებისა და ცხიმების მიღების მინიმუმამდე დაყვანით, ზედმეტი არ მოგვივიდეს რძის პროდუქტები და აქცენტი ბოსტნეულზე გავაკეთოთ. აერობიკა მათი რეკომენდაციების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ისინი უპირატესობას ანიჭებენ ისეთ ანტიოქსიდანტებს, როგორიცაა ვიტამინები A, C და E. მათი განმარტებით, ეს ვიტამინები ხელს უშლიან მჟავიანობის პროცესებს, რაც, თავის მხრით, გამოყოფს "გზას აცდენილ" მოლეკულებს, რომლებსაც შეუძლიათ უჯრედების განადგურება, დაავადებების საფრთხის გაზრდა და დაბერების პროცესის დაჩქარება.

მედიცინა ტრადიციულად მიმართულია დაავადებების მკურნალობაზე. მაგრამ ბოლო ხანებში სამეცნიერო გამოკვლევების კონცენტრირება დაავადებების პრევენციაზე ხდება. ამ გამოკვლევების თანახმად, სულ უფრო და უფრო ნათელი ხდება, რომ კიბოსა და გულის დაავადებების რისკის შესამცირებლად დიდი მნიშვნელობა აქვს სწორად კვებასა და ცხოვრების ნირს. ოღონდ სხვადასხვა მეცნიერები ამ დასკვნამდე სხვადასხვა გზით მიდიან. ის გზა, რომელიც კურცვაილმა და მისი წიგნის თანაავტორმა აირჩიეს, ბანალური ხდებაო, ამბობს ჰარვარდის მედიცინის სკოლის პროფესორი ჯოზეფ ზიბრაკი. მაგრამ არც ასეა საქმე. კურცვაილის რეკომენდაციები უბრალოდ კვების რაციონის შერჩევისა და ფიზიკური ვარჯიშების მუდმივად შესრულების შესახებ სტანდარტულ რჩევებზე გაცილებით შორს მიდის. ის გვთავაზობს არა ზომიერებას, არამედ ადამიანის სხეულისა და ორგანიზმის რადიკალურად გადაპროგრამირებას. ასე მაგალითად, ახალი წიგნის ავტორები გვთავაზობენ ვიტამინებისა და მინერალების ძალზე დიდი დოზებით მიღებას, ხოლო იმის შერჩევას, რა არის საჭირო და რა არა, ორგანიზმს ანდობენ. ასეთ მიდგომას ზოგიერთი მეცნიერი ექსტრემალურს, მეტიც, სარისკოსაც კი უწოდებს. ილინოისის უნივერსიტეტის პროფესორი ჯეი ოლშანსკი ამბობს: **"წიგნის ავტორებმა დაიჯერეს ვიტამინების მეგადოზების სარგებლის, მიუხედავად იმისა, რომ ეს, რბილად რომ ვთქვათ, დაუსაბუთებელია"**. ამასთან დაკავშირებით, ოლშანსკი იხსენებს ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის ეპიდემიოლოგების მიერ ახლახანს ჩატარებული გამოკვლევების შედეგებს, რომელთა თანახმადაც ვიტამინ E-ს დიდი დოზებით მიღება ნაადრევი სიკვდილის საფრთხეს ზრდის. **"თუ თქვენ რეისა და ტერის რჩევებს გაითვალისწინებთ, უფრო მალე მოკვდებით,** - ამბობს ოლშანსკი, - **კურცვაილი ადამიანებისგან ითხოვს, რომ მათ საცდელი ბოცვერების როლი შეასრულონ"**.

მიუხედავად ამისა, "ფანტასტიკური მოგზაურობის" ავტორებს სჯერათ, რომ მათ იდეებს "ბაზარი მიიღებს". მათ პატარა კომპანიაც კი დააარსეს - "რეი და ტერი", რომელიც კურცვაილის ცოტათი გამარტივებული პროგრამით, ვიტამინებითა და მინერალებით ვაჭრობს. 50 წელს გადაცილებულთ ისინი დღეში ექვს აბის მიღებას ურჩევენ (ფასი 1 დოლარი და 25 ცენტი). უფრო ახალგაზრდებს კი - ნაკლებს.

მაგრამ საკუთარ თავთან მიმართებაში კურცვაილი შეუბრალებელია, ან გულუხვი - გააჩნია, რომელი კუთხით შეხედავ. ის კვლავაც აგრძელებს დღეში თავისი 250 აბის მიღებას. **"მე ერთდროულად მეცნიერიც ვარ და ლაბორატორიაც. ამ ექსპერიმენტს ვუდგები, როგორც გამომგონებელი. მუდმივად ვეძებ, ვაფასებ და განვიცდი ახალ და უკეთეს იდეებს"**, - ამბობს ვიტამინო-მინერალომყლაპავი ინტერვიუს დასასრულს.

მოკლედ, სიკვდილთან თავგანწირული ბრძოლაა გამოცხადებული...

ისარგებლეთ ლაი-ლაით & იკითხეთ 24 საათი

1 აქციაში მონაწილეობის მიღება შეუძლია „24 საათი"-ს ყველა მკითხველს

2 შეაგროვეთ სამი ქვემოთ მოცემული კუპონი და მიიღეთ საჩუქრად ლაი-ლაის სიმ-ბარათი

3 კუპონები ამოჭერით მითითებულ ადგილას და შეაგროვეთ ისე, რომ დაკომპლექტდეს ნუმერაცია 1, 2, 3 (მნიშვნელობა არ აქვს რომელი თარიღის გაზეთიდანაა ამოჭრილი კუპონი).

4 კუპონები წარადგინეთ ჯეოსელის თბილისისა და რეგიონების სარეალიზაციო წერტილებში ან სადილერო ქსელში. თქვენ იხდით 10 ლარს ისევ თქვენი სასაუბრო დროისთვის და იღებთ ლაი-ლაის სრულ სასტარტო პაკეტს (ლაი-ლაის სიმ-ბარათი + 10 ლარის ღირებულების სასაუბრო დრო)

24 საათი 1 ლაი-ლაი

აქცია ძალაშია: 2005 წლის 1 თებერვლიდან 1 აპრილამდე.

კუპონების განაღდება შესაძლებელია: 2005 წლის 15 აპრილამდე.

სიმ-ბარათის აქტივაციის ბოლო ვადა: 2005 წლის 30 აპრილი.

ქალაქი	მისამართი
თბილისი	რუსთაველის გამზ. №38
	კოსტავას №37
	ბაქოს №2
	შეშელიძის №3
	ჯავახეთის №44
	ქ. წამებულის გამზ. №75
	კინოთეატრი "რუსთაველი"
	გამსახურდიას გამზ. №24
	რუსთაველის გამზ. №31
	მარჯანიშვილის №19
	წერეთლის გამზ. №141ა
	ყაზბეგის გამზ. №41
	მ.კოსტავას №22
	მ.კოსტავას №7
ზესტაფონი	ჭანტურიას № 2
ქუთაისი	თამარ მეფის №25
სამტრედია	რუსთაველის № 27
სენაკი	რუსთაველის № 211
ზუგდიდი	კოსტავას №5ა
ხობი	დადიანის № 238
ფოთი	26 მაისის № 2
ბათუმი	ერას №54/62
ქობულეთი	აღმაშენებლის №135
ოზურგეთი	ჭავჭავაძის № 6
ჩოხატაური	დუმბაძის №7
ლანჩხუთი	თავისუფლების №2
რუსთავი	ხალხთა მეგობრობის №10
მარნეული	რუსთაველის №37
ბოლნისი	ს.-ს. ორბელიანის № 44
თელავი	კოსტავას № 3
ყვარელი	ილია ჭავჭავაძის №64
ლაგოდეხი	26 მაისის №14
წნორი	სტალინის №11
დედოფლისწყარო	რუსთაველის № 4
მცხეთა	სამხედროს №11
კასპი	სტალინის №98
გორი	სტალინის №15
ცხინვალი	ცელნიკოვის №211/39
ხაშური	რუსთაველის №16
ბორჯომი	რუსთაველის № 121
ახალციხე	ნათენაძის № 76
ახალქალაქი	კლარა ცეტკინის №77

ნინია კაკაბაძის სვეტისმაგვარი

ციკლიდან "24 საათის" მესვეტენი და მესტატიენი

ნიკას მოკვლას უპირებენ

თავიდანვე ობიექტური ბოდიში მინდა მოგიხადოთ ჩემი სუბიექტივიზმისთვის. მაგრამ სუბიექტური მოსაზრება სწორედ იმიტომაცაა სუბიექტური, რომ ის სუბიექტურია.

თუმცა, სჯობს, პირდაპირ საქმეზე გადავიდე.

აღიარება.

აგერ უკვე ერთ წელიწადზე მეტია, “24 საათისთვის” ვწერ სვეტებს და მკითხველს ჩემს მოსაზრებებს ვუზიარებ.

ჩემ სვეტებს, რა დასამალია და, ბევრი მკითხველი ჰყავს. ბევრიც მაქებს და გარკვეულ წრეებში პოლემიკასაც კი იწვევს ხოლმე.

მაგრამ რაც უფრო დიდია ჩემი წარმატება - იმის მაგივრად, რომ გამიხარდეს - მით უფრო მიკვდება გული; სინდისი მოსვენებას არ მაძლევს - მქენჯნის და მქენჯნის...

გულზე ლოდად მაწევს ერთი საბედისწერო ტყუილი. ეს ქვეყანა მართლაც ჩალით ხომ არაა დაფარული, ბოლო-ბოლო, ხომ უნდა გაცხადდეს სიმართლე.

საქმე იმაშია, რომ ჩემი ყველა წარმატებული სვეტის ავტორი, სინამდვილეში, ლაშა ბუღაძეა.

დიახ, მკითხველო, ის მიწერს ჩემს წარმატებულ სვეტებს. (ერთი-ორჯერ წარუმატებელი სვეტიც მქონია და ესენი კი ნამდვილად ჩემი დაწერილი იყო.)

როცა ვინმე დამირეკავს და მეტყვის, ნინია, შენი სვეტი წავიკითხე და ძალიან მომეწონაო, მე მაშინვე საბრალო ლაშა ბუღაძე წარმომიდგება ხოლმე თვალწინ, რომელიც ჩემი სვეტების თხზვაში ათენებს ღამეებს და ქება კი, იმის მაგივრად რომ მას შეხვდეს, მე მხვდება.

პრეს-ომბუდსმენიც სულ მე მაქებს, როგორი ჭკვიანი, განათლებული და ლამაზი გოგო ხარ, რა კარგ სვეტებს წერო, ამ დროს, მე ხომ ვიცი, რომ სინამდვილეში ჭკვიანი, განათლებული და ლამაზიც ლაშა ბუღაძეა.

მას ლანძღავენ, მე კი მაქებენ. აი, ეს მკლავს!

თავიდან ერთი სვეტი ბიძაჩემმა, ჭაბუა ამირეჯიბმაც დამიწერა. მაგრამ, ვენაცვალე ჩემს ლაშას - ისეთი სვეტები დამიწერა, კი აჯობა ჭაბუას.

ახლაც, ამ სვეტს, ლაშა ბუღაძე მიწერს და ვიცი, რომ ქება მას კი არა, მე შემხვდება.

რა ვქნა, როგორ აღვუდგე წინ ამ უსამართლობას!

მაოცებს ჩემი სვეტების ნამდვილი ავტორის პრინციპულობა:

რა შეუპოვრობით აკრიტიკებს ხოლმე სააკაშვილს, ყოფილ “მხედრიონელებს” და არველაძეს, თუ კირკიტაძეს (რომელი რომელია, სულ მერევა).

ლომაია უყვარს ძალიან. მარტო მაგას აქებს. ამასაც, ალბათ, იმიტომ შვრება, რომ მისი თანამოკალმე კაკი წერ... უფრო სწორად, რატი ამაღლობელი ლომაიასთან მუშაობს...

დასკვნა.

ახლა კი ჩემი სვეტების ჭეშმარიტი ავტორის მშობლის წინაშე მინდა ბოდიში მოვიხადო და მას მივმართო:

ბატონო გიავ, მე ქედს ვიხრი თქვენი ვაჟის ნიჭიერებისა და თავმდაბლობის წინაშე და მოგიწოდებთ, რომ რაც შეიძლება მალე აღიაროთ, თუ ვინ გიხატავთ სინამდვილეში თქვენს ფრესკებს.

ათეული

კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის" მიხედვით

წიგნი	ავტორი	გამომცემლობა	რეიტინგი
აბაკელია და სხვ.	"საქართველოს ატლასი მოზარდთათვის"	"დიოგენე"	4.8
ლაშა ბუღაძე	"ბოლო ზარი"	"ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"	4
აკა მორჩილაძე	"მოგზაურობა ყარაბაღში"	"ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"	2.8
მზია სურგულაძე	"საქართველოს ისტორია ბავშვებისთვის"	"ლიტერა"	2.8
ზაზა ბურჭულაძე	"სახარება ვირისა"	"ლოგოს პრესი"	2.8
კრებული	"ახალი თარგმანები-2005"	"დიოგენე"	2.4
ინგლისური ბალადების მიხედვით	"რობინ ჰუდი"	"ლიტერა"	2.4
ჯორჯ ორუელი	"1984"	"სიესტა"	2
პაულო კოელიო	"ალქიმიკოსი"	"ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"	2
პაულო კოელიო	"თერთმეტი წუთი"	"ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"	1.6

ინფოთეკა

კიგანმა თანამდებობა დატოვა

ინგლისის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა კევინ კიგანმა "მანჩესტერ სიტის" მთავარი მწვრთნელის თანამდებობა დატოვა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც კიგანს კლუბის ხელმძღვანელობამ კონტრაქტი აღარ გაუგრძელა. კლუბის განცხადებაში ნათქვამია, რომ შედეგად მხარეებმა გაწყვიტეს მოქმედი ხელშეკრულება, რომელსაც მხოლოდ წელიწადნახევრის შემდეგ გასდიოდა ვადა.

"არსენალმა" ანრი სამი კვირით დაკარგა

ტრავმის გამო ლონდონის "არსენალის" ფრანგი ფორვარდი ტიერი ანრი სამი კვირით გამოვიდა მწყობრიდან. ამრიგად, ანრი, სულ ცოტა, სამ მატჩს გამოტოვებს. მათ შორის ინგლისის თასის მეოთხედფინალს "ბოლტონის" წინააღმდეგ. "კანონირების" ნახევარმცველი ედუ, რომელმაც მიუნხენის "ბაიერნთან" მატჩის წინ მუხლი იტკინა, ერთ თვეს ვერ ითამაშებს. უახლოეს პერიოდში მას ოპერაციას გაუკეთებენ.

"მონაკო" "ესპანიოლის" ნახევარმცველით დაინტერესდა

ფრანგული კლუბი "მონაკო" ესპანეთის "ესპანიოლის" ნახევარმცველით კამარა პერეირა ფრედსონით დაინტერესდა. ბრაზილიელი კატალონიურ კლუბში 2002 წლიდან თამაშობს და ბოლო დროს გუნდის ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა გახდა. თავისი შთამბეჭდავი თამაშის წყალობით ფეხბურთელმა რამდენიმე ევროპული კლუბის ყურადღება მიიპყრო, მათ შორის "მონაკოსიც", რომელმაც კატალონიაში უკვე გაგზავნა თავისი სელექციონერები.

მარია შარაპოვა: "მესამე პოზიცია დავიმსახურე"

თუ მარია შარაპოვა მოახერხებს მოიგოს ზედიზედ ორი ტურნირი (ინდიანა-უელსსა და მაიამიში), მაშინ მას შანსი ექნება საჩოგბურთო ოლიმპიდან ლინდსი დევენპორტი ჩამოაქვეითოს და თვითონ გახდეს მსოფლიოს პირველი ჩოგანი. თუმცა, თავად ჩოგბურთელი ამტკიცებს, რომ მას ასეთი გეგმა არა აქვს. "აზრი, რომ რადაც არ უნდა დამიჯდეს, აუცილებლად პლანეტის პირველი ჩოგბურთელი გავხდე, ყოველდღიურად არ მაწუხებს. თუ კვლავაც დავამარცხებ ჩემს მეტოქეებს, ბუნებრივია, რეიტინგშიც სულ უფრო მაღლა ავიწევ. ვიდრე ვიმარჯვებ, ყველაფერი კარგად არის. ყოველთვის ვოცნებობდი მსოფლიო ელიტაში დამემკვიდრებინა ადგილი. ამჟამად ჩემი სახელი რეიტინგის მესამე საფეხურზეა ამოტვიფრული. მიმაჩნია, რომ დამსახურებულად ვიკავებ ამ პოზიციას," - ამბობს შარაპოვა.

ვიტალი კლიჩკო: "არ მინდა, ლუისის შეცდომა გავიმეორო"

მძიმე წონაში უკრაინელი მსოფლიო ჩემპიონი ვიტალი კლიჩკო, რომელსაც 30 აპრილს ჰასიმ რახმანთან შეხვედრა აქვს დაგეგმილი, მიიჩნევს, რომ რახმანი ერთ-ერთი უძლიერესი მოკრივეა მსოფლიოში.

"რახმანი უაღრესად ხისტი მოკრივეა. ამჟამად ის ერთ-ერთი უძლიერესია მსოფლიოში, - აცხადებს ვიტალი კლიჩკო, - არ მინდა, არ შევაფასო მისი დამსახურება და იგივე შეცდომა დავუშვა, რაც ოთხი წლის წინათ ლენოქს ლუისმა დაუშვა. ვვარაუდობ, რომ "მედისონ სკვერ გარდენში" შეკრებილ კრივის მოყვარულებს ბოლომდე ვუჩვენებ ჩემს შესაძლებლობებს".

მომზადების პროცესზე საუბრისას ვიტალი კლიჩკომ განაცხადა, რომ იმ რვა კვირის განმავლობაში, რომელიც ბრძოლის დაწყებამდე დარჩა, ის ოპტიმალურ ფორმას მიაღწევს და რინგზე საუკეთესოდ მომზადებული გავა.

კირსან ილიუმჟინოვი: "სამწუხაროა, რომ კასპაროვი წავიდა"

მას შემდეგ, რაც გარი კასპაროვმა კარიერის დასრულების შესახებ განაცხადა, ფიდეს პრეზიდენტმა კირსან ილიუმჟინოვმა აღნიშნა, რომ ძალიან წუხს მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკის ამ გადაწყვეტილების გამო.

"სამწუხაროა, რომ გარი კასპაროვი პროფესიული ჭადრაკიდან მიდის. როგორც ჩანს, მან გადაწყვიტა, ისევე უცებ და მოულოდნელად წავიდეს, როგორც მოევლინა ჭადრაკის სამყაროს, - ამბობს ილიუმჟინოვი, - კასპაროვმა ჭადრაკის განვითარებისთვის ბევრი გააკეთა. ის ისტორიული მოვლენაა".

რაგბი

ყველანი სტადიონზე!

პაატა თოთაძე

თხოვნა არ გეგონოთ, მოთხოვნაა. დღეს საქართველოს ნაკრები ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მატჩს მართავს. ჰოდა, გულშემატკივრის მხარდაჭერა სჭირდება. განა არ გახსოვთ, რამდენჯერ ყოფილა, მორაგბეებს სწორედ გულშემატკივარმა რომ მოაგებინა? მოკლედ, აუცილებლად უნდა მოხვიდეთ დღეს, 15 საათზე, ეროვნულზე და მორაგბეებს უქომაგოთ. მეტოქედ ქართველებს რუმინელები ჰყავთ. ის რუმინელები, მუდამ რომ გველობებიან გზაზე ბოლო შვიდი წლის მანძილზე.

რაგბი რუმინეთში 1911 წელს დაინერგა, კავშირი კი სამი წლის შემდეგ - 1914 წელს დაარსდა. 1924 წელს რუმინელმა მორაგბეებმა ოლიმპიურ თამაშებშიც კი მიიღეს მონაწილეობა. რუმინეთი ადრე უფრო მძლავრობდა. 80-იან წლებში საფრანგეთი და უელსი ჰყავს დამარცხებული ბუქარესტში. იმავე პერიოდში დაიწყეს ფიქრი რუმინელთა მიღებაზე "ხუთ ერში", თუმცა, საბოლოოდ კარპატელებს მაინც უარი უთხრეს.

იქიდან დაიწყო რუმინული რაგბის დაღმასვლა, რომელიც აგერ, 21-ე საუკუნის დასაწყისამდე გაგრძელდა. ახლაღა ცდილობენ რუმინელები მდგომარეობის გამოსწორებას და წარსული დიდების დაბრუნებას. ამაში მათ საერთაშორისო საბჭოც ეხმარება. წინა წლებში ხომ მუდამ ჩვენზე მეტად ეხმარებოდნენ, ახლაც მათთვის ირბ-ს მილიონი გირვანქა აქვს გამზადებული. რეიტინგშიც ჩვენზე მაღლა დგას და ჩვენზე მეტადაც აფასებენ. ირბ-მ საქართველო მესამე დონის ქვეყანად აღიარა, რუმინეთი კი მეორე დონეზე გაამწესა. ამის გამო კარპატელებს წელიწადში ერთხელ ბობოლა ქვეყანასთან თამაშიც ერგებათ, რომელიც ჩვენთვის ჯერაც აუხდენელი ოცნებაა. ამ ყველაფრის მერე რაღა გასაკვირია, მათთან თამაშზე მსაჯად მონათესავე იტალიელს რომ გვინიშნავენ? ეგ იტალიელები არიან, ბოლო წლებში შესაშური მიკერძოებით რომ მსაჯობენ მეტოქეთა სასარგებლოდ. ახლაც, წესით, ჩეხ არბიტრს უნდა ემსაჯა, მაგრამ რატომღაც იტალიელით შეცვალეს, თითქოს სხვა ერისა ვერაფრით ვერ იმსაჯებდა.

მიუხედავად იმისა, რომ რუმინელებს მოგება-წაგების მხრივ ჩვენთან დადებითი ბალანსი აქვთ, ქართველების დიდი რიდი აქვთ. სხვანაირად ალბათ არც იქნება, რაკიღა საქართველოს ნაკრები ერთადერთია, ვისაც რუმინეთი ბუქარესტში ჰყავს დამარცხებული. ამის გამოა, რუმინელებმა საქართველოსთან მატჩისთვის ყველა ლეგიონერს რომ უხმეს და უძლიერესი შემადგენლობა შეკრიბეს. ამასთან, რუმინელებმა მშვენივრად იციან ჩვენი შერკინების სიძლიერე და სათადარიგოებში ერთბაშად სამი პირველხაზელი ჰყავთ. აქედან გამომდინარე, მეორე და მესამე ხაზში, წესით, დიდი არჩევანის საშუალება არ უნდა ჰქონდეთ, თუმცა, შესაძლოა, რომელიმე პირველხაზელი უნივერსალი იყოს და მეორე ხაზშიც მშვენივრად ითამაშოს. იქ კი დავამარცხეთ რუმინეთი ერთხელ მაინც, სამაგიეროდ თბილისში კარპატელები ჯერაც დაუმარცხებელნი არიან.



საქართველოს ნაკრებმა დღევანდელი მატჩისთვის დარიგებებიც უხვად მიიღო და ბევრიც ივარჯიშა.

ამ ტრადიციის დარღვევას ბორჯღალოსნები დღეს შეეცდებიან. ეს თამაში, გარდა იმისა, რომ წლევანდელი ერთა თასისაა, ამავდროულად მსოფლიო თასის შესარჩევი ეტაპისაცაა.

ქართველები ამ მატჩისთვის გორში ემზადებიან. სასტუმრო "ვიქტორიაში" (ესეც გამარჯვებას ნიშნავს!) არიან დაბინავებულნი, "დილას" სტადიონზე კი ვარჯიშობენ. პირობები ჩინებული აქვთ. რაც მთავარია, მოედანი კარგ მდგომარეობაშია, დაცემის შიში არ გაქვს - ვაითუ, რამე მოვიტეხოო. შემადგენლობაც თითქმის ოპტიმალურია, გოდერძი შველიძე გვაკლია მხოლოდ. მოკლედ, გუნდი დიდ მზადებაშია. მწვრთნელებსაც მოემატათ საფიქრალი. რუმინეთის ნაკრები არც უკრაინაა და არც რუსეთი, იოლად მოუგო, მათთან წარმატების მიღწევას ძალაც სჭირდება და მოხერხებულობაც. მანამდე ისინი მუდამ მოხერხებულობით გვამარცხებდნენ, თორემ, მარტო ძალაზე რომ იყოს საქმე, იცოცხლეთ, არაერთხელ გვეყოლებოდნენ დამარცხებული.

"მთავარია, რუმინელებს ბურთი არ მივცეთ, თორემ არ წაგვივა საქმეები კარგად. ამასთან, საბაზო კომპონენტებში უნდა ვაჯობოთ. ძალიან მძიმე ბრძოლა გველის, მარამ თუ ყველაფერი ისე გავაკეთეთ, როგორც ვფიქრობთ და როგორც საჭიროა, აუცილებლად დავამარცხებთ მეტოქეს", - განაცხადა პალიკო ჯიმშელაძემ, რომელიც წლეულს პირველ მატჩს ატარებს ნაკრებში. მწვრთნელებმა ის საგანგებოდ ამ მატჩისთვის გამოიძახეს.

იგივე მდგომარეობაშია გია ლაბაძეც. უდიდესი გამოცდილების მქონე ქართველი მესამეხაზელი "ტულონის" ლიდერია და ჩინებულ ფორმაში იმყოფება. ნაკრებში წლეულს არ უთამაშია, რუმინეთი მისი პირველი მეტოქე იქნება. "რუმინეთის ნაკრებთან ყველა მატჩი პრინციპულია. როგორც ყოველთვის, ახლაც ძალიან მძიმე ბრძოლა გველის, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, უნდა მოვიგოთ. რა გახდა მათი დამარცხება თბილისში", - აღნიშნა გია ლაბაძემ.

თანაგუნდელებს ნაკრების კაპიტანი ილია ზედგინიძეც ეთანხმება: "რუმინეთის ნაკრები ძალიან ძლიერი, მაღალი კლასის შემსრულებლებით დაკომპლექტებული გუნდია. თანაც, რუმინელებს საუკეთესო შემადგენლობა მოჰყავთ, რაც მათთან გამარჯვების ფასს მაღლა სწევს. მათთან მაქსიმალური ყურადღებით და მონდომებით უნდა ვითამაშოთ. წინასამატჩო მზადება კარგად მიმდინარეობს, გუნდში საბრძოლო განწყობაა. უკან დამხევი არავინაა და, იმედია, მოვიგებთ".

რუმინელთა წინააღმდეგ ქართველები ახალი, "საროს" შეკერილი ფორმით ითამაშებენ. მისი პრეზენტაცია და მასთან ერთად წინასამატჩო პრესკონფერენცია გუშინ გაიმართა "მსოფლიო სპორტში".

"ურთულესი თამაში გველის. რუმინეთის ნაკრები პრინციპული მეტოქეა საქართველოსთვის. თამაში იმითაც იქნება გამორჩეული, რომ, ფაქტობრივად, ორივე გუნდმა საუკეთესო შემადგენლობა შეკრიბა. ამ მხრივ მცირე უპირატესობა მაინც რუმინელებს აქვთ, რადგან ჩვენ გოდერძი შველიძე გვაკლია. რუმინელები დღეს ღამით ჩამოდიან და ხვალვე გაემგზავრებიან უკან. ჩვენი გუნდი ამჟამად გორშია. იქ ემზადება ჩინებულ პირობებში და ღირსეულად დაუხვდება მეტოქეს. მთავარია, მაყურებელი მოვიდეს და მხურვალედ უქომაგოს ჩვენს გუნდს...", - განაცხადა ნაკრების მენეჯერმა მალხაზ ნაცვლიშვილმა.

"...გუნდს ახალი მაისურები აქვს და იმედი გვაქვს, ახალი ფორმით პირველ გამარჯვებას მოიპოვებს. როგორც ვთქვი, დიდი მნიშვნელობა აქვს მაყურებლის მხარდაჭერას. სტადიონზე ნაკრების ახალი მაისურაც გაიყიდება 16 ნომრით. ეს იმიტომ, რომ მაყურებელი უნდა გახდეს მე-16 მოთამაშე. ფასს არ დავაზუსტებ, მაგრამ ერთს ვიტყვი: მაისურა იაფი არ ეღირება. არ შეიძლება იაფი ღირდეს და იმიტომ...", - ეს კოკა ლაზიშვილის, რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტის სიტყვებია.

"...მინდა იცოდეთ, რომ დღეს ჩვენ ყველანი ერთად ვდგავართ თამაშის, უფრო სწორად, ბრძოლის წინ. ისე მოხდა, რომ რუმინელებმა რუსეთთან მატჩის კასეტა არ გამოგვიგზავნეს. არც რუსებმა მოგვცეს. სირთულეების მიუხედავად, თემურ ბენდიაშვილი გაფრინდა ანტალიაში, სადაც რუსეთის ნაკრები გადის შეკრებას. ესაუბრა ნაკრების მწვრთნელს იგორ მირონოვს და მოთამაშეებს. შეაგროვა ყველა საჭირო ინფორმაცია რუმინელების შესახებ და ჩვენს მწვრთნელებს გააცნო..."

მოკლედ, დღეს დიდი ბრძოლა იქნება ეროვნულზე. კეთილი ინებეთ და მობრძანდით სტადიონზე. არც თქვენ ინანებთ ამ ბრძოლის ხილვას და მორაგბეებსაც დიდ დახმარებას გაუწევთ.

სადღეისო სატურნირო ვითარება

1.	პორტუგალია	3	3	0	0	63-33	9
2.	საქართველო	3	2	0	1	106-33	6
3.	რუმინეთი	2	2	0	0	71-24	6
4.	რუსეთი	2	0	0	2	25-60	2
5.	ჩეხეთი	2	0	0	2	27-57	2
6.	უკრაინა	2	0	0	2	6-101	2

ფეხბურთი

„ზესტაფონი" გუშინ, დღეს, ხვალ

იმერეთში დიდი გუნდი იქმნება

მიხეილ აბაიშვილი

დღეს ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები გაიმართება, რომელშიც გამორჩეულ ინტერესს იწვევს თბილისის "დინამოსა" და "ზესტაფონის" დაპირისპირება. ამ თამაშს ინტრიგას მატებს ის გარემოება, რომ ეს გუნდები ამ ცოტა ხნის წინ უკვე შეხვდნენ ერთმანეთს და, ყველასთვის მოულოდნელად, "ზესტაფონმა" გაიმარჯვა. თან, არა მხოლოდ გაიმარჯვა - ამ წარმატების წყალობით, ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთმა აუტსაიდერმა "ზესტაფონმა" ჩემპიონობის მთავარი პრეტენდენტი "დინამო" საქართველოს თასის გათამაშებას ჩამოაცილა.

დღეს ამ გუნდების მიზნები აბსოლუტურად განსხვავებულია. "დინამო" ჩემპიონობისათვის იბრძვის, ხოლო "ზესტაფონი" ძირითად, თანაც, საევროტურნირო იმედებს საქართველოს თასის გათამაშებაზე ამყარებს.

გუშინ "ზესტაფონის" ხელმძღვანელობამ, კერძოდ, მისმა მთავარმა მწვრთნელმა თემურ მახარაძემ, კლუბის გენერალურმა დირექტორმა დავით აბაშიძემ და პრესატაშემ სერგო ფუტკარაძემ გამართეს პრესკონფერენცია, რომელიც დღევანდელი მატჩის პერიპეტიებით არ შემოფარგლულა.

ის, რომ "ზესტაფონი" დღეს აბსოლუტურად სხვა გუნდია, ვიდრე თუნდაც მიმდინარე სეზონის დასაწყისში, ფეხბურთის ქართველმა ქომაგმა კარგად იცის. საქმე ეხება არა მხოლოდ გონივრულ სასელექციო, უფრო ზუსტად, სატრანსფერო აქტივობას, არამედ ინფრასტრუქტურის განვითარებასაც. ყველაზე სასიამოვნო კი ის არის, რომ "ზესტაფონს" ნამდვილი, თანაც, საკმაოდ შეძლებული პატრონი გამოუჩნდა სააქციო საზოგადოება "ფეროს" სახით, რომლის ხელმძღვანელებიც სოლიდური კაპიტალდაბანდებების განხორციელებას არ ერიდებიან.

"დღეს ზესტაფონში საფეხბურთო ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით სავალალო მდგომარეობაა. არ გვაქვს მოედნები, სტადიონს რეკონსტრუქცია და კეთილმოწყობა ესაჭიროება, საწვრთნელი ბაზაც, შეიძლება ითქვას, თითქმის არ გვაქვს. თუმცა, ვითარება ძალიან მალე შეიცვლება. სტადიონზე ვიწყებთ რეკონსტრუქციას და ყველაზე საშურ საქმედ მოედნის საფარის გამოსწორება მიგვაჩნია. ჩამოგვყავს თურქი სპეციალისტები. ისინი აპრილში მოედანს დრენაჟს გაუკეთებენ, ხოლო ივნისში ახალ გაზონს დავთესავთ, რომელიც საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო იქნება. შევასრულებთ სტადიონის კეთილმოწყობის სხვა სამუშაოებსაც.

ცალკე საუბრის თემაა საწვრთნელი ბაზა, რომლის სამი სავარჯიშო მოედნის მშენებლობა უკვე დაწყებული გვაქვს. "ზესტაფონს" სამი ასაკობრივი ფარმკლუბი ჰყავს, რომლებიდანაც სერიოზულ შევსებას ველით. ამ გუნდებს ხან სად უხდებოდათ ვარჯიში, ხან სად. როდესაც ამ მოედნების მშენებლობას დავასრულებთ, ეს პრობლემა გადაიჭრება. გარდა ამისა, ვაშენებთ ხელოვნურსაფარიან მოედანს ათასი დასაჯდომი ადგილით და განათებით. ეს გახლავთ იმ სამუშაოების არასრული ჩამონათვალი, რომელსაც უახლოეს მომავალში შევასრულებთ", - განაცხადა დავით აბაშიძემ.

საქართველოში ყოფილა გუნდები, რომლებსაც, პირობითად, "მეტეორები" შეიძლება ვუწოდოთ. ეს გუნდები უცბად გაიელვებდნენ, ერთ გამორჩეულ სეზონს ჩაატარებდნენ და შემდეგ, დაფინანსების შეწყვეტის გამო, ქართული კლუბების ნაცრისფერ მასას უბრუნდებოდნენ. როგორც ჩანს, "ზესტაფონს" მეტეორობა არ ემუქრება.

"კლუბის ხელმძღვანელობას განვითარების გრძელვადიანი გეგმა აქვს შემუშავებული, რაც არა მხოლოდ ძლიერი ფეხბურთელების მოწვევას, არამედ სრული ინფრასტრუქტურის შექმნას გულისხმობს. გუნდის ყველა ფეხბურთელთან, სულ მცირე, ორწლიანი კონტრაქტი გვაქვს გაფორმებული. გვყავს ფარმკლუბები, გავიარეთ სერიოზული უცხოური სეზონისწინა მოსამზადებელი შეკრება. ერთი სიტყვით, ყველაფერი ისე კეთდება, როგორც მაღალი დონის სოლიდურ კლუბებს შეეფერება", - კმაყოფილია თემურ მახარაძეც.

მთავარმა მწვრთნელმა დღევანდელ მატჩზე და გუნდის სპორტულ გეგმებზეც ისაუბრა.

"რაც შეეხება ეროვნულ ჩემპიონატს, გასაგები მიზეზების გამო წლეულს მაღალი მიზნებისთვის ვერ ვიბრძოლებთ. ჩემპიონატის სტარტზე ბევრი ქულა დაიკარგა, რის გამოც მიმდინარე სეზონში რეალური ამოცანა მხოლოდ უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა. დარწმუნებული ვარ, ამ ამოცანას წარმატებით გადავწყვეტთ, მომდევნო წელს კი მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ.

სხვა სიტუაციაა თასთან დაკავშირებით. მართალი გითხრათ, წელს არც ეროვნული თასის გათამაშებაში გამარჯვების ამბიცია გვქონდა, მაგრამ თბილისის "დინამოს" ბარიერი დავძლიეთ, ნახევარფინალში გავედით და ვინ დამიჯერებს, რომ ვთქვა, თასის ტურნირში გამარჯვებაზე არ ვფიქრობთ-მეთქი? მაქსიმუმს გავაკეთებთ იმისთვის, რომ თასის გათამაშებაში წარმატებით გამოვიდეთ", - განაცხადა მახარაძემ.

დღევანდელ მატჩთან დაკავშირებით "ზესტაფონს" სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს.

"ძალიან რთული კალენდარი გვაქვს. სათასო მატჩების ჩათვლით, ბოლო 21 დღეში 7 შეხვედრა ჩავატარეთ, ანუ ყოველ სამ დღეში ერთხელ გვიწევს თამაში. ასეთმა კალენდარმა ფეხბურთელების გადაღლა და ტრავმები გამოიწვია. განუგრავა და გოცირიძე ტრავმების გამო ვერ ითამაშებენ, ნუდნიც ავად არის, ზირაქიშვილს მიკროტრავმა აქვს, ჩიკვილაძე კი სამი გაფრთხილების გამო ვერ დაგვეხმარება. ამ ფეხბურთელების სახით სერიოზული ძალა დაგვაკლდება, მაგრამ ამას მარცხისგან თავის დაზღვევის მიზნით არ ვამბობ. მიუხედავად იმისა, რომ მეტოქე თბილისის "დინამოა", ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ხვალ წარმატებით ვითამაშოთ. მით უმეტეს, რომ უკან დასახევი გზა არ გვაქვს და ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის ვიბრძვით", - საბრძოლველად არის განწყობილი "ზესტაფონის" თავკაცი.

ინფოთეკა

ბრიატორე მოხარულია, რომ ფიზიკელა დაბრუნდა

თავის დროზე ჯანკარლო ფიზიკელამ "ბენეტონი" ფინანსური გაუგებრობის გამო დატოვა. მაშინ ის ფლავიო ბრიატორემ გაათავისუფლა. ახლა კი ფლავიო კმაყოფილია, რომ ფიზიკელა დაბრუნდა.

"მას შემდეგ ჯანკარლო ძალიან გაიზარდა. მე მასთან კონტრაქტი იმის გამო გავაფორმე, რომ ვიგრძენი - ეს მისი წელია! იცით, ის თითქოს ძმაა იმ მრბოლის, რომელიც ოდესღაც "ბენეტონში" გამოდიოდა. ისინი ერთმანეთს ძალიან ჰგავანან, მაგრამ სხვადასხვა პრიორიტეტებს ისახავენ მიზნად. არ უარვყოფ, წარსულში ჩვენს შორის უთანხმოება იყო, მაგრამ მიმაჩნია, რომ ამჟამად ფიზიკელა და ალონსო - საუკეთესო წყვილია მსოფლიოში," - განაცხადა ფლავიო ბრიატორემ.

TV-სპორტი

შაბათი. 12 მარტი

HTB+ФУТБОЛ

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 მინიფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. "სპარტაკი" - "არბატი"
13:30 "FUTBOL MUNDIAL"
13:55 მინიფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. "სპარტაკი" - "არბატი". პირდაპირი ტრანსლაცია
15:30 "ფუტბოლისტიკა"
16:00 თავისუფალი დარტყმა
16:15 "საფეხბურთო კლუბი"
16:55 "ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი"
17:25 გერმანიის ჩემპიონატი. "ბაიერი" - "ჰერტა". პირდაპირი ტრანსლაცია
19:25 თავისუფალი დარტყმა
19:40 სახვალიო ტელეპროგრამა
19:50 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-აღლუმი. 1/8 ფინალი. "ჩელსი" - "ბარსელონა". საპასუხო მატჩი
21:55 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
22:25 იტალიის ჩემპიონატი. "ლაციო" - "ინტერი". პირდაპირი ტრანსლაცია
00:20 თავისუფალი დარტყმა
00:35 საფრანგეთის ჩემპიონატი. "მარსელი" - "ლანსი". პირდაპირი ტრანსლაცია

HTB+СПОРТ

10:00, 12:40, 16:00, 20:00 პრესცენტრი
10:20, 20:15 "ქრონიკა"
10:25 "სპორტული გლობუსი" "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
10:55 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო თასის ეტაპი ნორვეგიაში. ქალები. 30კმ. პირდაპირი ტრანსლაცია
13:00 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო თასის ეტაპი ნორვეგიაში. ვაჟები. 50კმ. პირდაპირი ტრანსლაცია
16:15 "ფარი და ბურთი" - ტელეჟურნალი
17:00 "გუნდი" - "ხიმიკი"
17:30 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. "SEATTLE SUPERSONICS" - "CHICAGO BULLS"
20:20 სახვალიო ტელეპროგრამა
20:30 "დიდი რინგი"
22:30 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასის ეტაპი ნორვეგიაში. ტრამპლინი. რბოლა 15კმ.
00:15 ახალი ამბები
00:30 სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ფინალი შვეიცარიაში. ქალები. სლალომი
01:20 სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ფინალი შვეიცარიაში. ვაჟები. გიგანტური სლალომი

EUROSPORT

10:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. "მექსიკის რალი"
11:00 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო თასი ეტაპი ნორვეგიაში. 30 კმ. ქალები. პირდაპირი ტრანსლაცია
13:00 ფეხბურთი. ევროპის 24 საუკეთესო კლუბი
13:30 სამთო თხილამურები. მსოფლიო თასის ფინალი შვეიცარიაში. სლალომი. ქალები. პირდაპირი ტრანსლაცია
14:30 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო თასის ეტაპი ნორვეგიაში. 50 კმ. ვაჟები. პირდაპირი ტრანსლაცია
15:00 სამთო თხილამურები. მსოფლიო თასის ფინალი შვეიცარიაში. ვაჟები. პირდაპირი ტრანსლაცია
15:15 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო თასის ეტაპი ნორვეგიაში. 50 კმ. ვაჟები. პირდაპირი ტრანსლაცია
16:00 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი ავსტრიაში. ვაჟები. პირდაპირი ტრანსლაცია
18:00 ველოსპორტი. პარიზი-ნიცა, საფრანგეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
18:45 სნუკერი. მასტერსის ტურნირი ირლანდიაში. ნახევარფინალი
21:00 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი ავსტრიაში. ვაჟები
22:00 სნუკერი. მასტერსის ტურნირი ირლანდიაში. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
01:30 ახალი ამბები
01:45 მებრძოლთა კლუბი
02:45 საღამო ევროსპორტთან
03:45 ახალი ამბები

საფეხბურთო გალერეა

ჰენრიკ ლარსონი: „ბარსელონაში ბედნიერი ვარ!"

ჰენრიკ ლარსონი
დაიბადა *1971 წლის 20 სექტემბერს*
თავდამსხმელი
სიმაღლე: *178სმ,*
წონა: *78კგ*
კლუბები: *"ჰოგაბორგი" (ჰოგაბორგი, შვედეთი, 1989-1992), "ჰელსინგბორგი" (ჰელსინგბორგი, შვედეთი, 1992-1993), "ფეიენოორდი" (როტერდამი, ჰოლანდია. 1993-97), "სელტიკი" (გლაზგო, შოტლანდია, 1997-2004), "ბარსელონა" (ბარსელონა, ესპანეთი, 2004-)*
ტიტულები: *შოტლანდიის ჩემპიონი - 1998, 2001, 2002, 2004, შოტლანდიის თასი - 2000, 2001, შოტლანდიის ლიგის თასი - 1998, 2001, 2002, ჰოლანდიის თასი - 1994, 1995, შვედეთის საუკეთესო ფეხბურთელი - 1998, შოტლანდიის საუკეთესო ფეხბურთელი - 1999, 2001, 2002, 2004 შოტლანდიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი - 1999 (29 გოლი), 2001 (35 გოლი), 2002 (29 გოლი), 2003 (28 გოლი), 2004 (30 გოლი), ევროპის "ოქროს ბუცის" მფლობელი - 2001 (35 გოლი), მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი - 1994 შვედეთის ნაკრებში ჩატარებულ 82 მატჩში გაიტანა 32 გოლი ევროთასებზე ჩატარებულ 81 მატჩში გაიტანა 42 გოლი*

შვედი თავდამსხმელი ჰენრიკ ლარსონი, რომელიც ესპანეთის ჩემპიონატის ლიდერ "ბარსელონაში" თამაშობს, ტრავმირებულია. მიუხედავად ამისა, თანამედროვეობის ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა გამოძებნა დრო და უეფას ინტერნეტ-გვერდის მეშვეობით გულშემატკივართა შეკითხვებს უპასუხა.

სანამ უშუალოდ კითხვა-პასუხს გაეცნობოდეთ, გეტყვით, რომ ლარსონი, სავარაუდოდ, ივნისის შუა რიცხვებში დაუბრუნდება კლუბს. ესპანურ პრესაში გავრცელებული ცნობის თანახმად, სკანდინავიელის სარეაბილიტაციო კურსი გართულებების გარეშე მიმდინარეობს და ორ თვეში ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშსაც განაახლებს.

- გთხოვთ, ლონდონში თქვენი თანაგუნდელების თამაში შეაფასოთ.

- შესანიშნავი დაპირისპირება იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, დავმარცხდით. ვფიქრობ, "ბარსელონას" გულშემატკივრებისთვის იმედი არ გაუცრუებია. თანაგუნდელთაგან უდავოდ გამოირჩეოდნენ რონალდინიო და კარლეს პუიოლი. პირველი თავდასხმაში იყო შეუდარებელი, რასაც მისი ფანტასტიკური გოლიც მოწმობს, პუიოლმა კი ნამდვილი კაპიტანივით იბრძოლა!

- გამარჯობა, ჰენრიკ! შენი დიდი გულშემატკივარი ვარ ლიტვიდან, ქალაქ კაუნასიდან. ძალიან გთხოვ მითხრა, ითამაშებ თუ არა ამ სეზონში "ბარსელონაში"?

- არა მგონია. ახლა მხოლოდ საბოლოოდ განკურნებაზე და მომავალ სეზონზე ვფიქრობ.

- გასაგებია, რომ თამაში არ შეგიძლია. მხოლოდ ეს მაინტერესებს, როგორ ინარჩუნებ ფიზიკურ კონდიციებს?

- არათუ თამაში, სირბილიც მეკრძალება. მხოლოდ და მხოლოდ ძალოსნობის დარბაზში ვვარჯიშობ, რათა ასე მაინც შევინარჩუნო ფორმა. როცა სერიოზული ტრავმა გაქვს, უნდა შეეგუო იმ აზრსაც, რომ მომჯობინებულს, ყველაფრის თავიდან დაწყება მოგიწევს.

- თქვენი აზრით, რომელია საუკეთესო კლუბი, რომელშიც გითამაშიათ? ძალიან გთხოვთ, თქვენს კარიერაში საუკეთესო მწვრთნელიც დაასახელეთ.

- როგორ გითხრათ, ძალიან რთული შეკითხვაა... "სელტიკში" გატარებული წლები, რა თქმა უნდა, შესანიშნავი იყო, მაგრამ "ბარსელონაც" დიდებული კლუბია! მწვრთნელებიდან ფრენკ რაიკაარდსა და მარტინ ონეილს გამოვარჩევდი. ვიმ იანსენიც ტკბილად მახსენდება...

- რომელია თქვენს მიერ გატანილი საუკეთესო გოლი?

- ერთის გამორჩევა ძალიან გამიჭირდება. იცით, გამიტანია გოლები, რომლებსაც მნიშვნელოვანი მატჩები მოუგიათ, ასევე გოლები, რომლებიც ძალიან ლამაზი ყოფილა. საუკეთესოდ ბევრს მივიჩნევ. ერთი რომელიმე გოლი გამორჩეულად ნამდვილად არ მიყვარს.

ლარსონს კარიერის დასრულების ეშინია.

- 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე შვედეთის შანსებს როგორ შეაფასებდით?

- პირველ რიგში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური უნდა მოვიპოვოთ. რთული შესარჩევი ჯგუფი შეგვხვდა, თუმცა, ვფიქრობ, ამ ბარიერის გადალახვა ჩვენს გუნდს არ გაუჭირდება. მთავარია სრული მობილიზება - ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ჩვენი ავტორიტეტი გაიზარდა და მოპოვებულ სახელს გაფრთხილება სჭირდება.

- გთხოვთ, შეადაროთ შოტლანდიასა და ესპანეთში თამაში.

- ტექნიკური თვალსაზრისით, ესპანეთის ჩემპიონატი გაცილებით მაღლა დგას შოტლანდიის პირველობაზე, მაგრამ თამაშის ტემპის მხრივ პრიმერადივიზიონი ახლოსაც ვერ მივა პრემიერლიგასთან. ამას გარდა, შოტლანდიაში მსაჯები ფეხბურთელებს ძალისმიერი თამაშის უფლებას აძლევენ, ესპანეთში კი თითქმის ყოველი ორთაბრძოლა მსაჯის სასტვენით წყდება.

- შენი თამაში "სელტიკში" ჩემთვის დაუვიწყარია! თუ გახსოვს, "სენტ-ჯონსტონის" კარში გატანილი გოლით "გლაზგო რეინჯერსს" პირველობის ზედიზედ მეათედ მოგება არ დაანებე. ამას არასდროს არ დავივიწყებ! ახლა მაინტერესებს: "სელტიკში" მოპოვებული რომელი გამარჯვებაა შენთვის ყველაზე ღირსსახსოვარი?

- როგორც საუკეთესო გოლის შემთხვევაში, ყველაზე შთამბეჭდავი გამარჯვების გამორჩევა ნამდვილად გამიჭირდება. ტკბილად მაგონდება 2001 წელს, ერთ სეზონში მოგებული ჩემპიონატი, თასი და ლიგის თასი. ამას გარდა, ცხადია, არ დამავიწყდება შენს მიერ ნახსენები გოლიც. კარგად ვხვდებოდი, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ის გოლი "სელტიკის" გულშემატკივრებისთვის.

- რატომ დაუბრუნდი ნაკრებს გუნდიდან წასვლის შემდეგ? და, საერთოდ, რატომ მიიღე ეს გადაწყვეტილება? შენ ხომ შვედეთის ნაკრების ლიდერი იყავი!

- ნაკრებს იმიტომ დავუბრუნდი, რომ მინდოდა, გულდაწყვეტილი არ ვყოფილიყავი. იცით, როცა "სელტიკში" ვთამაშობდი, არაერთი შეთავაზება მქონდა, მაგრამ გლაზგო არ დამიტოვებია და არც მინანია ამის გამო. ნაკრებიდან ნაადრევად წასვლის გამო კი ვინანე, თუმცა, როგორც კი გუნდში დაბრუნების შანსი მომეცა, მყისვე შევცვალე გადაწყვეტილება. რაც შეეხება იმას, თუ რატომ გადავწყვიტე თავის დროზე ნაკრებიდან წასვლა, მიზეზი მარტივია: მინდოდა, ოჯახისთვის მეტი დრო დამეთმო.

- მოდით, ცოტა ვიოცნებოთ. შესაძლებელი რომ იყოს წარსულის რომელიმე ვარსკვლავის მხარდამხარ თამაში, პარტნიორად ვის აირჩევდით?

- ორი აზრი არაა, პელეს! ის ჩემი კერპია! მას არა მარტო გოლების გატანა, თანაგუნდელისთვის შესანიშნავი პასის მიწოდება და, რაც მთავარია, მომენტის შექმნა შეეძლო. დიახ, პელეს ავირჩევდი!

- რომელია ჯილდო, რომლის მოგებაზეც ოცნებობთ?

- ძალიან ბევრი ტიტულია, რომელიც ჯერ არ მომიგია. მათი ჩამოთვლა, მერწმუნეთ, შორს წაგვიყვანს.

- რატომ გადაწყვიტეთ, კარიერა "ბარსელონაში" გააგრძელოთ?

- ვფიქრობ, კლუბის სახელწოდებაა თავად პასუხი. "ბარსელონა" დიდებული გუნდია, "კამპ ნოუზე" შესანიშნავი ატმოსფეროა და, რაც მთავარია, ეს კლუბი უმაღლეს დონეზე თამაშის შანსს გაძლევს.

- როგორია ზლატან იბრაჰიმოვიჩის და რონალდინიოს მხარდამხარ თამაში?

- ორივე იმ ყაიდის ფეხბურთელია, რომელთა მხარდამხარ ენით აუწერელ სიამოვნებას იღებ. ზლატანიც და რონალდინიოც შესანიშნავ ფეხბურთს თამაშობენ. მათ გვერდით ვერ მოიწყენ! პირადად მე ყოველთვის პასის მოლოდინში ვარ, არა აქვს მნიშვნელობა, საამისო სიტუაცია არის თუ არა. მათ ერთი პატარა მოძრაობით შეუძლიათ არათუ თამაშის მსვლელობის, არამედ ანგარიშის შეცვლაც. ვფიქრობ, რონალდინიოს ლონდონური გოლი ზემოთქმულის დადასტურებაა.

- ყველაზე მეტად რა გენატრებათ გლაზგოური კარიერიდან და რა გხიბლავთ ბარსელონაში?

- ძალიან მაკლია შოტლანდიელი ხალხი, თუმცა, როცა კლუბს იცვლი, ამას უნდა შეეგუო. სხვა მხრივ, გული თითქმის არაფერზე მწყდება - ბარსელონაში თავს შესანიშნავად ვგრძნობ! მიუხედავად იმისა, რომ მარტია, ქალაქში თბილა, მზე ანათებს და ყავის დალევა ძალიან სასიამოვნოა. ყველამ იცის, რომ მზე უზომოდ მიყვარს!

- რომელ კლუბში წარმოგიდგენიათ თავი სამი წლის შემდეგ?

- მომავალზე არ ვფიქრობ. და, საერთოდ, არც კარიერის დასრულება მაშინებს. ჯერჯერობით თამაში უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს და ვცდილობ, "ბარსელონაში" გატარებული დღეებით დავტკბე.

- თვლით თუ არა, რომ "ბარსელონას" დამარცხების შემდეგ "ჩელსის" ჩემპიონთა ლიგის მოგება შეუძლია?

- არ ვიცი, კონკრეტულ პასუხს ვერ გაგცემთ. "ჩელსი", ორი აზრი არაა, ძალიან ძლიერი კლუბია, მაგრამ მის გარდა მეოთხედფინალში საკმაოდ სოლიდურმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. ვნახოთ, მომავალი ყველაფერს გვიჩვენებს. ლიგას მოიგებს ის, ვინც ხუთ თამაშში მეტოქეზე ძლიერი იქნება!

- როგორი იყო ჩემპიონთა ლიგაში "სელტიკის" კარის დალაშქვრა?

- სიმართლე გითხრათ, მეწყინა, ჯგუფურ ეტაპზე "სელტიკი" რომ შეგვხვდა. არ მინდოდა ასე მალე "სელტიკ პარკზე" დაბრუნება. გოლისას კი უცნაური განცდა დამეუფლა - გოლი გავუტანე კლუბს, სადაც არაერთი ბრწყინვალე წელიწადი გავატარე. როცა ბურთი შევაგდე, არ გამხარებია. ჩავთვალე, რომ არ იყო ამის საჭიროება. პატივი უნდა მეცა იმ ხალხისთვის, რომელიც რამდენიმე თვით ადრე მე მიკრავდა ტაშს.

- ჰენრიკ, ძალიან მიყვარხარ. ერთი ეს მითხარი, როგორ უნდა ვივარჯიშო, შენნაირი სახელგანთქმული ფეხბურთელი რომ გავხდე?

- მთავარია, ვარჯიში არ დაიზარო და ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია კარგი თანაგუნდელები. ამ შემთხვევაში სახელი და დიდება გარანტირებულია!

- თამაშის წინ რით იკვებებით და რას სვამთ? და საერთოდ, რა არის თქვენი საყვარელი საჭმელი?

- ფეხბურთელები მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე მსუბუქად ვსადილობთ. პირადად მე ტომატის სოუზს გეახლებით და მხოლოდ წყალს ვსვამ. რაც შეეხება საყვარელ კერძს, ძალიან მიყვარს შემწვარი კარტოფილი სხვადასხვა საწებლებთან ერთად.

- ბავშვობაში რომელ კლუბს ქომაგობდით?

- მიყვარდა ინგლისის "ტოტენჰემ ჰოთსფურზის" და "ლივერპულის" თამაშების ცქერა. ასევე მომწონდა "ბარსელონა"... ერთი სიტყვით, ის კლუბები მიყვარდა, რომელთა თამაშებსაც ტელევიზორში აჩვენებდნენ.

- ფეხბურთელი რომ არ ყოფილიყავით, სპორტის რომელ სახეობაში ივარჯიშებდით?

- ჰოკეიში! შვედეთში ჰოკეი ძალიან პოპულარულია!

- თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?

- ვცდილობ, დავისვენო, რადგან ვარჯიშები და თამაში ძალიან დიდ ენერგიას მართმევს. რაც შეეხება კითხვას, ცოტას ვკითხულობ.

- ფეხბურთელი რომ არ ყოფილიყავით, რა პროფესიას აირჩევდით?

- ალბათ, მსახიობი ვიქნებოდი... უნდა წავიდე, თორემ ჩემი მეუღლე სიცილით კვდება... კარგად იყავით, ბიჭებო! დიდი მადლობა საინტერესო შეკითხვებისთვის!

მოამზადა ლაშა გოდუაძემ

სათხილამურო სპორტი

სუპერგიგანტური ბროლის გლობუსები

გიგა გურასაშვილი

შვეიცარიის ალპებში, ლენზერჰეიდში მიმდინარე სამთომოთხილამურეთა მსოფლიო თასის გათამაშება იმითაა მნიშვნელოვანი, რომ სეზონის ეპილოგია. მათთვის, ვისაც საერთო ჩათვლაში ბლომად მოუგროვებია ქულები და ბროლის გლობუსის დაუფლების პრეტენდენტებად ითვლებიან, თითოეული ადგილი გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს. მით უმეტეს, რომ ამ მხრივ დაწინაურებულებს შორის სხვაობა არც თვალშისაცემია და დარჩენილ ეტაპებს "ბროლის" ფასი აქვს.

მაგალითად, სუპერგიგანტოსან ვაჟთა გუშინდელი ასპარეზობა წინდაწინვე დამაინტრიგებელად ითვლებოდა. ჩქაროსნულ დისციპლინათა დიდოსტატს და მიმდინარე სეზონის ლიდერს, ხუთივე დისციპლინის ჯამში ყველა მეტოქეზე მეტი ქულის შემგროვებელსა და აბსოლუტურ ჩათვლაში "ბროლის გლობუსის" ზღურბლთან მდგარს ამერიკელ ბოდე მილერს, გუშინ სანუკვარი ჯილდოს ხელში ჩასაგდებად აუცილებლად გამარჯვება სჭირდებოდა. მაგრამ ამ საქმეში ის მარტო არ იყო. დაეუფლებოდა თუ არა ბროლის გლობუსს, იმაზეც იყო დამოკიდებული, თუ როგორ იასპარეზებდა ამერიკელის უახლოესი მდევარი და ერთადერთი მეტოქე ავსტრიელი ბენიამინ რაიხი. იმისთვის, რომ ამერიკელი სანუკვარ ჯილდოს დაპატრონებოდა, ჯერ ერთი, "სილვანო ბალტრამეტის" ტრასა საუკეთესო დროში უნდა გაევლო და მეორე ის, რომ რაიხი საუკეთესო თხუთმეტ სპორტსმენს მიღმა უნდა აღმოჩენილიყო.

ერთი სიტყვით, ამერიკელის ბედი ავსტრიელის ხელში იყო. მილერმა თავისი საქმე ხუთიანზე გააკეთა. მოიგო გუშინდელი სუპერგიგანტი და ბროლის თასითაც დააჯილდოეს, მაგრამ ჯილდო საერთო ჩათვლისა - აბსოლუტურისა არ იყო, არამედ კონკრეტულად სუპერგიგანტოსანთა ჩათვლისა.

ერთი სიტყვით, მილერს მცირე ბროლის თასი გადაეცა, რაშიც ჩქაროსნულ დისციპლინაში მოგროვებული ქულათა მაქსიმუმი (470) დაეხმარა. აქედან დასკვნა: ბენი რაიხმა საუკეთესო 15-ში ადგილი დაიკავა. ავსტრიელს მე-11 შედეგი ჰქონდა. ამერიკელს კი, რომელმაც სეზონის მეორე გამარჯვება იზეიმა სუპერგიგანტში, მსოფლიო თასის ეტაპების მე-19, აბსოლუტურ ჩათვლაში ბროლის თასის დაუფლება გაუჯანჯლდა და, შესაძლოა, საერთოდაც უმთავრესი ტიტულის მიღმა აღმოჩნდეს. საქმე ისაა, რომ მილერი ჩქაროსნულ დისციპლინებშია ძლიერი, ხოლო რაიხი - ტექნიკურ დისიპლინებში. ჩქაროსნული დისციპლინები დასრულდა, მისგან ესტაფეტა კი ტექნიკურმა დისციპლინებმა - სლალომმა და გიგანტურმა სლალომმა ჩაიბარეს. გათამაშების ქულათა დარიცხვის სისტემა გამარჯვებულს 100 ქულით აწინაურებს. ეს იმას ნიშნავს, რომ 184 ქულით წინ გაჭრილ მილერს, შესაძლოა, რაიხმა გაუსწროს, თუ, რა თქმა უნდა, დღეს და ხვალ გამარჯვება მას დარჩება. რაიხმა ორივე დისციპლინაში რომ გაიმარჯვოს კიდეც, აბსოლუტურ ჩათვლაში გამარჯვებისთვის ამერიკელი თხუთმეტ საუკეთესოს მიღმა უნდა აღმოჩნდეს. თუ მოვლენები შესაბამისი თანმიმდევრობით არ განვითარდა, მაშინ მთავარი ჯილდო ბოდე მილერს დარჩება და გახდება მეორე ამერიკელი თანამემამულე ფილ მარეს შემდეგ, რომელმაც 1983 წელს ასევე გამოიჩინა თავი.

მილერი მცირე ბროლის თასის მფლობელია.

გუშინდელ დაჯილდოების ცერემონიალზე გამარჯვებულის კვარცხლბეკზე კიდევ ერთი ამერიკელი იდგა. საუბარია მილერის თანაგუნდელზე დარონ რალვზე, რომელსაც მილერის მსგავსი შედეგი - 1:10.24 აღმოაჩნდა. მესამე შედეგით დაამთავრა ასპარეზობა ავსტრიელმა შტეფან გერგლმა.

ორიოდე სიტყვით ქალებზეც. სუპერგიგანტში ლეიკ ლუისსა (კანადა) და არეში (შვეიცარია) გამარჯვებების შემდეგ ავსტრიელმა მიხაელა დორფმაისტერმა გუშინ სეზონის მესამე გამარჯვება მოიპოვა და სხვა დისციპლინებში დაგროვილი ქულების წყალობით ამავე დისციპლინის ბროლის გლობუსის მფლობელად გამოაცხადეს. მეორე ადგილზე გავიდა დორფმაისტერის თანამემამულე მარლის შილდი, ხოლო მესამეზე - აბსოლუტურ ჩათვლაში პირველობის პრეტენდენტი შვედი ანია პერსონი.

ჭადრაკი

გარი კასპაროვი ჭადრაკს დაემშვიდობა

მსოფლიო საჭადრაკო რეიტინგის პირველმა ნომერმა გარი კასპაროვმა სპორტული კარიერის დასრულების შესახებ განცხადება გააკეთა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც რუსმა დიდოსტატმა ლინარესის საჭადრაკო სუპერტურნირის უკანასკნელ ტურში ბულგარელ ვესელინ ტოპალოვთან წააგო. ამის მიუხედავად, კასპაროვმა ტურნირი მაინც მოიგო.

ბოლო ტურის წინ კასპაროვს 11 თამაშიდან 8 ქულა ჰქონდა. მას ერთი ქულით ტოპალოვი ჩამორჩებოდა. სწორედ ეს მოჭადრაკეები შეხვდნენ ერთმანეთს ტურნირის დასკვნით მატჩში. შავი ფიგურებით ბულგარელი დიდოსტატი თამაშობდა.

მე-13 ტურში, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინათ გაიმართა, გარი კასპაროვი ინდოელ დიდოსტატ ვიშვანათან ანანდს დაუზავდა, რომელსაც სპეციალისტები პირველობისთვის ბრძოლაში კასპაროვის უმთავრეს კონკურენტად მიიჩნევდნენ. პარტია უაღრესად სწრაფად დასრულდა. თითქოს მეტოქეებმა თავიდანვე მოილაპარაკეს, 20 სვლა გაეკეთებინათ და ამის შემდეგ ყაიმზე შეთანხმებულიყვნენ.

ყველამ, ვინც ტოპალოვ-კარსპაროვის თამაშს ადევნებდა თვალს, კარგად იცოდა, რომ ბულგარელი შეეცდებოდა გაერისკა და გამარჯვებისთვის მიეღწია. ამასთან, იგი სულაც არ ინაღვლებდა იმაზე, რომ შესაძლოა, რისკის ფასად მეორე ადგილიც დაეკარგა. კასპაროვმა კი ლინარესში თავისი თამაშით ყველას დაუმტკიცა, რომ შესანიშნავ ფორმაშია. ამდენად, ბულგარელის შანსი, მოეგო პარტია, საკმაოდ ბუნდოვანი ჩანდა.

თუმცა, მოლოდინის საწინააღმდეგოდ, დღის ცენტრალური პარტია საკმაოდ სწრაფად დასრულდა და, თანაც, ძალიან მოულოდნელად. 30-ე სვლაზე კასპაროვმა დამარცხება აღიარა.

თავიდან ვარაუდობდნენ, რომ კასპაროვი და ტოპალოვი სიცილიური დაცვის ყველაზე უფრო საიმედო ვარიანტს - "ჩელიაბინსკურს" გაითამაშებდნენ. თუმცა, უკვე მესამე სვლაზე ბულგარელმა, რომელმაც თავისი მეორე მხედარი აამოქმედა, ვარაუდი არ გაამართლა. მეშვიდე სვლაზე ტოპალოვმა სრულიად მოულოდნელი სვლა განახორციელა, რომელიც ადრე ასეთ პოზიციაში არავის გაუკეთებია: პაიკი შეწირა იმ მიზნით, რომ მცირე უპირატესობა მოეპოვებინა. თუმცა, კასპაროვმა სწრაფად უპასუხა და ტოპალოვის მსხვერპლშეწირვას იგნორირება გაუკეთა.

ამის შემდეგ მეტოქეებმა რამდენიმე სვლა გააკეთეს. ამ სვლებმა მაყურებელს ყაიმის ეჭვი გაუჩინა. მე-20 სვლაზე, იმის ნაცვლად, რომ ქიში ეთქვა და თეთრების მეფეზე ზეწოლა განეხორციელებინა, კასპაროვმა მხედრით, ცოტა არ იყოს, გაუგებარი სვლა გააკეთა. ტოპალოვმა კი თავისი დედოფალი მყისვე დააყენა შავების დედოფლის ხაზზე. ამის პასუხად კასპაროვმა ფიგურების გაცვლის გრანდიოზული ფოიერვერკის მოწყობა გადაწყვიტა. შედეგად, 25-ე სვლაზე პარტია პაიკების ენდშპილში გადავიდა. აქ კი ტოპალოვს შვიდი პაიკი აღმოაჩნდა კასპაროვის ექვსის წინააღმდეგ. აქამდე კასპაროვი იმდენად დამაჯერებლად თამაშობდა, რომ შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს წინასწარ განჭვრიტა მოვლენების ამგვარი განვითარება და თავის ქულას მაინც მიიღებდა. თუმცა, დიდოსტატი მაინც შეცდა, რაც 30-ე სვლაზე მარცხის აღიარებით თვითონვე დაადასტურა.

გარი კასპაროვმა დაფა დახურა.

ამრიგად, ტოპალოვმა რვა ქულა მოაგროვა და კასპაროვს დაეწია. პირად შეხვედრებშიც უპირატესობა ბულგარელის მხარეზე იყო, რადგან მათი პირველი პარტია ყაიმით დასრულდა. თუმცა, ტურნირის რეგლამენტის მიხედვით თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში პირველად ითვალისწინებენ მოგებების რაოდენობას. იმ შემთხვევაში, თუ მოჭადრაკეებს ეს მაჩვენებელიც თანაბარი ექნებათ (ორივე მოჭადრაკემ ტურნირზე ექვსი მატჩი მოიგო), უპირატესობა იმ დიდოსტატს ენიჭება, რომელიც უფრო ბევრ პარტიას მოიგებს შავი ფიგურებით. ამის გამო ლინარესის ტურნირის გამარჯვებული მაინც გარი კასპაროვი გახდა.

დიდოსტატები თავის ამოცანებს სხვა ორ პარტიაშიც ხსნიდნენ. ვიშვანათან ანანდი, რომელმაც ბოლო ტურამდე 6,5 ქულა მოაგროვა და პრაქტიკულად გაინაღდა მესამე ადგილი, ხვდებოდა ინგლისელ მაიკლ ადამსს, რომელსაც ინდოელზე ორი ქულით ნაკლები ჰქონდა მოგროვილი. ანანდი მხოლოდ დამარცხების შემთხვევაში კარგავდა მესამე ადგილს. ამ შემთხვევაში მას შეიძლებოდა დასწეოდა უნგრელი დიდოსტატი პეტერ ლეკო, რომელიც ანანდს ერთი ქულით ჩამორჩებოდა. თუმცა, ამისთვის ლეკოს, რომელმაც მანამდე ყველა პარტია ყაიმით დაასრულა, უნდა დაემარცხებინა ტურნირის აუტსაიდერი ფრანსისკო ვალიეხო (3,5 ქულა). ამასთან, ესპანელს საკუთარი მოტივაცია ამოძრავებდა. მას არ უნდოდა, თავის სამშობლოში ტურნირი ბოლო ადგილზე დაემთავრებინა. რუსტამ კასიმჯანოვი კი, რომელიც ბოლოსწინა ადგილზე იმყოფებოდა, ვალიეხოს ნახევარი ქულით უსწრებდა. უნდა ითქვას, რომ მარტოოდენ კასპაროვის დამარცხებით ლინარესში მოულოდნელობები არ დასრულებულა.

ანანდმა წააგო ადამსთან შეხვედრა. ამ პარტიაში საკმაოდ ადრე მეტოქეებს დაფაზე მხოლოდ დედოფლები და ეტლები დარჩათ. ამასთან, ანანდს ერთი პაიკით ნაკლები ჰქონდა, ისევე როგორც კასპაროვს ტოპალოვთან შეხვედრაში. 41-ე სვლაზე მეტოქეებმა ეტლები გაცვალეს, რის შემდეგაც ბრიტანელის უპირატესობა უფრო მეტად გამოიკვეთა. ანანდი ამას მიხვდა და 51-ე სვლაზე დამარცხება აღიარა.

ტურნირის უკანასკნელ პარტიაში ლეკომ და ვალიეხომ 67 სვლა განახორციელეს. ამ მომენტისთვის მეტოქეებს მძიმე ფიგურებიდან მხოლოდ თითო ეტლი შერჩათ და გადაწყვიტეს, ყაიმზე შეთანხმებულიყვნენ. აღსანიშნავია, რომ ლეკომ ყველა, 12-ვე პარტია ყაიმით დაასრულა. მიზანს მიაღწია ვალიეხომაც, რომელმაც ბოლო ადგილი აირიდა და იქ ფიდეს მსოფლიო ჩემპიონი რუსტამ კასიმჯანოვი ჩატოვა.

ლინარესის ტურნირის დასრულებიდან რამდენიმე საათის შემდეგ გარი კასპაროვმა საჭადრაკო კარიერის დასრულების შესახებ განაცხადა. Chessbase.com-ის ინფორმაციით, ეს გადაწყვეტილება მე-13 მსოფლიო ჩემპიონმა ბულგარელ ტოპალოვთან დამარცხების შემდეგ მიიღო.

ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

ტელებიჭუნები

დუტა დაამშვიდეთ!

თორემ ნელ-ნელა უკვე ზომიერების ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა და იმ აქტიურობითა და ეგზალტირებულობით გამოირჩევა, რომელიც მის ჯანმრთელობასაც კი საფრთხეს უქმნის, ჩვენს ნერვულ სისტემაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. სრულიად აუხსნელად და გაუმართლებლად, დუტა და მხოლოდ დუტა უკეთებს რეკლამას განურჩევლად ყველაფერს - ქალის ჰიგიენური პაკეტებიდან დაწყებული, გაუთავებელი სულელური ლატარიებით დამთავრებული. ტელევარსკვლავი ხან ფრაკში, ხან სმოკინგში, ხან კეპში, ხან ბლანჟეთი, ხან წვერგაუპარსავი, ხან თმახუჭუჭა, ხან ბრიოლინგადასმული, ხან თავის და ხან ჩვენს დაბადების დღეზე გვევლინება და ყველგან ერთნაირი გადაჭარბებული არტისტიზმით, დამღლელი მიმიკით, მანჭვით, გამაღიზიანებელი ფამილარობით, ტაკიმასხარობით, უგემოვნო, ყალბი კუთხური მოქცევითა და გადამარილებით გამოირჩევა. პოპულარობა დუტას ტელეთამაშმა "ვის უნდა ოცი ათასი" მოუტანა, რომელიც მას ზომიერი იუმორით, ხალისით და მომხიბვლელობით მიჰყავდა. მაგრამ, აუხსნელად, რა წამს გასათამაშებელი თანხა საგრძნობლად გაიზარდა და ორმოცდაათ ათასს მიაღწია, დუტამაც აიშვა. ეტყობა, მისმა ფსიქიკამ თანხის ამგვარ ზრდას ვერ გაუძლო, ან ხელფასი ზედმეტად მოუმატეს, ან, უბრალოდ, ისეთი ტიპური, მაგრამ მძიმე და ძნელად განსაკურნებელი სენი შეეყარა, რომლის სიმპტომატიკა პოპულარობისგან ძლიერ თავბრუსხვევებში, რეალობის, ზომიერების შეგრძნების სრულ დაკარგვაში გამოიხატება.

ვიცი, რომ დუტა თეატრსა და კინოში წარმატებულად მოღვაწეობს. იმასაც ვაღიარებ, რომ იგი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტელეწამყვანი და ზოგადად ნიჭიერი კაცია, მაგრამ ეს საკმარისია, რომ ჩვენი ქვეყნის, ფაქტობრივად, მთავარი სახე გახდეს? ყველაფერს ხომ ლოგიკური საზღვარი უნდა ჰქონდეს? გავიგეთ, რომ ნიჭიერი მსახიობია! რომ სამსახიობო ოსტატობა ნასწავლი აქვს! რომ არტისტულია! რომ ერთი უბრალო, უშუალო, უკომპლექსო, ხალხიდან გამოსული ბიჭია! მაგრამ ასეთი დოზით დუტა კი არა, ბრედ პიტი არ მოგინდება და უკურეაქციას გამოიწვევს!

კარგი იქნებოდა, როგორც დუტასთვის, ისე ჩვენთვის, რომ ამ წერილმა არ გაანაწყენოს, არამედ ცოტა დაამშვიდოს, საკუთარი თავის კონტროლი შეჰმატოს და მისი ტელეკარიერის დასაწყისისთვის დამახასიათებელი გემოვნება, ზომიერება და, თუ გნებავთ, ტაქტიც კი დაუბრუნოს.

ვაკაჭი+ნიკო=News?

გამაგებინეთ ვინმემ, ხალხი არა ხართ, ეს ვაკაჭი და ნიკო გომელაური რატომ, რისთვის ან ვისთვის წვალობენ? თავისი ჭკუით, ჩვენ გვეხუმრებიან, თავის თავს ეხუმრებიან, ჩვენ გვაშაყირებენ, თავს იშაყირებენ, დებილები ჩვენ ვგონივართ თუ თავად არ არიან კარგად?

ამ იშვიათი მონაცემების მქონე დუეტის აშკარად გამოხატული ლიდერის, ვინმე ვაკაჭის შესაძლებლობათა არეალი კიდევ მეტ-ნაკლებად ფართო და საცილო თუ არა, სატირალი მაინც არ არის. მეტსაც გეტყვით, გულახდილად, მაგრამ ოდნავ დარცხვენილად გამოგიტყდებით, რომ ჯინსის შორტებში, უნტებში, ქერა თმითა და შიშველი ღიპით ჭიპგადმოგდებული ვაკაჭი რომ დავინახე, გამეცინა კიდეც. ესტრადის მომღერალი ქალის ამპლუაში მოვლენილმა ვაკაჭიმ არ ვიცი ბუკა მანაგაძე, არ ვიცი ანა ჯაკი მომაგონა. ოღონდ, მე რომ მკითხო, ვაკაჭის მათი იმიჯი უფრო უხდებოდა.

აი, თუ რისთვის ირჯება ნიკო გომელაური, რას ემსახურება მისი გაუგებარი პათოსი, დაყენებული ხმის ტემბრი, ტონი, თეატრალურობა, საკამათო პოეტური ჩანართები, ეს ჩემთვის სრულიად გაუგებარი რჩება. ან რაზე უნდა გამეცინოს, ან სად, რომელ ნაწილში, ან საერთოდ რა არის სასაცილო იმაში, როდესაც შენს თვალწინ ვიღაცა ბოლო ძალებით წვალობს და მაინც არაფერი გამოსდის.

ვაკაჭისა და გომელაურისადმი ჩემი რჩევა იქნება, რომ პირველი ქალის როლს აღარ შეელიოს, იაროს შორტებში და ქერა თმით, მეორემ კი გადაცემის წამყვანისგან დიდსულოვნად თავი შეიკავოს და მხოლოდ თეატრს დაახარჯოს ტალანტი.

"... ულრუბლო ცა, რა გინდა სხვა?"

ქართული ტელევიზიის "ავანგარდში" მყოფ პირველი არხის, რომელმაც საკუთარ თავს ნაჩქარევად და სრულიად უსაფუძვლოდ საზოგადოებრივი უწოდა, გარჩევას ნამდვილად არ ვაპირებ. ეს საკმაოდ რთული, უძირო და არამადლიერი სამუშაო სხვისთვის მიმინდია. ერთს კი, მაინც თავს არ შევიკავებ და ვიკითხავ, რომელი საზოგადოების ინტერესებს წარმოადგენს სამოც-სამოცდაათიან წლებში უსაშველოდ ჩარჩენილი ეს ტელევიზია? ენით აუწერელი მდორე მაუწყებლობით რომელი საუკუნის, რომელი საზოგადოების ცხოვრების რიტმს, ტემპს, დინამიკას ასახავს? მე, პირადად, არაფრით მინდა იმ საზოგადოებას მივაკუთვნო თავი, რომლის სახე ამგვარი დროაცდენილი, გალოკილ-გაპრიალებული, არაფრის მთქმელი, ყოველგვარ აქტუალობას, სიმძაფრეს დაე ელმენტარულ გემოვნებას მოკლებული ტელევიზია იქნება. ტელევიზია, რომელიც გუშინაც, დღესაც და თუ რადიკალურად არაფერი შეცვალეს, დარწმუნებული ვარ, ხვალაც ლაქიასავით მხოლოდ ერთ პატრონს - ხელისუფლებას, მის ინტერესებს, მის PR-ს ემსახურება და თანაც, არც მეტი არც ნაკლები, იმ საზოგადოების სახელით, რომლის სრულუფლებიანი წევრები ჩვენც ვართ. ამის უფლება ნეტავი ვინ მისცა?!

პირველი არხის ყველაზე საპატივცემულო, პოპულარული, პროფესიული, ერთგული, უცვლელი და ტიპური სახე კოკა ყანდიაშვილია. ყანდიაშვილისეული საუბრის ინტონაცია, ჟღურტული, გულუბრყვილო, ცოტა ბავშვურ-გაკვირვებული სახის გამომეტყველება, ქვეყანაში უღრუბლო ცის, უპრობლემო ცხოვრების ილუზიის შექმნა, საზოგადოების ყურადღების მოდუნება მისი მშობლიური არხის მუშაობის საერთო სტილის ერთ-ერთი მთავარი ღერძია. ყანდიაშვილისთვის გუშინაც, შევარდნაძის დროშიც, უღრუბლო, მოწმენდილი, ცისფერი იყო ცა. ყანდიაშვილი დღესაც ბულბულივით გალობს, ჩიტივით ჟღურტულებს და მერწმუნეთ, რომ ხვალაც იჭიკჭიკებს.

კონტროლირებული "სითამამე", დაშვებულის ფარგლებში კრიტიკა, ხელისუფლებასთან, ტელევიზიის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებული ჟურნალისტური პრინციპულობა, მართალის ინტონაციით ნათქვამი ტყუილი და ტყუილის ელფერის მქონე სიმართლე - ასეთია პირველი არხის, ყანდიაშვილის პროფესიონალიზმი, მუშაობის სტილი. ასეთია, მათი გაგებით, საზოგადოების სამსახური. საზოგადოებისა, რომელსაც უცვლელი ხელწერითა და მეთოდებით ადუნებდნენ, ადუნებდნენ და ვერა და ვერ მოადუნეს.

გამორჩევითი "ობიჟნიკი"

"202"-ის ტელეეთერში გამოჩენის პირველ ეტაპზე სრულიად სერიოზულად მეგონა, რომ ეს რაღაც სპეციალური, გონებასუსტებზე გათვლილი და მათ მიერვე გაკეთებული არხია. აზრი დიდად არც ახლა შემცვლია, მაგრამ ეს სულ სხვა საუბრის თემაა.

ამ საკმაოდ უცნაური არხის, "202"-ის მთავარი სულისჩამდგმელი, მთავარი ტელევარსკვლავი ვინმე შალვა რამიშვილია, რომელსაც, ეტყობა, კონკურენცია, მით უმეტეს, საკუთარ არხზე, არ უყვარს, კონკურენტების ეშინია. მისი ერთპიროვნული, ვარსკვლავური პოპულარობისთვის სახიფათოდ რამიშვილმა სუსტი ჯანმრთელობის კოტეც კი მიიჩნია, ძალაუფლება გამოიყენა და კონკურენტი ეთერს ჩამოაშორა. ნელ-ნელა რამიშვილმა, მართალია სრულიად უსუსური, მაგრამ მაინც კონკურენტები მოიცილა გზიდან, "202"-ის ეთერში ერთპიროვნული ლიდერობა მოიპოვა და ამასობაში წარმოუდგენლად გაუმართლა. ქართული ტელევიზიის ყველა სხვა არხებმა სიმძაფრე იმდენად დაკარგეს, იმდენად მდორე, უინტერესო გახდნენ, რომ რამიშვილის რეიტინგი აიწია, მისი "დებატები 202"-ზე კი ყველაზე მძაფრი გადაცემა გამოჩნდა. კარგად არის ჩვენი ტელევიზიის საქმე! რამიშვილი გადაცემაში ეფექტურად პირდაპირობს, ჩამჭრელ შეკითხვებს სვამს, სტუმრებს ერთმანეთს უპირისპირებს, თვითონ კი უბრალოდ "აბიჟნიკობს". ოღონდ რამიშვილისნაირი "აბიჟნიკები" თბილისის ნებისმიერ უბანში, ქუჩაში, ეზოში, სკოლაში ძალიან ბევრია. მათ ზუსტად იციან საკუთარი "აბიჟნიკობის" ფარგლები, იციან, ვისთან რამდენად გაუვათ, ვისთან კი შარს წააწყდებიან. გინახავთ, რამიშვილი იმის მიხედვით როგორ იცვლება, ამონაშვილს წურავს, თუ გიგა ბოკერიას ესაუბრება. ჯობია, არც ნახოთ!

ან ამდენი სლენგი სად ისწავლა? რაღაც არ ეტყობა, რომ დიდი "ქუჩის სკოლა" ჰქონდეს გავლილი და რაღატომ ძველბიჭობს? კარგი ჰგონია? თუმცა, ისევე როგორც ყოველ მეორე სიტყვაში ნახმარი რუსული გამოთქმები, словечк-ები. დავიჯერო, ნუთუ მართლაც ასე უჭირს რუსულის გარეშე აზრის ჩამოყალიბება? თუ ეგეც კარგი ტონი ჰგონია?

აუ, საწყალი, რას წვალობს - თან ძველბიჭობს, თან ტიპობს, თან უცხო ენის ცოდნით ყოყოჩობს, თან ღელავს, ვინმე სერიოზული არ გააჯავროს, ზედმეტი არ მოუვიდეს! არა, მაგას კოტეს მდგომარეობა ჯობდა. ის არაფერზე მაინც არ ფიქრობდა!

თვალებნაბია

გამაგებინეთ, "რუსთავი 2"-ის ჟურნალისტი დავით კიკალიშვილი თვალებს ასე ნაზად რატომ ნაბავს, სიმღერ-სიმღერით რატომ საუბრობს და საერთოდ, ამდენს რატომ გვეპრანჭება. რისი იმედი აქვს, რომ ჩვენც ტელევიზორების წინ თვალებს გავუნაბავთ, გავეპრანჭებით?

ყოველი ნათქვამი ფრაზის, შინაარსის დასრულებისას კიკალიშვილი ისე გაიტრუნება, გაინაბება, თვალებს აატრიალებს, მოჭუტავს და წაიმღერებს, რომ შენც უხერხულ მდგომარეობაში ვარდები, თითქოს ინფორმაციას კი არ გაწვდის, სასიყვარულო ოდას გიკითხავს. რად მინდა დავით კიკალიშვილის მიერ თუნდაც ძალიან მხატვრულად წაკითხული ლირიკული ოდა?! თუმცა, ეგება ჩვენ სულაც არ გვეპრანჭება და, უბრალოდ, ნარცისიზმით არის დაავადებული და საკუთარ თავს ეკეკლუცება? რომელი ჯობია, არ ვიცი.

ქართველი ლევიტანი

"იმედის" ტელევიზიის ერთ-ერთი მთავარი სახე, ყველასათვის ცნობილი გიორგი თარგამაძეა, რომლის საკვირაო გადაცემა "დროებას", ფაქტობრივად, არასდროს ვუყურებ. მიზეზი კი თარგამაძის ცივი, დაძაბული ტონია. ასე მგონია, ისეთი ტონით მელაპარაკება, რომ აი, ახლა მეორედ მოსვლა ან აპოკალიფსის დაწყება უნდა შემატყობინოს. "დროებას" ზედმეტად ხშირად გაშუქებული სხვადასხვა ცრემლმდენი ხატების, წინასწარმეტყველების, ათასგვარი მისტიკური უცნაურობების შესახებ სიუჟეტებს თუ გავითვალისწინებთ, თარგამაძისგან არც აპოკალიფსის დაწყება იქნება მოულოდნელი.

მისტიკური შიშის პარალელურად, გიორგი თარგამაძის საუბრის ინტონაცია, მე პირადად, მეორე მსოფლიო ომის დროინდელ ცნობილ რადიოკომენტატორ ლევიტანს მაგონებს. მხოლოდ ერთი სხვაობით, რომ ლევიტანი ამ ტონით გერმანელების მიერ რუსეთის ქალაქების დაპყრობას იუწყებოდა. აი, თუ რატომ ვერ დუნდება გიორგი თარგამაძე, ჩემთვის გაუგებარია. მართალია, ქვეყანაში ბევრი პრობლემა, გაჭირვება, უბედურებაა, მაგრამ კურსკთან ან სტალინგრადთან ხომ მაინც არ ვომობთ. ეს ხომ ნამდვილად ვიცით და რა მოხდება, რომ გიორგისაც გავაგებინოთ. მოეშვება, ზომბივით ტრაგიკული პათოსით აღარ ილაპარაკებს, თვითონაც ამოისუნთქებს და ჩვენც დავისვენებთ.

ქართულ-ამერიკული "ისპანახობა"

ამ კვირაში ჩემმა დიდი ხნის ნაცნობებმა მარკ მალენმა და რუსიკო ამირეჯიბი-მალენმა მხოლოდ უცხოელებისთვის დამახასიათებელი ეტიკეტის დაცვით "ბეთსის" სასტუმროში "ისპანახობაზე" მიმიწვიეს. ამ საკმაოდ ძველი ქართული ტრადიციის შესახებ არასდროს გამიგია და ჩემდა სასირცხვილოდ, "ისპანახობაზე" ამომწურავი ინფორმაცია, ისევ და ისევ, ამერიკელი მასპინძლისგან, მარკ მალენისგან უნდა მიმეღო. მრცხვენია, მაგრამ რა ვქნა, თუ გულახდილობაა, გულახდილობა იყოს!

"ბეთსის" სიმყუდროვითა და გემოვნებით გამორჩეული პატარა სასტუმროს ძველი ფარდაგებით დეკორირებული ფოიე დახვეწილი და "ისპანახობისთვის", ჩემი აზრით, საკმაოდ მრავალფეროვანი "ალაფურშეტით" იყო გაწყობილი. სტუმრების ნაწილი, სხვათა შორის, უმეტესად უცხოელები, ტრადიციის შესაბამისად, ქართულ ნაციონალურ კოსტიუმებში იყვნენ გამოწყობილები. დღევანდელი ქართული პოლიტიკისა და საზოგადოების თვალსაჩინო, პროგრესული, საინტერესო ნაწილი, გემრიელი კერძები, კარგი ღვინო, სასიამოვნო მუსიკა, ნახევარტონის განათება, თეფშებითა და ჭიქებით ხელში მოსეირნე სტუმრების ზედაპირული, ქართულ-ინგლისური ხმადაბალი საუბარი და ფანჯრიდან გადაშლილი თბილისის ულამაზესი პანორამა.

აი, ასეთი იყო ამერიკელის მიერ "ისპანახობის" ტრადიციის აღდგენის საღამო, რომელიც, იმედი მაქვს, დანაპირებისამებრ, ყოველწლიურ სახეს მიიღებს.

"როცა ჩაქრება ქადრებში ლამპიონების ნათება"...

მაშინ კომპოზიტორ ნუნუ გაბუნიას ინტერიერში აბაჟურები ინთება. აბაჟურებთან პარალელურად კი დაუღალავი ბრძოლის ჟინი, ბრალდებების, "პრინციპულობის", "მიუკერძოებლობის", ინტრიგების სურვილიც ინთება, ინთება და წლების განმავლობაში აღარ ქრება.

მუსიკათმცოდნეები მიწის ქვეშ ცხოვრობენ, მუყაოს ყუთებს იფარებენ, ნაგვის ბუნკერებიდან იკვებებიან. კომპოზიტორების ქონება იყიდება. კომპოზიტორთა კავშირი ინტრიგებისა და ურთიერთდაპირისპირებებისგან დუღს, იშლება, ვაჟა აზარაშვილი თავს იმართლებს, იფიცება, რომ წესიერი კაცი და კარგი კომპოზიტორია. ნუნუ გაბუნია ირონიულად, მაგრამ ნაზად, სათნოდ გვიღიმის, მხრებს იჩეჩავს, აბაჟურთან ხელოვნური ყვავილების თაიგულს საგულდაგულოდ ასწორებს, კადრში რომ უკეთ ჩანდეს და ახალი, უფრო მაღალბეწვიანი ქურქის შეძენაზე ოცნებობს. არა, უკაცრავად, კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარეობაზეც ოცნებობს. ოღონდ ჯერ ასევე ნაზად აზარაშვილს გული უნდა გაუხეთქოს.

ოცნება ოცნებად დარჩება. ქადრებში ლამპიონები აღარ ჩაქრება. ქართულ საზოგადოებას კი ლოგიკისა და ობიექტურობის გრძნობა აღარ გაუქრება.

აი, კომპოზიტორთა კავშირის საქმე კი მართლაც ცუდად არის!

ლუდი "ლომისი" ვიაგრას ეფექტით

შემთხვევით, შეიძლება გახსოვთ, თვეების წინ ტელეეკრანებზე ლუდი "ლომისის" რეკლამა რომ გადიოდა, რომელშიც დიდმკერდიანი ოფიციანტი გოგოს და ლუდისგან გადამთვრალი, საქციელდაკარგული ულაყი მამაკაცის ვულგარული არშიყი იყო გადაღებული, სექსი კი ნაგულისხმები? მაშინ საზოგადოება აღშფოთდა და სარეკლამო კლიპი ჯერ შეამოკლეს, მერე კი, ჩვენდა სასიხარულოდ, საერთოდ მოხსნეს ეთერიდან.

როგორც, სამწუხაროდ, ამ კვირაში გაირკვა, საზოგადოებრივი სიხარული ნაადრევი ყოფილა და ლუდი "ლომისის" მენეჯმენტი ახალ დარტყმას, ანუ, ახალ, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ხელწერის მქონე კლიპ-შედევრს გვიმზადებდა.

ლუდი "ლომისის" სარეკლამო კლიპების სისტემატურ ეროტიკულობას, ჩემი აზრით, ახსნის მხოლოდ ორი ვარიანტი შეიძლება ჰქონდეს. პირველი, რომ ლუდი "ლომისი" მის მწარმოებლებს ლუდი კი არა, ვიაგრა ჰგონიათ. მეორე კი უფრო მარტივი ვერსიაა და მის მიხედვით კლიპების გადამღები უცნობი რეჟისორი, უბრალოდ, რიგითი სექსუალური მანიაკია, რომელსაც "ლომისის" მწარმოებლებთან დიდი ავტორიტეტი აქვს. თვითონ ხომ არც კლიპის, არც რეკლამის და არც გემოვნების გაეგებათ რამე!

ბრიტანული კინოს აწმყო ციფრებში

კინოში პოპკორნით სიარული დიდი ხანია, რაც ამერიკულიდან მსოფლიო წესად გარდაიქმნა. ბრიტანეთში კი გასულ წელს კიდევ ერთი ტრადიცია დაფიქსირდა - ინგლისელები ბოლო წელია, სამამულო წარმოების კინოს გაცილებით უფრო დიდი ინტერესით უყურებენ, ვიდრე ჰოლივუდურს.

სპეციალური კვლევა ბრიტანეთის კინოსაბჭომ ჩაატარა. გაირკვა, რომ 2004 წელს ოც ბრიტანულ ფილმზე ბილეთების გაყიდვების მაჩვენებელი 45 პროცენტით გაიზარდა და 176 მილიონ გირვანქა სტერლინგს მიაღწია.

იმავე მონაცემებით, ყველაზე მომგებიანი წელი ორ ფილმს ჰქონდა: "ჰარი პოტერი და აზკაბანის ტყვეს" და "ბრიჯიტ ჯონსის" მეორე ნაწილს.

ბრიტანული ფილმის კლასიფიცირება მიიღო მსოფლიო ბლოკბასტერმაც "ტროა" - ბრედ პიტის მონაწილეობით და ისიც საუკეთესო სამეულში გავიდა, ბრიტანული კინოთეატრების სალაროებიდან მიღებული 18 მილიონი გირვანქა სტერლინგით.

"აუდიტორია სულ უფრო დიდ ინტერესსა და აღტაცებას გამოხატავს სამამულო წარმოების ფილმების მიმართ", - აცხადებს საბჭოს პრესმდივანი და განმარტავს, რომ ბრიტანულად ფილმები რამდენიმე კრიტერიუმის გათვალისწინებით ითვლება:

სად არის ის გადაღებული; რა თანხაა დახარჯული მასზე ბრიტანეთში; და რამდენი ბრიტანელია დასაქმებული პროექტზე.

ბრიტანული კინოსაბჭო ამტკიცებს იმასაც, რომ ინტერესი ადგილობრივი წარმოების ფილმების მიმართ არა მხოლოდ მათ ქვეყანაში, მსოფლიოს მასშტაბითაც იზრდება.

ამ მხრივ სპეციალური მისია ეკისრება "ბი ბი სი"-ს და სხვა ტელეარხებს. კინოსაბჭოს წარმომადგენელი განმარტავს: "ბი ბი სი"-მ და სხვა არხებმა კინოპროდუქციაში უფრო მეტი თანხა უნდა ჩადონ. "ბი ბი სი" ამ მხრივ ლიდერი უნდა იყოს, ის ხომ წამყვანი ტელემაუწყებლობაა".

ყველაზე მომგებიანი ბრიტანული ფილმების ოცეული კი ასე დაკომპლექტდა:

"ჰარი პოტერი და აზკაბანის ტყვე";
"ბრიჯიტ ჯონსი: მიზეზთა ზღვარი";
"ტროა";
"მოჩვენება ოპერაში";
"უიმბლდონი";
"მეფე არტური";
Shaun of the Dead;
Thunderbirds;
"საცოლე და ცრურწმენები";
"უცხოპლანეტელი მტაცებლის წინააღმდეგ";
"ალფი";
Layer Cake;
"80 დღე მსოფლიოს გარშემო";
"გოგონა მარგალიტის საყურით";
"იპოვო ნევერლენდი";
"ქალები ლავანდისფერში";
"რეზიდენტი ბოროტება: აპოკალიფსი";
"კბილი";
"5 ბავშვი და ის";
"კაცი ძაღლის შესახებ".

გრიშემი ახალ მდინარეში შეცურდა

ჯონ გრიშემი კიდევ ერთ თრილერს წერს, ოღონდ ამჯერად ყველაფერი რეალური იქნება. მწერალი, რომელმაც მსოფლიო ბესტსელერები "ფირმა" და "კლიენტი" დაწერა, ახლა არამხატვრულ ტექსტზე მუშაობს. წიგნს, რომელსაც ჯერ სათაური არ აქვს, სიკვდილმისჯილის ცხოვრებას შეეხება. გრიშემის გმირს სჯიან მკვლელობისთვის, რომელიც მას არ ჩაუდენია.

"ჯონისთვის მგსავსი ამბის თხრობა ჩვეულებრივი ამბავია. მის რომანებში ხომ ასეთივე თემატიკა ხშირად იჩენს ხოლმე თავს. გრიშემი კრიმინალზე წერს, გამოძიებაზე, სიკვდილით დასჯის მეთოდზე, ადამიანებზე, რომელთაც უდანაშაულოდ უსჯიან ციხეს, წერს ბეისბოლზეც კი. მოკლედ, გამოუვა. ეს იქნება ზედმიწევნით რეალისტური თრილერი", - აცხადებს გამომცემლობა "დაბლდეი ბროდვეის" პრეზიდენტი სტივენ რუბინი, რომელიც გრიშემის წიგნის გავრცელებას საკუთარ თავზე იღებს.

"დაბლდეიდან" გამოსული ხმების მიხედვით, ავტორს არა მხატვრულ თემაზე წიგნის დაწერა მას შემდეგ დაუჯდა ჭკუაში, რაც გაზეთში ნეკროლოგი წაიკითხა - საკმაოდ პერსპექტიული ათლეტის რონალდ ქით უილიამსონის შესახებ. 1986 წელს უილიამსონი 21 წლის გოგონას გაუპატიურების და მკვლელობისთვის დააპატიმრეს და დამნაშავედ სცნეს. მხოლოდ 1999 წელს - სიკვდილით დასჯის რიტუალამდე რანდენიმე დღით ადრე დნმ-ს ტესტირების შედეგად გაირკვა, რომ ათლეტი უდანაშაულო იყო...

ვილიამსონი 2004 წელს ცეროზით გარდაიცვალა. ის 51 წლის იყო.

"მაშინაც კი, როცა ყველაზე შემოქმედებითად ვარ ხოლმე განწყობილი და ყველაზე კარგად გამომდის წერა, ასეთ სულის შემძვრელ ამბავს მაინც ვერ მოვიფიქრებდი", - აცხადებს გრიშემი.

წიგნის პრეზენტაცია 2006 წელსაა დაგეგმილი.

თუმცა, ჯონ გრიშემი თრილერების პირველი ავტორი არ არის, ვინც არა მხატვრულ ტექსტებში ცდის ბედს. მანამდე ეს ასევე ამერიკული ბესტსელერების მწერალმა სკოტ თეროუმ მოახერხა. გახმაურებული რომანების "ცნეს უდანაშაულოდ" და "ნივთმტკიცების სიმძიმე" ავტორმა 2003 წელს გამოსცა ანალიტიკური კვლევა Ultimate Punishment - სიკვდილით დასჯის შესახებ. ახლა მკითხველი ჯონ გრიშემის პერსპექტივიდან დანახულ იგივე საკითხს დაელოდება.

ბონომ უარი თქვა

რამდენიმე დღის წინ გავრცელებული ცნობა, რომელმაც ზოგს ირონიული ღიმილი მოჰგვარა და ზოგი - აღაშფოთა, ტყუილი გამოდგა. ლობისტთა ჯგუფმა, რომელიც ნაწილობრივ ბონომ დააფუძნა, უარყო გავრცელებული ხმები იმის შესახებ, რომ U2-ს ლიდერი მსოფლიო ბანკის პრეზიდენტობის სერიოზული კანდიდატი იყო.

გამოდის, რომ ბონო მსოფლიო ბანკის შტაბ-ბინიდან მსოფლიოს ხსნას არ შეეცდება.

"არც კი მჯერა, რომ ახლა ეს უნდა განგიმარტოთ, მაგრამ რადგან გვინდა, რომ საკითხს ნათელი მოვფინოთ, მაინც გეტყვით - არ არსებობს არც ერთი ხელმოსაჭიდი გარემოება, რომლის მიხედვითაც ბონოს ამ პოსტზე წარადგენენ. ის მსგავს თანამდებობას არც დათანხმდებოდა" - განაცხადა ჯეიმი დრამონდმა DATA-ს აღმასრულებელმა დირექტორმა. სწორედ ეს გახლავთ ჯგუფი, რომელიც ბონოსთან ერთად აფრიკულ პრობლემებს აგვარებს. მისი სახელის აბრევიატურაც ასე იშიფრება - ვალი, შიდსი, ვაჭრობა, აფრიკა.

კითხვა კი, თუ ვინ გაუძღვება მსოფლიო ბანკს - აქტუალური მას შემდეგ გახდა, რაც ჯეიმს ვოლფენსონმა ჯერ კიდევ დეკემბერში განაცხადა, რომ პოსტს მაისის ბოლოს დატოვებდა.

ვაშინგტონი ტრადიციულად მსოფლიო ბანკის მეთაურის თანამდებობაზე ამერიკელს ირჩევს ხოლმე. ევროპას კი ეს საკითხი დღემდე აწუხებს, რადგან მათ სურთ, ასეთი დიდი ორგანიზაციის ხელმძღვანელს არა მოქალაქეობის, არამედ ღირსებების გათვალისწინებით ირჩევდნენ.

70 წლის ვოლფენსონიც ავსტრალიელი იყო და ამერიკელი გახდა იმისთვის, რომ ამ საპასუხისმგებლო პოსტზე დაენიშნათ.

რაც შეეხება ბონოს, ის ამ გაუგებრობაში გაზეთ "ლოს ანჯელეს თაიმსში" გამოქვეყნებული სვეტის შემდეგ მოხდა. მიმომხილველი ვარაუდობდა, რომ აფრიკაზე მოამაგე როკ-ვარსკვლავი ერთ-ერთი სერიოზული კანდიდატი იყო. შემდეგ ეჭვები ბონოს გარშემო მას შემდეგ გაძლიერდა, რაც აშშ-ს ხაზინის ხელმძღვანელმა ჯონ სნოუმ (ის იმ გუნდის წევრია, რომელსაც ვოლფენსონის შემცვლელის მოძებნა ევალება) ერთ-ერთი ამერიკული ტელეარხის ეთერში განაცხადა, რომ ბონოს აღმერთებდა:

"ბონო განვითარებადი მსოფლიოს როკ-ვარსკვლავიც არის... ის ძალიან პრაგმატული, ენთუზიასტი და იდეალისტია". თუმცა, სნოუმ მაშინვე დასძინა, რომ მსოფლიო ბანკის პრეზიდენტის პოსტი ამჯერადაც ამერიკელს გადაეცემოდა. ბონოს ხსენებამ კი, ეტყობა, ეს ფრაზა დაჩრდილა.

ახლა კი ირკვევა, რომ ბონომ უარი თქვა - როკ-ვარსკვლავი ხომ ჩინოვნიკი, წესით, არასდროს უნდა გახდეს. თუმცა, მისი აფრიკაზე მოამაგე ჯგუფი - DATA იმედოვნებს, რომ ვინც არ უნდა გახდეს მსოფლიო ბანკის ლიდერი, მაინც ერთგულად დაიცავს ღარიბი ხალხების ინტერესებს, პირველ რიგში, კი, ცხადია - აფრიკელების.

სკანვორდი



1. რუსი მწერალი-სატირიკოსი; 2. შინაური სუსტი არაყი; 3. გერმანელი მცველი, 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონი; 4. საკუთარი ღირსების გამძაფრებული გრძნობა; 5. ამერიკელი კინომსახიობი; 6. თანდაყოლილი გონებანაკლულობა; 7. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 8. ქართველი საესტრადო მომღერალი ქალი; 9. სატურნის თანამგზავრი; 10. ისტორიული ოლქი ირანში; 11. სახელის ან გვარის პირველი ასო; 12. მე-20 საუკუნის დასაწყისის რუსი პოლიტიკური მოღვაწე; 13. ზღვრული ნორმა; 14. კუნძული ირლანდიის ზღვაში, დიდი ბრიტანეთის მფლობელობა; 15. ძლიერი ფეთქებადი ნივთიერება; 16. მეცნიერების ან ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწე; 17. სახელმწიფო ჩრდილოეთ აფრიკაში; 18. ჯეიმს ბონდის როლის პირველიშემსრულებელი; 19. ციური სხეული; 20. გაერთიანებული ევროპის ვალუტა; 21. კლასიკური ცეკვის მოძრაობა; 22. სახელმწიფოს მიერ გატარებული დასასჯელი ზომა; 23. მდაბიო ფენის წარმომადგენელი ძველ რომში; 24. უმცროსი სამედიცინო პერსონალი; 25. ძვლების დაბოლოებათა მოძრავი შეერთება; 26. ლიტველი კალათბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი; 27. სარწმუნოებრივი ხასიათის წესჩვეულებები; 28. ისტორიული მხარე საქართველოში; 29. ორაგულების ოჯახის სარეწაო თევზი; 30. წვრილი მწერი, ქინქლა; 31. დიპლომატიური წარმომადგენლის ხელშეუხებლობა; 32. ცომში გახვეული და მოხარშული დაკეპილი ხორი; 33. ა. ხაჩატურიანის ბალეტი; 34. ვაშლის ჯიში; 35. კაზუარების ოჯახის დიდი ზომის ფრინველი; 36. ხისგან გამოთლილი ფეხსაცმელი; 37. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში.

TV პროგრამა

12 მარტი

რუსთავი - 2

08.00 კლასიკა **09.00** კურიერი **09.30** "ჯეტიქსი" **11.00** სერიალი "ტარზანი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.20** გაიღიმეთ ფარული კამერაა **12.50** მხ. ფილმი "ფელიციას მოგზაურობა" (გ) **15.20** მხ. ფილმი "ინგლისური მკვლელობები" (გ) **17.00** სერიალი "ადამსების ოჯახი" **18.20** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **19.00** მხ. ფილმი "მაღალი ქერათმიანი მამაკაცი შავი ფეხსაცმლით" **22.00** "ფსიქო" - მხ. ფილმი "გამარჯობა" (გ) რეჟ. იასუძირო ოძუ. **01.00** კურიერი **01.20** მხ. ფილმი "არაქნია" (18)

TV5

06.00, 08.00, 10.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.00, 20.00, 24.00,** 02.35(შვეიცარია), 02.00(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.30** ღია ბარათი "გურმანი" **08.00** საუბრები მრგვალი მაგიდის გარშემო. **08.25** საბავშვო შემეცნებითი გადაცემა. "ბიდუმ-ბიდუმ" **09.30** გადაცემა: აღმოჩენა. **12.20** გამარჯვება თუ ქალთა სევდა. ტელესერიალი. **14.00** მედიჩის ბიბლიოთეკა. **18.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.00** 24 საათი იემენში. Pირველი ნაწილი.

08.00 "მთავარი" **08.15** ანიმ. ფილმი "შუქურა სოლტი" **08.45** საბავშვო სერიალი "ჯუნგლის კანონი" **09.10** მომავლის ცირკი **09.45** სპექტაკლი "მარადისობის კანონი" **11.30** "ტაქსი" (გამ.) **12.00** "მთავარი" **12.20** დოკ. ფილმი "ველური ძაღლის ისტორია" **13.20** მხ. ფილმი "ცხელი ზაფხულის სამი დღე" **15.00** მუსიკა - კაროლ კინგი **16.00** "ჰოლმარკი"-"დინიტოპი" 1-ლი ს. **17.00** "კარლოს დიდი" **18.00** "მთავარი" **18.10** არქივი - ფოლკლორის საღამო **18.30** "მრწამსი" - ისლამი **19.10** დოკ. ფილმი "მოგზაურის გიდი"-ჩინეთი **20.00** "მთავარი" -საინფ. პროგრამა **20.30** სერიალი "დანაშაული" 1-ლი ს. **21.30** "რაციო" - ნინო ანანიაშვილი **22.30** ბიოგრაფიული პორტრეტები - ჩერჩილი. მე-3ს. **23.30** "ჩვენ" **00.45** მხ. ფილმი "დიდოსტატის მარჯვენა" 1-ლი ს. **02.00** საინფ. გამოშვება

კავკასია

11.00 ტუწ-ემ **11.30** მხ. ფილმი "საკონტროლო გასროლა" (გ) **13.00** ტუწ-ემ **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.30** საწინდარი **20.10** საბავშვო პროგრამა "სტუმრად ჩიკოსთან" **21.00** მხ. ფილმი "გოგონები ზემოდან" (გ) **00.30** ტუწ-ემ

202

10.00 დებატები (განმ.) **12.00** მუსიკალურ-გასართობი გადაცემა "პროპაგანდა" **13.00** სერიალი "დიდი სახლი" (გან.) **14.00** მუს. გადაცემა "პროპაგანდა" **18.00** მუსიკა **22.00** სერიალი "დიდი სახლი" **23.00** დებატები 202-ზე

მზე

08.50 მუსიკა **09.30** ანიმაციური ფილმი "იასამნის ციხესიმაგრე" **10.00** მულტფილმი "ბრემენის მუსიკოსები" **11.00** კრიმ. სერიალი **11.30** სერიალი "პატარა დიდი ბობი" **12.00** სერიალი "ვუპი" **12.30** ტელეჟურნალი "სცენა" **13.00** სერიალი "კარაბინერები" **14.00, 17.00, 20.00** მზერა **14.15** მხ. ფილმი "ბიმბოს ტომი" (გ) **16.15** მუსიკა **16.30** "დები ტრევისის საოცარი სახლი" **17.20** სერიალი "კარაბინერები" **17.50** ქართ. მხ. ფილმი **19.45** მუსიკა **20.30** დრამა "ტაქსის მძღოლი" **21.30** "ფარული კამერა" **22.00** კრიმ. სერიალი "სთშ" **00.00** მხ. ფილმი "ჰენრი ფული" (15) (ულრიხ ტომსენი)

მეორე არხი

19.00 სერიალი "ხუმრობა იქით იყოს" **19.50** ტელეზღაპარი **20.05** სერიალი "ცეკვის ენა" **20.30** დოკ. ფილმი "ტიბეტი" **21.20** სატ. ფილმი "წინანდალი" **22.10** კინოსეანსი "ლაქა"

იმედი

09.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 23.15 ქრონიკა **09.10, 13.15, 02.20** იმედის მელოდიები **09.30** ანიმ. ფილმი "კუ-ნინძების ახალი თავგადასავალი" **10.30** "უცხო სუნელი" **11.00** "ჩვენი ეზოს ამბები" **11.20** "რაო, რაო?" **11.30** "იმედითა შენითა" **11.45** "დილის ფოსტა" **12.40, 16.15, 02.10** ტვ-მარკეტი **13.15, 02.40** იმედის მელოდიები **13.30** მხ. ფილმი "ქამელეონი" (გ) (დ. ოტეი) **15.15** უცნობი საქართველო **15.45** წუთისოფელში **16.30** "ნზა"-ს ჟურნალი **17.10** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ყველაზე იდუმალი ადგილები" **18.05** "პირველი ნაბიჯი" **19.30** ვაკაჭი-ნიუსი (ვაკაჭი-ლოტო) **20.00** სერიალი "შეხვედრის ადგილი უცვლელია" მე-2ს. **21.15** ტვ-ლოტო **22.30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. (პირდ. რეპ.) **00.20** მხ. ფილმი "გაქცევა ელისეს მინდვრებიდან" (15) (ე. გარსია)

აჭარა

08.00 მუსიკა **08.30** საინფ. დაიჯესტი **09.00** მულტფილმი **10.30** დოკ. ფილმი "ჯორჯ ვაშინგტონი" **11.30** თეატრი **15.00** კომედია "გაალეთ -პოლიცია 3" **16.40** მუსიკა **17.10** "ჭიტა-ჭიტა" **17.30** საინფ. გამოშვება **17.55** მხ. ფილმი "ბრძოლის წესი" **20.05** "ზ.თ" **20.30** "დიალოგი" **21.05** "ფერისცვალება" **21.30** თრილერი "ჩამოყალიბებული ანგელოზები" **23.00** მუსიკა **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.25** მხ. ფილმი "გინოსტრა" **02.40** მუსიკა

1 ОРТ

06.00, 10.00, 12.00, 18.00 Новости. **06.10** Динозавры в фильме "Земля до начала времен". **06.40** Екатерина Васильева в комедии **"МОЙ НЕЖНО ЛЮБИМЫЙ ДЕТЕКТИВ"**. **08.20** Играй, гармонь любимая! **09.00** Слово пастыря. **09.10** Здоровье. **10.20** Андрей Макаревич в программе "Три окна". **10.50** "Кумиры". Татьяна Веденеева. **11.30** "Встань и иди". **12.00** Новости (с субтитрами). **12.10** История с географией. "Аполлон-13": авария на орбите". **13.00** Дисней-клуб: "Микки Маус и его друзья". **13.30** Умницы и умники. **14.10** Док. фильм "Отлично, Григорий!". **14.40** "Весенняя шутка с группой "Экс-ББ". **15.10** "Слабое звено" **16.00** **Стартовый матч Чемпионата России по футболу**. "Зенит" (Санкт-Петербург) - "Динамо"(Москва). Прямой эфир. **17.50** Классика Уолта Диснея.Впервые в России. **18.10** Юрий Антонов. Юбилейный концерт. **20.00** "Кто хочет стать миллионером?" **21.00** Время. **21.20** "Розыгрыш". **22.40** "Золотой граммофон". **23.40** Харрисон Форд в боевике **"САМОЛЕТ ПРЕЗИДЕНТА"** **01.50** Николас Кейдж в комедии **"В РАЮ, КАК В ЛОВУШКЕ"**. Маленький провинциальный городок под названием "Рай", канун Рождества. Бил Фирпо, человек честный, приезжает сюда по делу с двумя только что вышедшими из тюрьмы братьями - хитрецом Дэйвом и клептоманом Элвином. Когда братья решают ограбить местный банк, Билу не удается их отговорить. К тому же дело на редкость простое и "верное": в здании отсутствует охрана и сигнализация. И, как ни странно, затея удается. Но как выбраться из маленького городка с большой добычей, если полиция уже поднята на ноги? **04.00** Том Берлинсон в приключенческом фильме **"ФАР ЛЭП: ПУТЬ К ПОБЕДЕ"**.

НТВ

06.00 Мультфильм "Зима в Простоквашино". **06.15** Боевик **"ОГОНЬ ИЗ ПРЕИСПОДНЕЙ". 08.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** Сегодня **08.15** Мультфильм "Ну, погоди!" **08.25** Детективный сериал **"ПОЛИЦЕЙСКИЙ КЭТТС И ЕГО СОБАКА: ДВЕНАДЦАТЬ ПОЛИЦЕЙСКИХ И РЕБЕНОК". 08.55** "Без рецепта". Доктор Бранд. **09.25** "Дикий мир" с Тимофеем Баженовым. **10.20** Ирина Хакамада в программе "Растительная жизнь". **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Квартирный вопрос. **13.25** "Особо опасен!" "Ограбление века". **1**-я серия. **14.00** Елена Проклова в фильме **"ЕДИНСТВЕННАЯ..." 16.20** "Женский взгляд". Олеся Судзиловская. **16.55** Своя игра. **17.50** Сериал **"МАНГУСТ: ОСТОРОЖНО, ГОЛОЛЕД!". 19.40** Профессия - репортер. **20.10** Сильвестр Сталлоне в остросюжетном фильме **"УБИЙЦЫ"** **22.55** "Мировой бокс". **00.00** Стефания Сандрелли в фильме **"КЛЮЧ"** **02.15** Футболлистика. **02.55** Сериал **"ОДНАЖДЫ В КАЛИФОРНИИ". 03.40** Профессия - репортер. **04.15** Валерий Приемыхов в фильме **"ВРЕМЯ ПЕЧАЛИ ЕЩЕ НЕ ПРИШЛО"**. Иванов хорошо рисовал тысячные купюры. Руки художника пригодились, когда Иванов решил угнать самолет в Париж и сделал копию пистолета из пластилина. А пока он летел, то вспоминал прошлое, когда подростком жил в деревне. В деревне мирно поживали татарин, еврей, русский, цыган и немец. Однажды в деревне появился геодезист Мефодий, наделенный выдающимися способностями. Неожиданно он исчез из деревни вместе с "чокнутой" Лялькой... Иванов нашел ее под именем Соня через много лет в самолете, который ради нее и угнал в Париж. Все герои встретились через 20 лет в той самой деревне...



ათეულები

თანამედროვე როკის ცხელი ათეული ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით

Billboard.com

შემსრულებელი	სიმღერა	წინა კვირის მაჩვენებელი	ჩარტებში გატარებული პერიოდი
შემსრულებელი	სიმღერა	წინა კვირის პოზიცია	ჩარტებში გატარებული პერიოდი
"გრინ დეი"	Boulevard of Broken Dreams	1	22 კვირა
"ქუინზ ოფ სთოუნ ეიჯი"	Little Sister	3	7 კვირა
ბეკი	Pm	7	4 კვირა
"ქილერზი"	Mr. Brightside	4	22 კვირა
"პაპა როუჩი"	Scars	2	17 კვირა
"ანრიტენ ლოუ"	Save Me	5	13 კვირა
"ჯიმი ით უორლდი"	Work	9	12 კვირა
"3 დორზ დაუნი"	Home	8	20 კვირა
"მარს ვოლტა"	The Widow	12	8 კვირა

სწავლა ლონდონში
ხელმისაწვდომ ფასად

ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლა (ლონდონი) გიწვევთ ხარისხის მისაღებულად შემდეგი პროგრამების ფარგლებში. ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის (ლონდონი) კამპუსი მდებარეობს ლონდონ სიტიში. ეს ის ადგილია, სადაც ლონდონის ღირსშესანიშნაობებია თავმოყრილი. პროგრამები ბაკალავრის ხარისხის მისაღებულად ხორციელდება სანდერლენდის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად; ხოლო პროგრამები მაგისტრის ხარისხის მისაღებულად ხორციელდება ისტ ლონდონის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად. პროგრამები ცხადდება წელიწადში სამჯერ (ნოემბერი / აპრილი / აგვისტო). მომდევნო კურსის დაწყების თარიღია 2005 წლის 4 აპრილი.

MBA მარკეტინგი / ფინანსები / IT

MSc საინფორმაციო ტექნოლოგიები
კომპიუტერული სისტემის ინჟინერია
ინტერნეტის ინჟინერია

სრული კურსის ფასი **£4550**

ბიზნესის ან ბიზნეს ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამების ფარგლებში ბაკალავრის ხარისხის მისაღებულად 2-წლიანი დაჩქარებული კურსის - BA (Hons) მთლიანი ღირებულებაა £ 6950.

ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად

იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ზემოაღნიშნული პროგრამებით სწავლობენ, ერთწლიანი ინტენსიური ინგლისური ენის კურსის გავლა შესაძლებელია დამატებითი £ 1000 გადახდის შემდეგ.
იმ სტუდენტებისთვისაც, რომლებსაც მაღალი აკადემიური მიღწევა არა აქვთ, ხელმისაწვდომია მოსამზადებელი პროგრამები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:
ნინო მესხიშვილი / ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის განვითარება
მის: თბილისი, მესხიის 2, სადარბაზო 1, ოფისი 1.
ტელ: 253045, 230284 მობ. 877-423569
E-mail: stmgeorgia@hotmail.com
www.stmlondon.co.uk



კადრი ფილმიდან "საწოვარა"

გასული კვირის ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინოთეატრების მონაცემებით

ფილმის სათაური	რეჟისორი	მსახიობი	უიკენდის შემოსავალი $	საერთო შემოსავალი $
"საწოვარა"	ადამ შენქმენი	ვინ დიზელი, ლორენ გრეჰემი, ფეით ფორდი	30,552,694	30,552,694
"იყავი მაგარი"	ფ. გარი გრეი	უმა თურმანი, ჯონ ტრავოლტა, როკი, ვინს ვონი, ანდრე 3000	23,450,212	23,450,212
"ჰიჩი"	ენდი ტენანტი	უილ სმითი, ევა მენდესი, კევინ ჯეიმსი	12,118,263	138,004,437
"შეშლილი შავკანიანი ქალის დღიური"	დარენ გრანტი	კიმბერლი ელისი, სტივ ჰარისი	11,026,195	37,077,829
"მილიონ დოლარიანი გოგონა"	კლინტ ისტვუდი	კლინტ ისტვუდი, ჰილარი სუენქი, მორგან ფრიმენი	8,135,421	76,600,008
"კონსტანტინი"	ფრენსის ლოურენსი	კიანუ რივზი, რეიჩელ ვაისი, შია ლებაფი	6,127,173	60,653,370
"დაწყევლილი"	უეს კრეივენი	კრისტინა რიჩი, ჯოშუა ჯექსონი, ჯუდი გრირი	3,867,052	15,281,069
"სახლის კაცი"	სტივენ ჰერეკი	ტომი ლი ჯონსი, ენი არჩერი	3,506,726	13,982,619
"ვინ-დიქსის გამო"	უეინ უენგი	დეივ მეთიუსი, ჯეფ დენიელსი, ევა მარი სეინტი	3,200,236	26,777,812
"ჟაკეტი"	ჯონ მეიბური	ეიდრიენ ბროუდი, კირა ნაითლი, კრის კრისტოფერსონი	2,723,682	2,723,682

INTERNEWS

ფონდი ინტერნიუსი

სამუშაო ადგილი: თბილისი

საქართველოს რეგიონალურ ტელემაუწყებელთა ასოციაცია

აცხადებს კონკურსს **ალმასრულებელი დირექტორის** თანამდებობაზე.

კანდიდატებს შემდეგი ძირითადი კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები უნდა გააჩნდეთ:

- უნივერსიტეტის დიპლომი ბიზნესადმინისტრირების ან არამომგებიანი ორგანიზაციის მართვის სფეროში.
- სამენეჯმენტო დონეზე საერთაშორისო ან არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის სულ ცოტა სამწლიანი სამუშაო გამოცდილება.
- დაფინანსების მოპოვების და განაცხადების წერის მყარი და ხანგრძლივი გამოცდილება.
- დონორების მიერ დაფინანსებულ პროექტებში/საქმიანობაში მონაწილეობის გამოცდილება.
- დამოუკიდებლად მუშაობის უნარი.
- დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების დაგეგმვის და მართვის გამოცდილება.
- გამოცდილება მმართველობის, სამოქალაქო საზოგადოების, მედიის განვითარების, ადამიანის უფლებების და სოციალური განვითარების სფეროებში.
- ძლიერი ანალიტიკური, საკომუნიკაციო და საორგანიზაციო უნარ-ჩვევები.
- ადამიანებთან ურთიერთობის კარგი უნარი, სამუშაოსადმი როგორც ინდივიდუალურ ისე გუნდურ დონეზე ერთგულების შესაძლებლობა.
- მოქნილობა და მოულოდნელ სიტუაციებში ქცევის უნარი, სამუშაოს დაგეგმარების შესაძლებლობა.
- ასოციაციის ყველა დონეზე წარმოდგენის უნარი.
- ქართული და ინგლისური ენების კარგად ფლობა (წერა და საუბარი), რუსული ენის კარგი ცოდნა.
- "მაიკროსოფტის" კარგად ცოდნა (Windows, Word, Excel, Power Point).
- რეგიონებში მოგზაურობის შესაძლებლობა.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად გთხოვთ გამოაგზავნოთ ინგლისურ ენაზე შესრულებული თქვენი რეზიუმეები მოკლე წერილთან ერთად სადაც ახსნილი იქნება, თუ რატომ გსურთ ამ სამუშაოზე მუშაობა, ასევე 2 წინა დამქირავებლის სახელი-გვარი და საკონტაქტო ტელეფონი, ვინც შეძლებს რეკომენდაცია გაუწიოს კანდიდატს, ყველა ეს დოკუმენტი შემდეგ ი-მეილზე უნდა გამოაგზავნოთ: makhashvili@internews.ge

ფონდი ინტერნიუსი
პაოლო იაშვილის ქუჩა N14/22, თბილისი 0105
ნინო მახაშვილი
გთხოვთ, ტელეფონით არ დაგვიკავშირდეთ.
განცხადებების მიღების ბოლო ვადა: **2005 წლის 25 მარტი (18:00 საათამდე)**
გასაუბრებაში მონაწილეობის მისაღებად მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებს დაუკავშირდებიან.

- საერთაშორისო სამოდელო სააგენტო FACE 2 FACE და იმიჯ-ცენტრი აცხადებენ რეგიონალურ კასტინგს საქართველოში ახალი სახეების შესარჩევად.
- მონაწილეობის მისაღებად იწვევს 13-დან 20 წლამდე ასაკის გოგონებს.
- შერჩეული გოგონები გაემგზავრებიან რეგიონულ ფინალურ კასტინგზე, სადაც წარსდგებიან მსოფლიოს წამყვანი სააგენტოების წარმომადგენლების წინაშე.
- გამოიყენეთ თქვენი შანსი და მიიღეთ ახალი სახე.
- მიმდინარეობს მსურველთა რეგისტრაცია.

მისამართი: ვაჟა-ფშაველას №45 ტელ: 53 69 11 ■ 20 00 20

ვაკანსია

ქოლგეით-პალმოლივს მეტად ამბიციური მიზნები გააჩნია საქართველოში და საამისოდ მისი დისტრიბუტორი კომპანია შპს "პონტო სტარ კომპანი" იწვევს 25 წლამდე ახალგაზრდებს სავაჭრო წამომადგენლის (დისტრიბუტორის) თანამდებობაზე სამუშაოდ.

მოთხოვნები
1. უმაღლესი განათლება
2. კომუნიკაციის განსაკუთრებული უნარი
3. ავტომანქანის მართვის მოწმობა (სასურველია)

მოვალეობები
1. გაყიდვები
2. დისტრიბუცია
3. თაროზე მუშაობა
4. სარეკლამო საშუალებების გამოყენება

დაინტერესებულმა პირებმა 2005 წ. 8-დან 26 მარტის ჩათვლით გამოაგზავნეთ თქვენი ავტობიოგრაფია (CV) ფაქსის შემდეგ ნომერზე: 91 13 41. 1000-დან 1800 -მდე

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.